C M Y K

საერთო გაზეთი

№03 (187) ● 25-31.I, 2012 წელი ● ოთხშაბათი ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

ბიჟინა ივანიშვილი:

„მივმართავთ სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლებს — პატივი სცენ საკუთარ პროფესიულ მოვალეობას, ხელი აიღონ უკანონო ბრძანებების შესრულებაზე და თავიანთი მოქმედებით ნუ გამოვლენ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. **ძალიან მალე დადგება დრო,** როდესაც ყველა პასუხს აგებს არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ კანონის წინაშე, არა რომელიმე პოლიტიკურ ლიდერთან, არამედ თავისუფალ სასამართლოში.“

პეტრე მამაკაძე:

qurdebis xelisufleba unda damTavrdes!

biZina ivaniSvilis politikaSi mosvla yvelaze didi qvelmoqmedebaa saqartvelosTvis, rac mas odesme gaukeTebia



raaxal kakanaTs ugebs putini qarTul opozicias?

rogor Seiwira gamomZiebelTa arapROfesionalizmma sami adamianis sicocxle?



ჯოხა ღავთოსაშვილი:

zurgze snaiperis SaSxana mkidia da yovelDRe imaze vfiqrob, vis davartya, vin movkla~...

rogor `daaverbovkes~ daviT aqubardia?

ბიძინა ივანიშვილი ეხმიანება საჩხერეში ამა წლის 13 იანვრის ღამეს საახალწლო კონცერტის მსვლელობისას მომხდარ ინციდენტს და მიმართავს ყველა დაშავებულს და თავის მხარდამჭერს



სრულიად აღმაშფოთებელია სამართალდამცველი სტრუქტურების უკანონო მოქმედება და პირდაპირი ძალადობა, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვება ჩვენი მხრიდან შესაბამისი და ადეკვატური რეაგირება კანონის ფარგლებში. ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ორგანიზაციული და სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც უახლოეს ხანში მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება. აამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ყველა ჩვენი მხარდამჭერის და თითოეული დაჩაგრული ადამიანის გაცილებით ეფექტიანი და ქმედითი დაცვა პოლიტიკური რეპრესიებისაგან. მანამდე კი, თხოვნით მივმართავთ ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშვიდობიანად, არჩევნების გზით წარმატების მიღწევა: გამოიჩინონ სიმშვიდე, მაქსიმალურად შეიკავონ თავი და არ აჰყვნენ შესაძლო პროვოკაციებს.

ასევე, მივმართავთ სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლებს - პატივი სცენ საკუთარ პროფესიულ მოვალეობას, ხელი აიღონ უკანონო ბრძანებების შესრულებაზე და თავიანთი მოქმედებით ნუ გამოვლენ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ყველა პასუხს აგებს არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ კანონის წინაშე, არა რომელიმე პოლიტიკურ ლიდერთან, არამედ თავისუფალ სასამართლოში. ნუ აჰყვებით საგანგებოდ გავრცელებულ ჭორებს, თითქოს ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში თქვენ პოლიტიკური რეპრესიების ქვეშ მოჰყვებით. პირიქით, ჩვენ ხელისუფლების არჩევნებით შეცვლას იმიტომაც ვაპირებთ, რომ სამართალდაცვის სტრუქტურები გათავისუფლდნენ პოლიტიკური წნეხისგან და არ მოუწიოთ პოლიტიკურად მოტივირებული უკანონო ბრძანებების შესრულება. ჩვენ ყველამ უნდა ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც კანონებით იმართება და არა პოლიტიკური ლიდერების ნება-სურვილით.

ლია წერილი ღეიბოჩისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს

ბატონო შალვა,

მოგეხსენებათ, ცნობილ მეცენატსა და „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს ბიძინა ივანიშვილს ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, მისი მეშვეობით აღდგენილი თეატრები, მუზეუმები თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები თითოეული ქართველის კუთვნილებაა, ხოლო მისი ძალისხმევით აგებულ სამების საკათედრო ტაძარში თქვენც ანთებთ სანთლებს და თქვენი ოჯახის წევრებიც. ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე აფინანსებდა ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს მიუხედავად მათი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მრწამსის განსხვავებულობისა. თქვენ მას ბრალად სდებთ, რომ იგი 2003-04 წლებში ახალ ხელისუფლებას დაეხმარა და გააძლიერა, თუმცა მისი მიზანი დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს აშენება იყო, რის სანაცვლოდაც მას პირადი ინტერესები ქვეყანაზე მაღლა არასოდეს დაუყენებია, არც თანამდებობა მოუთხოვია და არც რაიმე ბიზნესი უწარმოებია საქართველოში. მას ალალად სწამდა, რომ სააკაშვილის მთავრობა მისი ხელშეწყობით დემოკრატიულ და თავდაცვისუნარიან ქვეყანას აშენებდა, როცა კი საბოლოოდ დარწმუნდა მწარედ სცდებოდა და, არა მარტო მის უანგარობასა და ჩრდილში დგომას, არამედ ქვეყნის კონსტიტუციასაც და კანონსაც სააკაშვილის ხროვა თავის თავზე ირგებდა, ყველაფრის რისკის ფასად სააშკარაოზე გამოვიდა, ყოვლისმკადრებელი ხელისუფლება ამხილა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბიძინა ივანიშვილის უკანონოდ ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენას სამასმა ათასმა ქართველმა მოაწერა ხელი და, რომ არა სააკაშვილის ტირანიული მეთოდებით ხალხში დამკვიდრებული საყოველთაო შიში, ეს ხელმოწერები მილიონამდე მიაღწევდა. თუნდაც სამასი ათასი ქართველის მოთხოვნა მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ბიძინა ივანიშვილი ღირსეული ქართველია და მისი საქველმოქმედო მოღვაწეობის ანალოგია დღევანდელ მსოფლიოში იშვიათად მოიპოვება.

ბატონო შალვა, სხვა სიკეთეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებელია და მისი, როგორც ქტიტორის არსებობა ამავე ტაძრის თვალსაჩინო და საპატიო ადგილას ფრესკის სახით მარადიულ საქართველოში გააგრძელებს სიცოცხლეს. ვითვალისწინებთ რა, თქვენს შეუპოვრად ბრძოლას არსებული, ტირანიული ხელისუფლების წინააღმდეგ. მოგმართავთ თხოვნით, შეწყვიტოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენება, ნუ აკადრებთ საკუთარ თავს უწოდოთ მას ბანდიტი, ქილერთა კლანის მეთაური, ფულის ტომარა და სხვა. ასეთი გამონათქვამები შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო თქვენი მიმართვის ადრესატს, არამედ თითოეულ ქართველს, რომელიც იმედის თვალით შესცქერის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას. საყოველთაოდ მისაღები კრიტიკისა და სიმართლის გამოაშკარავების წინააღმდეგი არც ჩვენ არ ვართ, რამეთუ თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის შენებისათვის ეს ნიშანდობლივი თვისებაა, მაგრამ თქვენი საჯარო გამოსვლები ყოველგვარ ზღვარს სცილდება და, გვერწმუნეთ, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების დამქაშებს ეფინებათ გულზე მალამოდ.

ერთ-ერთი ჩვენთვის საამაყო ქართველი სპორტსმენი, მრავალგზის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში თავის საგაზეთო თუ საჯარო გამოსვლებში ხშირად იმეორებს: ავივსოთ ღვთის მადლით და ნუ ვიქნებით უმადურები სიკეთის ჩამდენი ადამიანების მიმართ!... ქართველ საზოგადოებას ამ გარდამტეხ მომენტში გასარიყი პოლიტიკოსი, რომელიც უგვან ხელისუფლებას უპირისპირდება, ნამდვილად არ გვყავს, ამიტომაც გთხოვთ, რომ იყავით პოლიტკორექტული, თორემ თქვენნაირი მისაბაძი ადამიანის მაგალითი შესაძლოა სხვებმაც გაიმეორონ და სალანძღავი სიტყვები არ დაიშურონ, რაც ქვეყნის მომავალი აღმშენებლობისათვის აღტყინებულ სხვა შეძლებულ და გავლენიან ერის კაცში სიკეთის ჩადენის სურვილის წახდენას გამოიწვევს, რომელიც იტყვის: რა უმადური ყოფილა ქართველი ხალხიო!..

პატივისცემით
მწერალი და პუბლიცისტი
მერაბ შათირიშვილი

ჩიდატორის სვეტი

შესანიშნავი წინადადება წამოაყენა ერთმა პოლიტიკოსმა — ისეთ კანონებს იღებს ეს ხელისუფლება, სჯობია, ნაცმოძრაობის გარდა ყველა პარტია ავკრძალოთო.

ბრწყინვალე იდეაა!

ნაცმოძრაობა ხომ დაისვენებს და დაისვენებს, ჩვენც დავისვენებთ და ეს პარტიებიც რაღაც სხვა საქმეს მონახავენ.

დავტოვოთ ერთი კომპარტია, უკაცრავად, ნაცპარტია, სხვა პარტიები კი ავკრძალოთ!

თუმცა კაცმა რომ თქვას, აკრძალვა რად უნდა — აკრძალულია და ეგ არი.

ჩაიხედეთ ახლად მიღებულ კანონებში, განსაკუთრებით, ბოლოს მიღებულ „გენიალურ“ კანონში, სადაც პარტიებთან ურთიერთობის გამო შეიძლება ქონება დაგიყადაღონ, საწარმო გა-

გიუქმონ, დაგაჯარიმონ, დაგიჭირონ და მიხვდეთ, რომ არაოფიციალურად პარტიები, გარდა ერთისა, უკვე აკრძალულია.

ჰოდა, მოდით, ახლა ოფიციალურად ავკრძალოთ და დავისვენოთ.

ავირჩიოთ ამხანაგი მიხეილი ნაცპარტიის „გენსეკად“ და სანამ ბრეჟნევის ხნისა არ მოიყრება, იყოს და იყოს.

პარტიების აკრძალვასთან ერთად ავტომატურად გაუქმდება სხვადასხვა გაზეთები, ჟურნალები, ტელეარხები.

მართლაც, რა საჭიროა ამდენი გაზეთი? დავტოვოთ ერთი „პრაიმ-ტაიმი“, დავარქვათ „პრავდა“ და ყველამ ის ვიკითხოთ.

რაც შეეხება ტელევიზიებს, აქ „იმედს“ კონკურენტი არ ჰყავს, ოღონდ სახელი უნდა შევუცვალოთ — „იმედი“ ძალიან არაადექვატურად ჟღერს იმ გარემოში, სადაც დღეს არსებობა გვიხდება.

ეს ღონისძიებები ნამდვილად ხელს შეუწყობს საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრას ერთი იდეის, ერთი აზრის გარშემო.

სიტყვის თავისუფლებაა ჩვენ რომ გვლუპავს, თავისუფალი აზრია რომ გვანგრევს და გვაპარტახებს, თორემ, როცა ერთი აზრის გარშემო გავერთიანდებით და მშობლიური ნაცპარტიის მითითების და კორექტივების მიხედვით დავირაზმებით, ყველაფერი კარგად იქნება.

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

demokratia gindeblarien? `paJalusta~!

საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის ახალი ხერხი გამოიგონეს.

თუ დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოში ფიქრობენ, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობა, ხალხის ძალაუფლებაა და ამიტომ დემოკრატია თავად ხალხმა, სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აშენოს, საქართველოში პირიქით ფიქრობენ: – ხალხი სახლში უნდა იჯდეს და ნანატრი დემოკრატია მას ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა, ანუ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აუშენონ და ხალხს „პოდნოსით“ სახლში უნდა მიართვან.

– თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ბატონო, თქვენ როგორ გაკადრებთ ხელი გაანძრიოთ, ჩვენ აგიშენებთ, ჩვენ შეგიქმნით ამ დემოკრატიას, თქვენ მხოლოდ არჩევნების დღეს გამოგვიარეთ და ბიულეტენები ჩაგვიყარეთ ურნებში, სხვა რამის გაკეთებას როგორ დაგავალებთ? – ტკბილსიტყვაობენ ქართველი პოლიტიკოსები და ხალხს დაბეჯითებით მოუწოდებენ, არ შეცდნენ და ქუჩაში არ გამოვიდნენ.

დემოკრატიის მშენებლობის ახალ, ქართულ მოდელს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში პატივცემულმა შოთა გორგოძემ ჩაუყარა საფუძველი, როცა ქართველ ხალხს ასე მიმართა: – დემოკრატია გინდებლარიენ? პაჟალუსტა!

გორგოძის ეს უკვდავი სიტყვები ოდნავი სახეცვლილებით ახლაც ძალაშია და დღეს უკვე სხვა გორგოძეები მიმართავენ ქართველ ხალხს შინაარსით იგივე, ოღონდ ფრაზეოლოგიურად ოდნავ შეცვლილი სახით: – დემოკრატია გნებავთ? ინებეთ, გეთაყვა!

დემოკრატია რომ ლობიოობა არ არის, ეს აღმოჩენაც ქართველ კაცს ეკუთვნის, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდა დემოკრატიულ „ღირებულებებს“ დროს ჩამორჩენილ ქართულ საზოგადოებაში.

სხვათაშორის, საქართველო მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხელისუფლების სათავეში ყოფილი „კანონიერი ქურდი“ მთავარ ქურდად დაჯდა და „ზონას“, ანუ ქართულ სახელმწიფოს თავისი გაგების მიხედვით კარგა ხანს აკონტროლებდა.

„კანონიერ ქურდს“, რომელიც თავის ბანდასთან ერთად მშვიდობიან მომიტინგეებს არბევდა, აწიოკებდა, ხვრეტდა, საშშობლომ დემოკრატიის მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლიერების ნიშნად დიდუბის პანთეონში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

დემოკრატიის მშენებლობის ასეთი საინტერესო და არაორდინალური გამოცდილება გვაქვს ჩვენ, ქართველებს, რომელსაც ახალ-ახალი მიგნებებით ვამდიდრებთ და ვამრავალფეროვნებთ.

ბოლო მიგნება, როგორც ზემოთ გითხარით, დემოკრატიული განვითარების პროცესებიდან ხალხის ჩამოშორება და გარიყვაა.

– არავითარი რევოლუცია! ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, ამისთვის, კი პირველყოვლისა, საარჩევნო გარემო უნდა შევცვალოთ, – ბრძანებდა ბატონი ირაკლი ალასანია „რვიანთან“ ერთად და მართლაც მოცემული მომენტისთვის საარჩევნო გარემო ისე ძირფესვიანად შეიცვალა, რომ ოპოზიციური სპექტრისთვის ასეთ არჩევნებში გამარჯვება წარმოუდგენელია.

გაუგებარი მიზეზებით, ზოგიერთი პოლიტიკოსი რევოლუციას რატომღაც ჩვეულებრივ მიტინგთან და საპროტესტო აქციასთან აიგივებს, არადა, რევოლუცია სხვა რამ არის, ძვირფასო ბატონებო, მიტინგი და აქცია კიდევ სულ სხვა რამ.

რატომ ურევენ ერთმანეთში ამ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ტერმინებს, ამოუხსნელ გამოცანად იქცა.

ფაქტი ერთია, როცა ხალხს თამაშიდან გამოთიშავ და მხოლოდ შორიდან მაყურებლის როლს არგუნებ, ამით დემოკრატიის უმთავრეს პრინციპს უარყოფ და შეიძლება გაუაზრებლად, შეიძლება გააზრებულად და გაცნობიერებულად, უშვებ შესაძლებლობას, რომ არჩევნებში გასამარჯვებლად ხალხის ნება კი არ არის მთავარი, არამედ მომგებიანი გარიგება და შეთანხმება სახელისუფლო და სხვა პოლიტიკურ ძალებთან.

ra axal kakanaTs ugebs batoni vladimeri qarTul opozicias?

ეს პუტინი და სააკაშვილი, მგონი, ჩუმ-ჩუმად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ჩვენ კი თვალში ნაცარს გვაყრიან.

განსაკუთრებით პუტინი აქტიურობს და ისეთ „სატოპკეებს“ აუწევს ხოლმე მიშას და თანაც ისეთ დროს, სააკაშვილის ერთგული პარტნიორი და თანამზრახველი გეგონება.

ხომ გახსოვთ, რა ხელგაშლილი შეხვდა ბატონი ვლადიმერი ქალბატონ ნინოს და როგორ თავაზიანად მოისვა გვერდით უამრავი ფოტორეპორტიორის თვალწინ და როგორი ჩხაკაჩხუკი ატყდა.

ისეთი ფოტოები დაცვივდა იმ დღეს, ერთ ბურჯანაძეს კი არა ას ოპოზიციონერს ეყოფოდა სამხილად და „რუსთა მეფის“ აგენტობის დამადასტურებელ უტყუარ დოკუმენტად.

ბურჯანაძეს ნოღაიდელი ჩაენაცვლა და ახლა ის „ჩააკარტოჩკეს“ პუტინთან ერთად და წეროსავით წაგრძელებულ კისერზე ახლა იმას ჩამოჰკიდეს აგენტის „ქსივა“.

სააკაშვილი რაშიც ზეპირსიტყვიერად, ეჭვის დონეზე სდებდა ბრალს ბურჯანაძეს და ნოღაიდელს, პუტინმა ეს ბრალდება ოფიციალურად დაადასტურა და დოკუმენტურად განამტკიცა, რის შემდეგაც სააკაშვილს საბოლოოდ გაეხსნა ხელ-ფეხი და ორივე კონკურენტი პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა.

მოკლედ რომ ვთქვათ, პუტინს ვინც კი გაეკარა ქართველ ოპოზიციონერთაგან, ყველას მაგრად მოეხაზა, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პუტინი სააკაშვილის საქმეს აკეთებს და პირიქით, სააკაშვილი პუტინს უგორებს კოჭს.

სააკაშვილის სასარგებლოდ აგორებულ პროვოკაციას ჰგავს პუტინის მიერ გასულ კვირას გაკეთებული განცხადებაც, სადაც ის კმაყოფილებით ამბობს, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელთანაც დალაპარაკება შეიძლება.

– ამ საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი და მისი მომხრეები იგულისხმა პუტინმაო – დასცხეს ყიჟინა ნაცებმა და ამ ყიჟინას მყისვე ბანი ააყოლეს ე.წ. სახელისუფლო ტელეარხებმა.

გულთმისნები არიან ეს ე.წ. ნაციონალური ტელეარხები. იმასაც კი ხვდებიან, პუტინს რა უდევს თავის „კაგებეშნიკურ“ გულში და ხმამაღლა ნათქვამი სიტყვების ქვეშ რა საიდუმლო ქვეტექსტს დებს.

ლევს ვივარაუდოთ, რომ პუტინი სააკაშვილის საქმეს აკეთებს და პირიქით, სააკაშვილი პუტინს უგორებს კოჭს.

რას გვიჩალიჩებს ბატონი ვლადიმერ და რა ახალ კაკანათს უმზადებს ქართულ ოპოზიციას?

ბიძინა ივანიშვილის ჩატყუება ხომ არ განუზრახავს, ნეტა, სააკაშვილთან ფარულ მეგობრობაში ეჭვმიტანილ „რუსთ ხელმწიფეს?“

ძვირფასო ვლადიმერ, ცუდად გცნობიათ თქვენ ივანიშვილი, თუ მართლა ეგ სულელური განზრახვა გიდევთ გულში...

ქართველი ექსპერტ-წინასწარმეტყველების აზრით, შეიძლება პუტინსა და სააკაშვილს შორის ურთიერთობა ძალიან მალე ისე დათბეს და ისე დატბეს, რომ ყოფილი მტრები ძმებად გადაიქცნენ.

ნუ გაგიკვირდებათ ეს – რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა ურთიერთობების ისტორია სავსეა ამგვარი მოულოდნელი „სატრფიალო-სამიჯნურო“ დეტალებით და საიდუმლო გარიგებებით, რომელსაც რუსეთი არა, მაგრამ საქართველო ლამისაა შეეწიროს.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

rogor Seiwira gamomZiebel Ta arafrofesionalizmma sami adamianis sicocxle?

საკაშვილის რეჟიმი ყველანაირად ცდილობს ოპოზიცია საარჩევნოდ შეზღუდოს და ამისთვის სხვადასხვა „ნოვაციებს“ იგონებს. გასული წლის ბოლოს პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომლის თანახმადაც კონტროლის პალატას უფლება მიეცა, რომ არამარტო არასასურველ პოლიტიკურ პარტიას დაუყადაღოს ქონება და საბანკო ანგარიშები, არამედ იმ პირთაც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიებთან. უფუ-ლოდ კი ვერავინ რომ ვერაფერს გააკეთებს, ყველას კარგად მოეხსენება. თანაც დაყადაღების პროცედურა არათუ მარტივდება, არამედ მთლიანად ერთი ადამიანის, კერძოდ, კონტროლის პალატას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ხელში გადადის. ამ პოსტზე დანიშნული ნათია მოგელაძე პროკურატურის კადრი გახლავთ, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს, თუნდაც იმაზე, რომ ექსპროკურორი ქალბატონი ზურაბ ადეიშვილის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი იქნება.

ნათია მოგელაძე ერთი პერიოდი ისანი-სამგორის პროკურატურაში მუშაობდა და რითი დაიმსახურა მან დაწინაურება, მითუმეტეს ესოდენ მნიშვნელოვან პოსტზე დანიშვნა, ბევრ კითხვას ბადებს იმ ხალხში, ვინც მის პროკურატურაში „მოღვაწეობას“ მეტნაკლებად იცნობს. ამ კითხვებს რომ მართლაც აქვს საფუძველი, რამდენიმე წლის წინ ისანი-სამგორის რაიონში მომხდარი საზარელი მკვლელობებიც მოწმობს. ამ პერიოდში ქალბატონი მოგელაძე ხსენებული პროკურატურის თანამშრომელი გახლდათ, უფრო მეტიც მას უშუალო შეხება ჰქონდა ამ საქმეებთან და ერთერთი მოკლულის ოჯახის განცხადებით, პროკურატურა-პოლიციას მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, უნიათობა რომ არ გამოეჩინა, ეს მკვლელობები არ მოხდებოდა.

ახლა კი უშუალოდ იმ დანაშაულობებზე ვისაუბროთ, რაც 2007 წლის შემოდგომაზე მოხდა ისანი-სამგორის რაიონში. საქმე ეხება სამ მკვლელობას, რომელიც დაახლოებით, ერთი თვის ინტერვალში მოხდა. საშა მეტონიძის, თენგიზ გურაშვილისა და იმელი გაბედავას მკვლელობაში ბრალდებულ ტარიელ საყვარელიძეს სასამართლომ 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ მკვლელობებს საკმაოდ საინტერესო წინაისტორია უძღოდა. სხვათა შორის თავის დროზე მედიით ეს საქმეები ფართოდ გაშუქდა.

ტარიელ საყვარელიძე და მის მიერ მოკლული საშა მეტონიძის შვილი დავით მეტონიძე მეზობლები და ბავშვობის მეგობრები იყვნენ. 2007 წლის მაის-ივნისში დავით მეტონიძემ კერძო პირებისგან 13.320 აშშ დოლარი ისესხა, სანაცვლოდ კი იპოთეკით დატვირთა ორხევის დასახლებაში მდებარე თავისი საცხოვრებელი ბინა, რის შესახებაც მამამისმა არაფერი იცოდა. როგორც ირკვევა, მეტონიძე კერძო იპოთეკარებთან ფულის სასესხებლად საყვარელიძემ მიიყვანა. რაში დახარჯა მეტონიძემ ეს ფული, უცნობია. არსებობდა ეჭვი, რომ ახალგაზრდებმა ნაწილი თანხით ავტომანქანა იყიდეს, დანარჩენი ფული კი საყვარელიძემ მოიხმარა. იმავე წლის ივლისში ამ ავტომანქანით მეგობრები დასავლეთ საქართველოში იყვნენ, რა დროსაც ავტოავარია მოუხდათ და დავით მეტონიძე ადგილზე გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, საჭესთან მეტონიძე იჯდა, რაშიც მოკლული თენგიზ გურაშვილის დედას ეჭვი ეპარება. რამდენჯერმე მევალეებისთვის პროცენტები ტარიელ საყვარელიძეს გადაუხდია, თუმცა მეტონიძის გარდაცვალების შემდეგ აღარ გადაიხადა. მევალეებმა კუთვნილი თანხის გადახდა საშა მეტონიძეს მოსთხოვეს და მან მაშინ შეიტყო, რომ ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრებოდა. საქმის გასარკვევად მან საყვარელიძეებს მიაკითხა, თუმცა ტარიელმა იუარა, ამ ვალის შესახებ არაფერი ვიციო. თურმე ძალზე აგრესიულადაც დახვედრიან საყვარელიძეები შვილმკვდარ მამას. საშა მეტონიძე მეორედაც მისულა საყვარელიძეებთან, რა დროსაც მას თავისი და ლამარა მეტონიძე და ნათესავი ახლდა. საყვარელიძეები მათ კვლავ ძალზე აგრესიულად დახვდნენ და ეს შეხვედრა ჩხუბით დასრულებულა. საშა მეტონიძე მათ დამუქრებია, რომ აუცილებლად უჩივლებდა, რაზეც ტარიელს უთქვამს, სადაც გინდა იქ მიჩივლეო.

11 ოქტომბერს საშა მეტონიძემ მართლაც შეიტანა საჩივარი ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურაში. ეს საქმე, როგორც ჩანს, ზემოხსენებულ პროკურორ ნათია მოგელაძეს გადაეცა. მან ტარიელ საყვარელიძე 16 ოქტომბერს დაიბარა, მაგრამ რატომღაც ოფიციალურად არ დაჰკითხა, თუმცა ქალბატონმა პროკურორმა მას გაუმხილა საშა მეტონიძე გიჩივისო და დასაკითხად მეორე დღისთვის დაიბარა. ამის შემდეგ მოვლენები ელვის უსწრაფესად განვითარდა. პროკურატურიდან წამოსულმა ტარიელ საყვარელიძემ იმავე საღამოს მიაკითხა სახლში გარდაცვლილი მეგობრის მამას და გამოძიების ვერსიით, გადაჭრილი სანადირო თოფიდან, ე.წ. აბრეზიდან ორი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა. აღსანიშნავია, რომ მეტონიძე იმ პერიოდში სახლში მარტო იყო. მას მეუღლე ადრე გარდაეცვალა, შემდეგ შვილიც დაეღუპა და დასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც იმ დროს სოფელში იყო წასული. არ არის გამორიცხული, რომ ამის შესახებ ტარიელ საყვარელიძემ ყველაფერი იცოდა, რადგან ისიც იქვე ცხოვრობდა. მეორე დღეს, საღამოს სწორედ ამ ქალბატონმა აღმოაჩინა ძმის გვამი. 17 ოქტომბერს დილით ტარიელ საყვარელიძე თითქოს არაფერი მომხდარა, პროკურატურაში გამოცხადდა. პროკურორმა ნათია მოგელაძემ ის თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით დაჰკითხა და გაუშვა.

გამოცდილი იურისტების განცხადებით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა პროკურორს საყვარელიძისთვის წინასწარ ეთქვა, საჩივრის განცხადებაში რაზე იყო საუბარი, ანუ პირდაპირ ეთქვა, რომ მეტონიძე უჩიოდა. მითუმეტეს არც დაჰკითხა იმავე დღეს, არ გაიგო საქმის ირგვლივ რა ხდებოდა. იქნებ დასაჭერი იყო ეს ადამიანი, რატომ გაუშვეს ასე. პროკურორის საქციელი „ჩაშვებად“ შეიძლება შეფასდეს, რომელმაც გეზი მისცა საყვარელიძეს, რომ წასულიყო და მომჩივანი მოეკლაო.

იმავე საღამოს საყვარელიძემ დაურეკა თენგიზ გურაშვილს, რომელიც მეტონიძეების კორპუსში ცხოვრობდა და ეზოში ჩასვლა სთხოვა. გურაშვილი დეიდაშვილთან ერთად ჩავიდა. საყვარელიძემ ისინი საკუთარ „ტოიოტას“ მარკის ჯიპში ჩაისვა, იქვე იყვნენ სხვა მეზობლებიც, კახა კალანდარიშვილი და ზურაბ გაბულდანი. საყვარელიძემ მათ უამბო, საშა მეტონიძემ პროკურატურაში მიჩივლა და შურისძიების მიზნით მოვკალიო. მათთან მოგვიანებით იმელი გაბედავაც მისულა და საყვარელიძეს უთქვამს, ამან უკვე იცის ყველაფერიო. ამ საუბრის დროს ეზოში პატრულის ავტომანქანები შემოსულა, საყვარელიძეს უთქვამს, ესენი მე მეძებენო, ბიჭები სასწრაფოდ ჩამოუსვამს და გაქცეულა.

პოლიციამ ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმელი გაბედავას გარდა ყველანი დაკითხა. კალანდარიშვილის და გაბულდანის დაკითხვას 15-15 წუთი დასჭირვებია. გურაშვილსა და მის დეიდაშვილ ზაქაიძეს კი თურმე 3 საათს კითხავდნენ, რა დროსაც ამ უკანასკნელს პოლიციელებმა სასტიკად სცემეს და გურაშვილს აყურებინეს, რითაც აიძულეს ამხანაგის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა. კალანდარიშვილთან და გაბულდანთან ეს „პროცედურები“ არ დასჭირვებიათ, რადგან მათ საყვარელიძის მონათხრობი, მაშინვე უღიარებიათ, თუმცა საყვარელიძის მამასთან ყველაფერი გადათქვეს და გურაშვილსა და ზაქაიძეს შეაწმინდეს ხელი, ტარიელი ამათ „ჩაუშვესო“. გურაშვილს ჰგონებია, რომ საყვარელიძე უკვე დაკავებული ჰყავდათ, თორემ მიუხედავად ცემა-წამებისა არც მისცემდა ჩვენებას. მას დეიდისთვის უთქვამს, ჩემი ჩვენება რაში სჭირდებოდათ, პოლიციამ ისედაც ყველაფერი იცოდაო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ჩვენებებიდან თითქმის სამი კვირა საყვარელიძე ბებიამისის სახლში, მესამე მასივის დასახლებაში ცხოვრობდა, ავტომანქანითაც გადაადგილდებოდა, მაგრამ პოლიციამ რატომღაც ვერ დააკავა. მეტონიძის მკვლელობის საქმის გამომძიებელი ბეკურიშვილი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ საყვარელიძეს ორჯერ მიაკითხა სახლში და დააფიქსირა, რომ იგი სახლში არ იმყოფებოდა. უფრო მეტიც, თურმე მისი ავტომანქანა ოფიციალურად არც კი იძებნებოდა. სამაგიეროდ, გამომძიებელმა საყვარელიძის მამას აცნობა, შენს შვილს იმიტომ ვეძებთ, რომ მისი მეგობრები ადებენ ხელს, მეტონიძის მკვლელობაზეო. არადა, დამწყებმა იურისტმაც კი იცის, მოწმის ჩვენება, მითუმეტეს ბრალდებულის მხარესთან რომ არ უნდა გაამხილოს. მოკლედ, ბეკურიშვილმა სასიკვდილოდ გაწირა ეს ახალგაზრდები. ვერაფერს იტყვით, გამომძიებლის მხრიდან მართლაც „შესაშური პროფესიონალიზმია“.

ტარიელ საყვარელიძის მამა დავით საყვარელიძე თურმე თენგიზ გურაშვილს მოკვლით ემუქრებოდა. ეტყობა, საყვარელიძეები იმელი გაბედავასაც დამნაშავედ მიიჩნევდნენ, რადგან ეს ორი ახალგაზრდა დახოცა „აბრეზით“ საყვარელიძემ. აქ კი პოლიციამ ოპერატიულობა გამოჩინა და იგი მკვლელობიდან რამდენიმე საათში, ბებიამისის მეზობლის სახლში დააკავა.

ამ ახალგაზრდების გვამები 2-2 ნატყვიარით, ზურგისა და მუცლის არეში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. გამოძიების ვერსიით, ტარიელ საყვარელიძემ შურისძიების მიზნით მათი დახოცვა გადაწყვიტა, თანაც დანაშაულის დაფარვა უნდოდა, ამიტომ ისინი თავიდან უნდა მოეცილებინა. ამ მიზნით 5 ნოემბერს საღამოს მან გურაშვილსა და გაბედავას დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. გაბედავა ამ შეხვედრაზე მამამისის ბმw-თი წავიდა. მოგვიანებით გურაშვილი და გაბედავა საყვარელიძეს თბილისის ზღვაზე წყლის სატუმბი კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ, სადაც ისინი ტარიელმა „აბრეზიდან“ 2-2 გასროლით დახოცა და გაბედავას ავტომანქანით შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ამ საქმის გამოძიების მასალებში უამრავი ხარვეზია.

თუმცა ამ მკვლელობების დეტალების განხილვაზე მეტად იმ ინფორმაციის მიწოდება გვინდოდა მკითხველისთვის, რა დონის პოლიცია-პროკურატურა ჰყავს საქართველოს და როგორ პროფესიონალ ნაპროკურორალს ჩაჰბარდა ოპოზიციური პარტიების ფინანსებისა და ქონების დაყადაღება-განკარგვის საქმე.

მანანა სუხიშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

aSS-Si aSkarad xedaven, rom saqarTvelos xelisufleba dasavluri faseulobebisagan daSorebis gzas daadga

ვესაუბრებით ექსპრესნიუსი საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების გამგეობის წევრს გიორგი ვოლსკის.

— 30 იანვარს მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში ამერიკის პრეზინდეტის პირადი მიწვევით ჩადის. მიხეილ სააკაშვილი შეხვედრებს სენატსა და კონგრესშიც გამართავს. რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ამ ვიზიტის შემდეგ?

— როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი მნიშვნელოვანი ვიზიტების წინაპერიოდი საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების დისკუსიების საგანი ხდება. ნორმალურ ვითარებაში დისკუსიებს ხელს მედია უნდა უწყობდეს. რაც არ უნდა დაპირისპირებული იყოს მოსაზრებები, მათი გაშუქებაა აუცილებელი და არა პროპაგანდისტული აქციები, რასაც სახელისუფლო მედია ეწევა. აღარაფერს ვამბობ ოფიციალური პირების განცხადებებზე.

აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური საკმაოდ ნათელ განცხადებას აკეთებს ვიზიტისას განსახილველი საკითხების თაობაზე: ორი პრეზიდენტი იმსჯელებს ურთიერთობათა შემდგომ გამყარებაზე ვაჭრობის, ტურიზმის, ენერგეტიკის, მეცნიერების განათლების, კულტურის და უსაფრთხოების სფეროებში. ეს განმარტება სტანდარტულია და ობამას პრესსამსახურს რომც არ მოეწოდებინა, თავისუფლად შეიძლებოდა ტექსტი თავადვე შეგვედგინა. არც იმაშია მოულოდნელობა, რომ ობამა ხაზს გაუსვამს საქართველოს მონაწილეობას ავღანეთის ოპერაციაში. რომ არა თავისუფალი მედია და სოციალური ქსელები, ვერც გავიგებდით ამ განცხადების მეორე ნაწილის შესახებ, რომ აშშ-ს პრეზიდენტი გამოხატავს დაინტერესებულ მოლოდინს (**Looks forward**) განიხილოს მომავალი არჩევნები საქართველოში და რეფორმები, რომლებმაც უნდა დაადასტუროს საქართველოს დემოკრატიულ და სტაბილურ ქვეყნად ტრანსფორმაცია. აშშ-ში აშკარად ხედავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება დასავლური ფასეულობებისაგან დაშორების გზას დაადგა. ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ყოველგვარ დაუშვებელ ზომას მიმართავს, დაწყებული კონსტიტუციის და კანონების ჭრა-კერვიდან, დამთავრებული ადამიანის უფლებების დარღვევებით. გაიხსენეთ თუნდაც სახელმწიფო დეპარტამენტის ანდა აშშ-ს ელჩის ბოლოდროინდელი განცხადებები ან უშუალო ჩარევა უკუქმედების მქონე სკანდალური კანონის შესაცვლელად. რა გასაკვირია, რომ აშშ-ს საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების მოლოდინი ჰქონდეს, რაც ვაშინგტონის ინტერესებში არ შედის.

— რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის წამყვანი მედიასაშუალებების რედაქტორებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მზად არის, გამოსავალი ქართულ საზოგადოებასთან ერთად მოძებნოს. რამდენად დამაჯერებელია, ის, რომ მას, როგორც რუსეთის მომავალ პრეზიდენტს, სურს რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგება?

— არაფერი მოულოდნელი პუტინის განცახდებაში არ ყოფილა. მან საკმაოდ არაორაზროვნად მიუთითა, რომ ძალა შესწევს შეაჩეროს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, ანუ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზაცია. აქვე შემრიგებლური სიტყვები არ დაიშურა ქართველებისათვის, რომელთა რაოდენობა რუსეთში საკმაოდ მნიშვნელოვანია, მათ შორის არიან საკმაოდ შეძლებულებიც. რასაკვირველია, ეს განცხადებები პუტინის წინასაარჩევნო პოლიტიკასაც უკავშირდება და სამომავლო სტრატეგიასაც. პუტინის მიერ აგვისტოს ომის შესახებ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს სახელისუფლებო პროპაგანდა რუსეთის აღიარებით ჩვენებად აფასებს. თუკი რუსეთის პრეზიდენტის განცახდებას აღიარებად მივიღებთ, გამოდის იგი ან თვითგვემას ეწევა ან საქართველოს ხელისუფლებას მაშველ რგოლს სთავაზობს, რათა ამ უკანასკნელმა მოიგერიოს ის კრიტიკა, რომელიც სულ უფრო ინტენსიური ხდება. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი თავის მემუარებშიც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტისადმი ბუშის ადმინისტრაციის გაფრთხილების შესახებ - არ ჩაედინა რაიმე სისულელე და არ ჩართულიყო რუსულ პროვოკაციაში.. აფრთხილებდა, რომ ომის შემთხვევაში ვერ დაეხმარებოდნენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ლეგიტიმურია შეკითხვები, რომელიც ჩვენს საზოგადოებას უჩნდება - რისი ან ვისი იმედი ჰქონდა სააკაშვილს? ხომ არ ემთხვევა ეს სისულელეები რუსეთის ინტერესებს?

— მოსკოვის მიერ თბილისთან ურთიერთობების დალაგების შესახებ საუბრობს ასევე ბიზნესმენი და რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ პროხოროვი...

— იგივე მიზეზით, რაც ზემოთ მოგახსენეთ, საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარების თემა საკმაოდ პოპულარულია რუსეთში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესში. კვლავ პუტინის განცხადებას დავუბრუნდები. საქართველოს სახელისუფლო მედია და დაქირავებული ექსპერტები მისი განცხადების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პასაჟის ინტერპრეტაციას ცდილობენ. დააკვირდით! პუტინი ფაქტიურად ღიად მიუთითებს იმ პოლიტიკოსებისადმი მხარდაჭერაზე, რომლებიც მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მონუმენტის საძირკველის ჩაყრაზე ჩავიდნენ. სახელისუფლო პროპაგანდა კი მიუთითებს, რომ პუტინი ივანიშვილზე საუბრობსო. რაშია საქმე, კითხვა არ იციან? ამ დონის უცოდინარობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ.

რეალურად რა ხდება: საქართველოს ხელისუფლება, საკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტამდე ცდილობს თავი მის ერთადერთ მოკავშირედ წარმოადგინოს და ივანიშვილის დისკრედიტაცია მისთვის პრორუსულობის დაბრალებით მოახდინოს. მოსკოვისათვის (თუნდაც პროხოროვის პრეზიდენტობა რომ დავუშვათ) ყველაზე მოსახერხებელი პარტნიორი საქართველოს არსებული ხელისუფლებაა, რომელიც დასავლეთისაკენ სწრაფვის პროცესის ილუზიას ქმნის.

შევაჯამოთ: სახელისუფლებო პროპაგანდა ცდილობს ივანიშვილს წაართვას ელექტორატი, მათ შორის, ვინც რადიკალურად ანტირუსულ პოზიციაზე დგას და დასავლური ინტერესების ერთადერთ დამცველად წარმოაჩინოს თავი. რუსეთი ცდილობს წამოსწიოს ცალსახად პრორუსული ოპოზიცია და ამით შეასუსტოს პროდასავლური ოპოზიცია. ფაქტიურად, ოფიციალური მოსკოვის და თბილისის პოზიციები კვლავ ემთხვევა. საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ივანიშვილის პოზიციას ალტერნატივა არა აქვს, იგი აცახდებს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პრიორიტეტულობის შესახებ და ამავე დროს რეალური შანსები აქვს ამ რესურსის გამოყენებით პრობლემები მოაგვაროს რუსეთთან. გამოკითხვები გვიჩვენებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ასეთ პოზიციას იზიარებს.

— რამდენად არის მოსალოდნელი რუსეთთან დიალოგის შემთხვევაში აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციის პერსპექტივა?

— თუ გახსოვთ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში იმასაც წერს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა კიდევ ერთხელ არ ისმინა მათი რჩევა და მომხდარისათვის ევროპის დადანაშაულება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით რაისი ამბობს: მე ისე გავცეცხლდი სააკაშვილზე, რომ ლაპარაკიც კი არ შემეძლო. ბევრმა არ იცის, რომ 2009 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ არსებობდა აფხაზეთში გაეროს მისიის შენარჩუნების პერსპექტივა. მაშინ გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან გი-მუნმა საკმაოდ ეფექტური მანდატი შესთავაზა უშიშროების საბჭოს, თუმცა ნეიტრალური დასახელებით. საქართველოს წარმომადგენელმა გაეროში ლომაიმპან გი-მუნს რუსეთის შანტაჟს აყოლილი უწოდა. იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლება, ნაცვლად მოლაპარაკებების რეჟიმის შექმნისა, კონფრონტაციულ გარემოს ქმნის და არა მარტო რუსეთთან. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ოკუპაციას აღიარებს, სამართლებრივი რეალობაა და არა ჩვენი დიპლომატიის დამსახურება. საერთაშორისო, რეგიონალური და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, რასაკვირველია, უმჯობესია, რომ პრობლემების გადაწყვეტის პოლიტიკური ნება არა მარტო დასავლეთში, არამედ თავად რუსეთშიც არსებობდეს. გამოსავალს მსოფლიო მასშტაბის ძალების პოზიციების დაახლოებაში ვხედავ, სადაც საქართველოს ინტერესები იქნება გათვალისწინებული. ვერ გამიგია, რას ხედავს ხელისუფლება ჩვენთვის მომგებიანს მათ დაპირისპირებაში.

ნინო ფირცხალავა

qurdebis xelisufleba unda damTavrdes!

ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა და მომავალ შედეგებზე ვესაუბრებით პარლამენტარ პეტრე მამრაძეს.

— ბატონო პეტრე, როგორ უყურებთ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას, 2012 საარჩევნო წელია და ოპოზიცია კვლავ ხელისუფლების შეცვლაზე საუბრობს, მითუმეტეს, დღეს უკვე მათ ლიდერად ბიძინა ივანიშვილი მოიაზრება. თქვენ მას პირადად იცნობთ როგორც პიროვნებას, შესძლებს რომ იყოს წარმატებული პოლიტიკური ლიდერი?

— ბატონი ბიძინა გავიცანი მრავალი წლის წინ და დღეს მის გამოჩენას პოლიტიკაში იმედიანად ვუყურებ. მჯერა, რომ ის წარმატებას მიაღწევს. ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც როდესაც ის საქართველოში ჩამოდიოდა, ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა, ქველმოქმედებას ეწეოდა, თუმცა ისე, რომ მისი გვარი არ დაფიქსირებულიყო. მარტო სამების ტაძარი არ ყოფილა, მან ბევრჯერ ჩადო თანხები ქართულ მრეწველობაში. მისი კრედო იყო ასეთი, რომ ის საქართველოში ფულის კეთებას არ აპირებდა, სურდა აქ დაეხარჯა და ქვეყნისათვის მოეხმარებინა თანხები, რაც იშოვა. დღეს მას ხშირად აბრალებენ „ხაზინის ქურდები“, რომ მას აქვს რუსული ფული, იმ ავტორიტარული რეჟიმის დროს, როცა ქვეყანა იცლება მყარი ვალუტისაგან, ჩვენი ექსპორტ-იმპორტის დისბალანსი საკმაოდ დიდია. როცა ასეთ პირობებში ადამიანმა გარეთ ნაშოვნი ფული ქვეყანაში შემოიტანა და მას უკიჟინებენ, ეს არის ტრაგედია.

— შევარდნაძის დროს როგორ ხდებოდა, იმ დროსაც ხომ ეწეოდა ის ქველმოქმედებას და არ იყო უცხო ყველასათვის ეს ქმედება?

— შევარდნაძის დროს თუ ის რომელიმე სეროიოზულ დაწესებულებას ხსნიდა, რომელიც ბატონი ბიძინას მიერ იყო დაფინანსებული, ბატონი ედუარდი ამბობდა, რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი ქართველი ქველმოქმედის მიერ იყო გაკეთებული და ეს პიროვნება სთხოვდა ყველას, რომ მისი სახელი და გვარი არ დაესახელებინათ. **ერმა და ბერმა ხომ იცოდა, ვინ იყო ეს ერთი კაცი?** ასე მიაგებდა ის პატივს ამ ქველმოქმედის ღვაწლს. შევარდნაძის შემდეგ კი ახალმა ხელისუფლებმა ისე ჭრეს „წითელი ლენტები“ და გახსნეს ობიექტები, რომ ერთხელ არ უხსენებიათ მისი სახელი. სხვათაშორის ვაჟა ლორთქიფანიძემ თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილს რუსული ფული არ დარჩენია, რადგანაც ის ამ ხელისუფლებას მოახმარაო.

ეხლა არსებითად რა ხდება, ჯერ მოდი, ჩავწვდეთ, რა ვითარებაა დღეს საქართველოში?

ჩვენთან დღეს არის ავტორიტარული კლეპტოკრატია, რაც ნიშნავს „ქურდების ხელისუფლებას“, ლაპარაკია ხაზინის ქურდებზე, ხალხზე, ვინც სრული მონოპოლია აიღეს ფასების დაწესებაზე, ექსპორტზე იმპორტზე, ბიუჯეტიდან თანხების გახარჯვაზე და ა.შ.

მალე მოვა დრო, როცა ისინი ყოველივე ამაზე პასუხს აგებენ და მათ აღიარებით ჩვენებებს მოვისმენთ. თუმცა, ახლაც გვახსოვს, თუ რა დაჯდა ესა თუ ის ძეგლი, ან დეკორატიული ხიდი, ზოგი ისეთიც, რომელიც მეორე დღესვე ჩაინგრა. ეს ყველაფერი დიდი დანაშაულია!

ივანიშვილი სააკაშვილს 2008 წელს იანვარში დაემშვიდობა კიდეც ტელეფონით, რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდა აქედან წასვლა. ორივეჯერ ვაჟიშვილებმა უთხრეს უარი, რადგანაც მათ სურდათ ქვეყნის გადარჩენა. ამიტომაც დარჩა ის ქვეყანაში და განაცხადა კიდეც, რომ სრულიად მოუმზადებლად გადადგა ეს ნაბიჯი. ახლახან ინტერვიუში ტომას დე ვაალს უთხრა — **მე რომ დამენახა, რომ ნამდვილ ოპოზიციას შეუძლია გაიმარჯვოს და შევიდეს პარლამენტში ჩემი დახმარების გარეშე, მე არ მოვიდოდი საერთოდ პოლიტიკაშიო. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ისინი ამას ვერ შეძლებენ და უნდა დავეხმარო მათ“.**

ამის შემდეგ მის წინააღმდეგ მიმართულ უსამართლობას და უკანონობას ზღვარი არ აქვს.

საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ასეთი გაუგონარი რამ, რომ ქველმოქმედსა და მეცენატს მოქალაქეობა წაართვეს და სამაგიეროდ, მოქალაქეობა მისცეს გოგონას, რომელსაც სურდა, რომ ბიკინის ამარა ევლო პოდიუმზე! ის ხომ რუსეთის მოქალაქე იყო, მაშინ შეხედეს ამას სერიოზულად?

მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა არის ყველაზე დიდი ქველმოქმედება ქვეყნის წინაშე — რაც კი მას ოდესმე გაუკეთებია!

თუ სააკაშვილი და ზოგიერთები ყოველდღიურად ტკბებიან თავიანთი თანამდებობებით, ამას „ჰქვია ძალაუფლებით თრობა“, ისინი დღეს სრულიად ჩამოუყალიბებლად, შეუთანხმებლად წყვეტენ თუ სად რა ძეგლი დაიდგას, ან რა აშენდეს — ხალხის ფულით. ისინი რასაც მოისურვებენ — სრულდება.

მალე გაიგებს მთელი საზოგადოება თუ როგორ მოკლეს როინ შავაძე და დავით ცინდელიანი. ვისი დავალებით მოხდა მათი სიკვდილი, ეს დრო ახლოვდება.

თუ ძეგლებზეა ლაპარაკი, მალე მოხდება ისიც, რომ გორში აღიმართება — დაჩოქებული სააკაშვილის ძეგლი! ქართველი მოქანდაკეები აღმართავენ ამას და ეს იქნება წერტილი იმ სამარცხვინო ისტორიისა, რაც ამ წლებში გავიარეთ.

biZina ivaniSvili politikaSi mosvla yvelaze didi qvelmoqmedebaa saqarTvelosTvis, rac mas odesme gaukeTebia

— ბიძინა ივანიშვილი როგორ შეძლებს გზის გაკვლევას გამარჯვებამდე?

— მე არაერთი ჭკვიანი ექსპერტისაგან კონფიდენციალურ საუბრებში მომისმენია, რომ ჯობდა მას პოლიტიკური პარტიებისათვის საერთოდ არ მიემართა, დარჩენილიყო საზოგადოებრივი მოძრაობის ფარგლებში იმიტომ, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები დღეს დისკრედიტირებულია, მათი პოპულარობა და რეიტინგი ძალიან დაბალია. მათმა უაზრო ქმედებებმა გაუხანგრძლივა სააკაშვილის რეჟიმს სიცოცხლე. მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ ქართველი ოპოზიციონერები დესტრუქციულ ძალას წარმოადგენენ. ბევრს უთქვამს პირადად ჩემთვის, რომ ასეთი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლას კიდევ სააკაშვილი ურჩევნიათ.

ტომას დე ვაალმა ივანიშვილი ასე შეაფასა. „თუ მისი პირველი გამოსვლა არ იყო პოლიტიკოსის განცხადება, ორი კვირის შემდეგ მან დაიწყო ნამდვილი პოლიტიკური ენით ლაპარაკი“— აი, რა შეუძლია ამ კაცს!

ასე რომ, წინსვლა აუცილებლად იქნება!

მე სხვა უცხოელების აზრსაც გეტყვით, როცა „ქართუ“ ბანკის წინ ხალხი ჩამწკრივდა, უცხოელებმა გადაწყვიტეს თავად ენახათ ის, რომ ხალხს ფული ბანკიდან კი არ გაჰქონდათ მისი გაკოტრების შესაძლო შემთხვევაში, არამედ უკანასკნელ 10 ლარს სდებდნენ მის გადასარჩენად.

მაშინ უცხოელებმა მითხრეს, რომ როგორც ჩანს, საქართველოში იწყება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ისეთი მოძრაობა, რომელმაც შეიძლება ქვეყანა მართლაც გადაარჩინოსო.

დიპლომატიურ კორპუსთან ივანიშვილის შეხვედრის შემდეგ კი მათ თქვეს, რომ **ეს ადამიანი მათ ვაცლავ ჰაველს აგონებთ.** ისიც მოუმზადებელი მოვიდა პოლიტიკაში, მაგრამ ბოლოს აოცებდა ხალხს თავისი გენიალობით. თავად მას ეკუთვნის სიტყვები, რომელიც თავისი ქვეყნის საზოგადოებას მიუძღვნა — **„ძალა უძალოთა“,** ეს იყო ხალხი რომელმაც ბოლოს გაიმარჯვა:

დე ვაალი წერს, რომ საქართველოში ყოფნისას ის მრავალ ადამიანს გაესაუბრა და თითქმის ათიდან ათის არჩევანი დღეს ივანიშვილია და არა დღევანდელი პრეზიდენტი. მკითხეთ, მოახერხებს თუ არა ივანიშვილი გამარჯვებასო, მე გპასუხობთ — ხალხის ნება ყველაფერს მოახერხებს, როგორი რეჟიმიც არ უნდა იყოს საქართველოში! გინდაც ჩაუშესკუ იყოს და გინდაც სხვა დიქტატორი. **თუ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა შინაგანად უარს იტყვის რეჟიმზე, და როცა ეს შინაგანი უარი გადავა აქტიურ მოქმედებებში — მაშინ რეჟიმის დღეები დათვლილია!** შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ჯარიც და პოლიციაც ჩვენი ხალხის განუყოფელი და ღირსეული ნაწილია და მე კარგად ვიცი მათი განწყობა.

ცინდელიანისა და შავაძის მკვლელობის დეტალები თავად პოლიციელებმა არ გაამჟღავნეს? ასე რომ, დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ხალხის მშვიდობიანი საპროტესტო განწყობა და ქმედება გადაიზრდება კანონიერ, დემოკრატიულ ქმედებებში და თუ ხალხი მასობრივად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ამის შემდეგ ვერაფერს გააყალბებენ და თუ შეეცდებიან რამეს, მაშინ მილიონობით ადამიანი გამოვა ქუჩაში და გადაჰყვებიან ამ გაყალბებას. ისიც თუ დაგვავიწყდება, „ვარდების რევოლუციაც“ სწორედ პარლამენტის არჩევნების გამო მოხდა თორემ შევარდნაძეს არ ირჩევდნენ მაშინაც?

— როგორ შეიძლება განვითარდეს ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან 4 მარტის არჩევნების შემდეგ და ამერიკასთან ირანთან მოსალოდნელი ომის სიტუაციაში?

— ამ ორივე ქვეყნისათვის პუტინი ჩეკისტია და მან უკვე გამოიყენა ჩვენი ფსიქოპათი პრეზიდენტი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კიდევ რას მოიფიქრებს — ეს გაურკვეველია. **საქართველოს გამო ამერიკა რუსეთს არასოდეს არ დაუპირისპირდება — ეს თქვა ნიქსონმა, ასეა დღესაც.** ვფიქრობ, ირანთან მასშტაბური ომი არ მოხდება, ისეთი, რომ ჩვენ რეგიონს შეეხოს. ამერიკა-რუსეთთან დაპირისპირებაზე საქართველოში არ წავა, ეს გამორიცხულია. ნებისმიერი რამის განთავსება მოხდება მხოლოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთშეთანხმებით და არა დაპირისპირებით. დღესაც ავღანეთში მიმავალი მათი ტვირთები გადის რუსეთზე.

ემერ კასრელიშვილი

rogor `daaverbovkes~ daviT aqubardia davin uZRvnis Salvanate laSvils skabrezul leqsebs?

გასულ კვირას „კავკასიის“ ეთერში შალვა ნათელაშვილს და დავით აქუბარდიას დიდი დაკადაკა ჰქონდათ.

ნათელაშვილმა, რომელიც ბოლო ხანებში „ნაცმოძრაობის“ მოხალისე აგიტატორის როლს ასრულებს და გააფთრებული ლანძღავს ბიძინა ივანიშვილს, აქუბარდიაც არ დაინდო და საკუთარ სახლში, ანუ საკუთარ ტელევიზიაში ბატონი აქუ ვერცხლისმოყვარეობაში დაადანაშაულა.

ეჭვი, რომ ბატონი აქუ ადვილად და იოლად იყიდება, ნათელაშვილამდეც ბევრს გამოუთქვამს. ის კი არა და ზოგიერთების მტკიცებით, აქუბარდიას ხმის ტემბრშიც კი ეტყობა, ვისგან რამდენი აქვს აღებული – როცა სერიოზული თანხა აქვს ათვისებული, ბატონ აქუს ხმა უწვრილდება, უწვრილდება და ჩიტივით იწყებს ჟღურტულს და ღულუნს.

თაფლივით ტკბილი ხდება აქუ ამ დროს და ფულის წყაროს ისე ელამუნება და ელაციცება, როგორც პეპელა სანთლის ალს.

ეგეთი ინტიმური, ფამილარული დამოკიდებულება ფულის მომცემი სუბიექტისადმი იშვიათად მინახავს ქართულ მედიაში.

ვის არ „ჰყვარობდა“ ბატონი აქუ და ვის არ ეგებოდა ფეხქვეშ, თუმცა ხანდახან ისეთ გადაცემასაც გამოურევდა, რომ გულუბრყვილო, მიმნდობი და პიარტრიუკებში ჩაუხედავი აუდიტორია ადვილად იჯერებდა ზღაპარს აქუს გულწრფელობასა და ქალწულებრივ უმანკოებაზე.

„შენ თუ გვიშველი, აქუ“, „შენისთანა ერისკაცები სჭირდება ერს“, „გაგვიძეხი წინ, გამარჯვებისკენ“, – ასეთ მესიჯებს უხვად ნახავდით და ნახავთ „კავკასიის“ ეკრანზე.

ერთი პერიოდი კინაღამ პრეზიდენტობას გამოჰკრა ხელი თავდადებულმა აქუმ – შენ უნდა იყო ჩვენი პრეზიდენტიო, – დაჟინებით ითხოვდა მაყურებელთა ერთი ჯგუფი და მესიჯს მესიჯზე აგზავნიდა, თუმცა აქუბარდია უარის ნიშნად ხელებს ასავსავებდა.

მერე მადლიერმა ქართველმა ხალხმა ერთ-ერთ მიტინგზე ისე აბურთავა გმირი აქუ, საწყალმა კინაღამ ტვინის შერყევა მიიღო, მაგრამ ტვინის შერყევას ვინ ჩივის, როცა ქვეყნის სამსახურზეა ლაპარაკი.

„ქვეყნის მსახურმა“ აქუმ, როგორც თავად ამტკიცებს, მართლმადიდებელმა ქართველმა, მართლმადიდებლობას გამოსარჩლებული ქართველი ახალგაზრდები საციხედ გაიმეტა და ეს ისე გააკეთა, არც მას და არც მის „კნეინას“ წარბიც არ შეუხრიათ.

თამამად შეიძლება ითქვას, ქართულ ტელეჟურნალისტიკაში დავით აქუბარდია ერთ-ერთი ყველაზე დაოსტატებული თვალთმაქცია, რომელიც გულწრფელი, ალალი, მიმნდობი, გულუბრყვილო და მიამიტი ადამიანის როლს ისე თამაშობს, თუ ძალიან გავარჯიშებული არ გაქვს მზერა და სმენა, შეიძლება ვერც მიხვდე, რომ ეს კაცი თამაშობს.

* * *

„–გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან სხვებთან ერთად ტელეკომპანია „კავკასიაც“ ქუჩაში რომ გამოყარეს, აქუბარდია სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. არ იცოდა, რა ექნა, სად განეთავსებინა ეს სიმწრით შეკოწიწებული ტელევიზია, არ იყო ფული, დამფინანსებელი და მხარში დამდგომიც არავინ ჩანდა.

ერთ საღამოს, უფრო ზუსტად, გვიან ღამე აქუბარდიას მისი ახლობელი ადამიანი ესტუმრა, რომელიც იმ დროს უშიშროებაში მუშაობდა.

სტუმარი დაჰპირდა აქუბარდიას, რომ ყველა პრობლემას მოუხსნიდა, თუ ტელეკომპანია სატელევიზიო პოლიტიკას შეცვლიდა და ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალური გახდებოდა. ამავე დროს საჭირო მომენტში, კრიზისულ სიტუაციაში იმ თამაშს ითამაშებდა, რაც ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა.

აი, ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა აქუბარდიას შესახებ ერთმა პიროვნებამ, რომლის ვინაობასაც აქ ვერ დავასახელებთ, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ეს ადამიანიც, იმ სტუმარივით, აქუბარდიას საახლობლო წრიდანაა. ყოველ შემთხვევაში, დიდხანს იყო, თუმცა მერე ხასიათებით ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და გაიყარნენ.

* * *

ქართველი მამაკაცი, რომელიც საჯაროდ და სახალხოდ, აუგად მოიხსენიებს მანდილოსანს, ან ქართველი არ არის, ან მამაკაცი არ არის.

დავით აქუბარდიამ შალვა ნათელაშვილის მიერ წაკითხული რაღაც სკაბრეზული იდიოტიზმის ავტორად დაასახელა ქალბატონი, რომელსაც ამ ლექსთან, რა თქმა უნდა, არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს, თანაც ეს ქალბატონი მოიხსენია ვინმე კასპელ შინაბერად, რომელიც ივანიშვილის დაკვეთით ამგვარ უხამსობებს წერს თურმე:

„დავითი: *რაც შენ ბიძინას გადაეკიდე, ჩვენც ზედ მიგვაყოლე და უკვე ობიექტურობას კარგავ.*

შალვა: *(კითხულობს ლექსს) კლასიკური აღვირახსნილი გინება მოგვწერა ეთიკის, ზრდილობის და წესიერების განსახიერებამ, როგორსაც სურს წარმოიჩინოს თავისი თავი...*

დავითი: *ვისზეა ლაპარაკი?*

შალვა: *ივანიშვილზე.*

დავითი: *არაა ეს ივანიშვილის დაწერილი, ვიცი, კაცო, ქალი რომ ჰყავს იქ ერთი, მოიცადე, რა გვარია, კასპელი ქალია, შინაბერა... შალვა, კარგი, რა... შვილებს გეფიცები, ვიცი რა, ბიჭო, მეც გამლანძღა იქა, წაიკითხე, ჩემზეც არის იქ ლანძღვა. იმ ქალმა მეც მიმალანძღა ზედ. წაიკითხე მანდ, ჩემზეც წერია რაღაც საშინელებები...*

პარტიის პოზიცია არის, რომ „კავკასია“ მიეყიდა ბიძინა ივანიშვილსო. მე გეუბნები, ფაქტი დამიდე-მეთქი და რაღაცა, ვიღაცა შინაბერას ნაბოდვარს მიკითხავ აქ, კარგი, რა შალვა... ვიცი, გავარკვიე, ვინც იყო. ახლავე გეტყვი, ნაბახტეველი თუ ბახტურა, თუ რაღაცა გვარის ქალი არის. არ მინდა ახლა იმ ქალზე გავვრცელდე დიდხანს, მაგრამ...

შალვა: *ქალის დაწერილი არ არის ეს.*

დავითი: *დედას გეფიცები, დავაზუსტე...“*

სად დააზუსტეთ, ბატონო აქუ, თქვენ, რომ ეს ქალბატონი, სხვათაშორის, ნიჭიერი ჟურნალისტი და უაღრესად წესიერი ადამიანი, სკაბრეზულ ლექსებს წერს და პოლიტიკოსებს უგზავნის?

დედას მაინც რატომ იმეტებთ თქვენი ცილისწამების სიმართლედ გასასაღებლად? ბოლოსდაბოლოს, აქუბარდია ხართ თუ დოქსოპულო?

როცა ასე იოლად, ასე ხელაღებით შეგიძლია გალანძღო ადამიანი, მითუმეტეს, მანდილოსანი, ასე იოლად და ხელაღებით გაიმეტებ სხვებსაც და, თუ დაგჭირდა, სამშობლოსაც.

სხვათაშორის, როცა სამშობლოს მართლაც ძალიან უჭირდა, ბატონ აქუს პირველი ცოლი, შესანიშნავი პოეტი ლია ბედოშვილი დაადგა თავს და – ადე, სირცხვილია გარეთ ქართველ ბიჭებს ხოცავენ, ჩვენ კი სახლში ვეყარნეთ?... ავერ ავტომატი, მოკიდე ხელი და წავიდეთ, ვიომოთო, – უთხრა.

ბატონ აქუს ომში წასვლაზე კატეგორიული უარი განუცხადებია და საწოლქვეშ შემძვრალა.

მაშინ იყო ქალბატონმა ლიამ ტაკოში რომ დაკოდა დეზერტირი მეუღლე. ცოლის მიერ ტაკოში დაკოდილი კაცისგან, აბა, რა უნდა გიკვირდეს?

ცოლის მიერ ტაკოში დაკოლილ კაცს რა პასუხი უნდა მოსთხოვო, თორემ ბატონი აქუ თავისი მორიგი არაკაცური საქციელის გამო მაგრად რომ არის გასასილაქებელი, ფაქტია.

* * *

ხელისუფლების მიერ საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით, ელექტრონული მედიის მონოპოლიზებამ თავისუფალი, ოპოზიციური აზრის გამოხატვის ტექნიკური საშუალებების დეფიციტი გამოიწვია.

სწორედ ამან შეუქმნა სასათბურე პირობები „კავკასიას“ და „მაესტროს“ გამოჩენამდე იგი, ფაქტობრივად, მარტოდმარტო „ემსახურებოდა“ ოპოზიციურ პარტიებს.

„კავკასია“ ემსახურებოდა ყველას, ვინც სათანადო ანაზღაურებას გადაიხდიდა, ტრიბუნას აძლევდა ყველას, რომლისგანაც რაღაც სარფს გამოელოდა.

უძაღლო ქვეყანაში კატას რომ აყეფებდნენ, ისე იყო „კავკასიის“ საქმე.

თუმცა რაღა იყო, ახლაც ასეა და, ეტყობა, კიდევ კარგა ხანს ასევე დარჩება, ხოლო თვალში ნაცარშეყრილი და გაპამპულავებული მაყურებელი კვლავ „კავკასიის“ „ფორთოჩკას“ მიადგება „სიმართლის“ გასაგებად, რადგან სხვა გზა უბრალოდ – არ აქვს.

* * *

ვინც ნათელაშვილისა და აქუბარდიას შერკინებას უყურა, შეიძლება აღფრთოვანებული დარჩენილიყო ბატონი აქუს სიმამაცით, რომელიც ხმალამოღებული იცავდა ბიძინა ივანიშვილს მუხრუჭებაშვებული მთავარი ლეიბორისტის ლანძღვა-გინებისაგან.

თუმცა ჩვენ ის აქუბარდიაც გვახსოვს, რომელიც ერთ-ერთ მედიაჰოლდინგთან ერთად ამ ორიოდე წლის წინათ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული უბინძურესი კამპანიის ორგანიზატორად რომ მოგვევლინა.

ჩვენ ის ადამიანებიც კარგად გვახსოვს, რომლებიც ამ კამპანიის აქტიური მონაწილეები იყვნენ და ლაფსა და ტალახს ესროდნენ ივანიშვილს, ახლა კი, ვითომც არაფერი მომხდარაო, „ქართულ ოცნებასთან“ მიჩოჩებას ცდილობენ.

ადამიანს თუ ერთხელ გაუწყდა შუბლის ძარღვი, მერე იმის ურცხვობას და უტიფრობას საზღვარი არ აქვს.

ტელეკომპანიებიდან, გაზეთებიდან, პოლიტიკური ტრიბუნებიდან მოვარდნილმა თვალთმაქცობის და უტიფრობის ღვარცოფმა წალეკა და წაბილწა ეს ქვეყანა.

თვალთმაქცობის კლასიკური ნიმუში იყო ის ფინალი, რითაც ნათელაშვილ-აქუბარდიას „ომი“ დამთავრდა.

– მახსოვს, კარგი კონიაკი გაჩუქე მე შენ, წავიდეთ შენთან და დავლიოთო, – უთხრა გადაცემის ბოლოს ბ-ნ აქუმ ბ-ნ შალვას, რითაც ნათლად მიანიშნა:

– ბიჭო, მწარე-მწარე რაღაცრაღაცები რომ გითხარი, გულთან ახლოს არ მიიტანო. საქმეს სჭირდება ასე, თორემ ჩვენს ძმობას ვიღაც ივანიშვილს როგორ ვანაცვალებო.

აი, ასეთი „პრინციპული“ კაცია ბატონი აქუ, ცალ დუნდულაზე წაფერდებული ზის თავის „ტელეწისქვილში“ და საინფორმაციო ვაკუუმში ჩათვლემილ ქვეყანას ტყუილ-მართლის ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს.

გიორგი გამეზარდაშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

Cven swored es fasaduri demokratia unda davangrioT da namdvili demokratiis mSenebloba daviwyoT

გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში **ზაზა გოგსაძე:**

— ბატონო ზაზა, ქვეყანა დაღუპვის პირასაა, ხელისუფლება კი ისეთ კანონებს იღებს, ოპოზიციას ხელ-ფეხი შეკრული აქვს. საზოგადოება ოპოზიციის პასიურობით უკმაყოფილოა.

— სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანა გვეღუპება, გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. შემოდგომამდე 9 თვეღა რჩება, იმედი გვაქვს ხალხი არჩევნებზე მოვა, დიდი აქტივობა იქნება და სწორედ ამის შედეგად ხელისუფლება შეიცვლება. რასაკვირველია, ეს ადვილი არ იქნება, მზად ვართ სიძნელეების დასაძლევად, მაგრამ, ძირითადად ყველაფერი ხალხის აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. — ხშირად მსმენია თუ „მათ“ უნდათ გადააყენებენ პრეზიდენტს, თუ არ უნდათ — არ გადააყენებენო. ვის „მათ“, ვინ იგულისხმება?! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს. რა თქმა უნდა გაყალბებულ არჩევნებს მხარს აღარავინ დაუჭერს. დარწმუნებული ვარ, სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ იზეიმებს. ძნელი იქნება, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, უბრძოლველად არაფერი გამოვა.

— ბრძოლაში რას გულისხმობთ?

— უნდა ვიბრძოლოთ იმ ჩარჩოებში, რასაც ქვეყნის კონსტიტუცია, არჩევნების ობიექტურად ჩატარება ჰქვია.

— არჩევნების გაყალბების შემთხვევაში რა ფორმით გააგრძელებთ ბრძოლას?

— იცით რა, რატომღაც მჯერა, რომ ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივა და ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება. თუმცა, გამორიცხული არაფერია. თუ ხელისუფლება არჩევნებს კატასტროფულად გააყალბებს, მაშინ ხალხის რისხვას წინ ვერაფერი დაუდგება. ხალხი არავის აღარ დაელოდება და თავად გამოვა გარეთ საკუთარი უფლებების დასაცავად. დაუწერელი კანონია, რომ რაღაც პროცენტით გაყალბება ყოველთვის ხდება, მაგრამ თუ ეს მარჯა ზღვარს სცდება, სახელმწიფოს შიგნით იწყება არასასურველი მღელვარება, რაც ხელისუფლების შეცვლით სრულდება.

— ხშირად მესმის, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში საპროტესტო ტალღის გარეშე ხელისუფლების დიქტატურული რეჟიმის შეცვლა არ მომხდარა. მაშინ ჩვენ რატომ ველოდებით არჩევნებს?

— ჩვენი ამოსავალი წერტილი არჩევნებია. ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში ცვლილება არჩევნების გზით უნდა მოხდეს, თუ გვინდა გართულებები თავიდან ავიცილოთ და ნორმალური განვითარების გზით წავიდეთ. თუ ხელისუფლება ნორმალურ თამაშს ითამაშებს, მაშინ პრობლემებს თავიდან ავიცილებთ, მაგრამ თუ იგი შეეცდება ხმები თავისკენ გაყალბებით გადაქაჩოს, ხალხი უბრალოდ აღარ მოითმენს. იმედი მაქვს, გაყალბების

შემთხვევაში უცხოეთიდანაც იქნება ზეწოლა, ჩვენც ვიაქტიურებთ.

— თქვენ ახლა ახსენეთ თუ ხელისუფლება ნორმალური წესებით ითამაშებს ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ვხედავთ, რომ ხელისუფლება წესების დაცვას არ აპირებს, ახალ-ახალი კანონებით ზღუდავს ოპოზიციურ პარტიებს. ასეთ დროს არჩევნებზე საუბარია გამოსავალი?

— მართალი ხართ, სამწუხაროდ ასე ხდება. ბოლოს მიღებული კანონებით აშკარაა, რომ ხელისუფლება ნერვებს ვედარ თოკავს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ არჩევნებამდე ეს საკითხი დარეგულირდება. თუ არა და ვიმეორებ, ხალხის აღშფოთებას, მის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება.

— ამ ეტაპზე კანონების ისეთი წრეა შეკრული, ოპოზიციურ პარტიებს არჩევნებში დიდი გასაქანი ნამდვილად არ აქვთ. ამ ფონზე გამორიცხულია ხელისუფლებამ დემოკრატიული არჩევნები ჩაატაროს. ამაზე ხმას რატომ არავინ იღებს?

— რასაკვირველია, გეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არჩევნებში მონაწილეობისას, რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, მაგრამ თუ ხალხის აქტივობა ძალიან მაღალი იქნება, ამის გადაფარვაც შეიძლება.

— თუნდაც ხალხის მაღალმა აქტივობამ ამ კანონების წინააღმდეგ როგორ უნდა გაილაშქროს?

— გასაგებია, ეს ყველაფერი, მაგრამ ხელისუფლება იძულებული იქნება უკან დაიხიოს. ჩვენ ყველანაირად ვიბრძვით, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების აქტიურად მიპყრობას ვცდილობთ და ვნახოთ რა გამოვა. ბოროტება არასდროს იმარჯვებს, იგი მაინც მარცხდება სიკეთით. თუმცაღა ვაღიარებ, რომ რთულ ვითარებაში ვართ. თუ ასე გაგრძელდება საპროტესტო ტალღა თავისით წამოვა თუ არაფერი შეიცვლება, თუ ხელისუფლება ჯიუტად აიფარებს ნიღაბს, ეს თავისთავად მოხდება.

— თუ ასე გაგრძელდა ხომ შეიძლება ქვეყანა არჩევნებამდე საერთოდ ვერ მივიდეს?

— ეს მით უფრო უარესი, მაკომპრომეტირებელი იქნება ხელისუფლებისთვის. იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობთ სამართლიანი გზით; არჩევნებით შევცვალოთ ხელისუფლება. რასაკვირველია, ხელისუფლებას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, ძირითადი რესურსები მის ხელთაა, თუმცა, ასეთ შემთხვევაში იგი თავად მოიჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის. თუ რეპრესიები გაგრძელდა, არსებობს საშიშროება, რომ არჩევნებამდე ვერ მივიდეთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ასე არ მოხდება.

— მიუხედავად ხელისუფლების „სიურპრიზებისა“ თქვენ მაინც არჩევნებზე საუბრობთ. ოპოზიციისგან ხშირად მსმენია, ახლა ქუჩაში გამოსვლა ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალსო.

— რასაკვირველია, ეს თეორიაც არსებობს. ჩვენ, ყოველდღიური რეალური მოქმედებით ხაზს უსვამთ იმას, რომ გვინდა საქართველოში ნამდვილი არჩევნების ჩატარება, ვზრუნავთ ხალხზე და ვთვლით — ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს რევოლუციებით ხელისუფლების შეცვლა, რაც ქვეყნის აღმშენებლობისთვის იქნება კარგი. რა თქმა უნდა საკაშვილს აწყობს, რომ ეს ასე არ მოხდეს. ვიზიარებ მოსაზრებას, რომ პრეზიდენტის ინტერესებში შედის თუ ხალხი გარეთ გამოვიდეს და მისი გადადგომა მოითხოვოს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, ხალხის ქუჩაში გამოსვლას ვერავინ შეაკავებს. გააჩნია მოთხოვნებს. თუ ეს კანონები არ შეიცვალა, შეიძლება პროტესტის გამოხატვა, ეს კანონიერი ფორმაა.

— გეთანხმებით, თუმცა მავანი მიიჩნევს, რომ შედეგს მხოლოდ არჩევნებით მიაღწევს, რის საშუალებასაც დღევანდელი კანონმდებლობა არ გვაძლევს. პროტესტს კი რატომღაც რევოლუციად თვლიან. არადა მშვიდობიანი პროტესტიც ხომ არსებობს? თუნდაც, რატომ არ შეიძლება მშვიდობიანი პროტესტის ფორმით ხალხმა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნება მოითხოვოს?

— რასაკვირველია. ვნახოთ რა იქნება. წინასწარ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ კანონიერება აღადგინოს და ბატონ ბიძინას დაუბრუნოს ის, რაც კანონიერად ეკუთვნის. ვერცერთი სახელმწიფოს ხელისუფლება ასეთ რამეს ვერ გააკეთებს იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც უდიდესი დამსახურება აქვს ქვეყნის, ერის წინაშე. ხელისუფლებას დაავიწყდა ის სიკეთეები, რაც მან გააკეთა. ხალხს არაფერი ავიწყდება. არ მეგულება სხვა სახელმწიფო, რომელიც ასე თავის ტანზე მოირგებს კონსტიტუციას, როგორც ეს ხელისუფლება აკეთებს.

— ხალხის ქუჩაში გამოსვლას ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებსო ბრძანეთ. ახლა, არ იყენებს ხელისუფლება თავის სასარგებლოდ ამ სამარისებურ სიჩუმეს?

— არ არის სიჩუმე. თქვენ თუ გგონიათ ხალხში სიწყნარეა და ფოთოლიც არ ირხევა, არ არის ეს სწორი, ხალხი შინაგანად ძალიან დაძაბულია, და რა დროს აფეთქდება არავინ იცის. ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი იყოს მშვიდობიანად, ხალხი საარჩევნო ყუთთან მივიდეს, ხმა მისცეს ვისაც უნდა, თავისი მრწამსის მიხედვით, ოღონდ არა შიშით.

— ხალხს პროტესტის გამოხატვის უფლება აქვთ, თუმცა ოპოზიცია ეუბნება არ გამოხვიდეთ გარეთ, სახლში იჯექითო.

— განა პროტესტი არ არის 500 ათასი ხელმოწერის შეგროვება?! შედეგი დადგება, ასე მარტვად არ ხდება არაფერი. არჩევნებამდე ჯერ კიდევ გვაქვს დრო. ბატონი ბიძინა აპრებს პარტიის შექმნას, შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდება ალიანსის შექმნის თაობაზე, სადაც კარი არავისთვისაა დაკეტილი.

— არჩევნებამდე მისვლა ხელისუფლებასაც ხომ არ აწყობს? ივანიშვილი ხალხს მოქმედების უფლებას არ აძლევს და ხომ არ ჩნდება ეჭვი, რომ იგი სააკაშვილის პროექტია?

— ივანიშვილს შეიძლება ყველაფერი დააბრალო სააკაშვილის პროექტში მონაწილეობის გარდა. იგი აქტიურად, ვაჟკაცურად, მაუღიშვილური სიყვარულით ჩაუდგა სათავეში ქვეყნის გადარჩენას. „ლეიბორისტები“ რასაც აბრალებენ, ამის დაჯერება როგორ შეიძლება.

— სხვათაშორის, რადგან „ლეიბორისტები“ ახსენეთ მინდა გკითხოთ. ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა ახსენა შუა უნდა გაიკრიფოსო.

— შუა-ში მან პოზიცია იგულისხმა. შეიძლება ადამიანი ჩუმად იყოს, ხმას ვერ იღებდეს, ბუნებრივი შიში ჰქონდეს — ამის გაკრეფაზე არ არის საუბარი. გაიხსენეთ „დათა თუთაშხია“ — ბრძენი კაცი იყო მამაჩემი ყუფარია, ერთთან მივიდოდა, ეტყოდა — შენ ხარ რაც ხარო, მერე მეორეს ეტყოდა იგივეს და ა.შ. აი, ასეთი შუა უნდა გაიკრიფოს. გაორებული ადამიანები უნდა გაიკრიფოს, თორემ შეიძლება ადამიანი ჩუმად იყოს, ვერ აქტიურობდეს, ეს სხვა საკითხია.

— თუმცა, ოპოზიცია, რომელიც ვერცერთ პოლუსზე ვერ მოხვდა, მესამე ძალად აპირებს ჩამოყალიბებას და აცხადებენ, რომ ისინი რეალური ქართული ძალა იქნებიან. მათ კონკურენტებად თუ მიიჩნევთ?

— მე მაინც მგონია რომ იქნება ორი პოლუსი — ხელისუფლების და ოპოზიციური, რომელსაც სათავეში ბატონი ბიძინა ჩაუდგება. ქართული ძალა არის სწორედ ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში. ეს არის სწორედ პროგრესული, ქართული ძალა და იმედი მაქვს ყველა გულანთებული მამულიშვილი, რომელსაც მართლაც სურს ხელისუფლების შეცვლა, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი იქნება.

— რაც შეეხება პარტიის მშენებლობას, რა ეტაპზეა იგი, როგორ მიმდინარეობს?

— ბატონ ბიძინას რეგულარულად აქვს შეხვედრები პარტიების, საზოგადოების წარმომადგენლებთან. უახლოეს ერთ თვეში, ალბათ პარტია უკვე ჩამოყალიბდება. კარი ღია იქნება სხვა პარტიებისთვის, მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი.

— რა ხდება ამ კუთხით რეგიონებში, როგორც ცნობილია, ხელისუფლების რეპრესიული მანქანა იქ უფრო მწვავედ მუშაობს.

— კი, რთული ვითარებაა. პარტიის შექმნის შემდეგ ბატონი ბიძინა აქტიურად ივლის რეგიონებში. ალიანსის წევრები უკვე აქტიურობენ, ალასანია უფრო მეტად რეგიონებშია, ვიდრე თბილისში. ამ მიმართულებით ძალიან უნდა გააქტიურდეს მუშაობა. რეგიონებში დაარსდება „ქართული ოცნების“ ოფისები. ზოგან, ტექნიკური პრობლემების გამო, ჯერ ვერ იხსნება ოფისები ზეწოლებია გამგეობების, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. ხდება ანომალიები, იჭერენ ხალხს, გახსოვთ ალბათ. ლანჩხუთის რაიონში მომხდარი შემთხვევა. ხალხი გაღიზიანებულია. ყოველი ფეხის ნაბიჯზე მძიმე ეკონომიკური ვითარებაა. ფასადური დემოკრატიის აშენება არაა მთავარი, შიგნით რა არის — ეს უნდა მიიხედოს. მთავარია — ხალხის სატკივარი გტკიოდეს და არა ის, რომ უცხოელს ლამაზი ფასადებით მოაწონო თავი. ჩვენ სწორედ ეს ფასადური დემოკრატია უნდა დავანგრიოთ და ნამდვილი დემოკრატიის მშენებლობა დავიწყოთ. სწორედ ეს არის მთელი უბედურების სათავე.

ასე, რომ ხალხის ნებას წინ ვერავითარი კანონები ვერ აღუდგება. ნებისმიერი ხელისუფლება აგებს ბრძოლას, როდესაც ხალხის წინააღმდეგ მიდის.

თამარ შველიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



`lenin Jil, lenin Jiv~, anu `miSa magaria!~

oriode wlis win internetiT gavrcelda videoCanaweri mavzoleumidan. Canaweri gakeTebuli iyo Ramis dakvirvebis mudmivi kameriT.

CanawerSi kargad Cans beladi, romelic sarkofagSi ganisvenebs da uceb, marcxena xels wevs maRla, iryeva mTeli taniT, wamoiweva da mere isev dabla eSveba...

კარგა ხანს არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ რევოლუციები ხდება მაშინ, როცა „ზედა ფენებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართვა, ხოლო ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება“. ისტორიკოსებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ თვით ის სახელოვანი ოქტომბრის რევოლუცია უცხოეთიდან ფინანსდებოდა და ბოლშევიკებსაც როკფელერები, ებრაული ლობი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ფინანსურად უმაგრებდნენ ზურგს.

ასე მოხდა 2003 წლის ნოემბერშიც, თუმცა ამას ხან აღიარებენ და ხანაც უარყოფენ მთავარი მოქმედი გმირები იმ ბედკრული დღეებისა, რომელსაც შემდეგ „ვარდების რევოლუცია“ დაერქვა...

კარგად რომ დაფიქრდე, არსებობს პარალელები 1917 წლის რუსეთსა და 2003 წლის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას შორის და სხვათა შორის, ლენინსა და სააკაშვილს შორისაც.

მოდით, ახლა თავი დავანებოთ ამ ორი ადამიანის ბავშვობის და ყრმობის დეტალებზე ლაპარაკს, რომლის შედეგი იყო შემდეგ მათი უსაზღვროდ ავადმყოფური ლტოლვა მოქცეულიყვნენ ყურადღების ცენტრში და ეხელმძღვანელათ (თუ ებატონათ?) ადამიანებზე.

დღეს უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ ვლადიმერ ლენინი არ იყო მსოფლიო დონის პოლიტიკოსი და არც პოლიტიკოსი ყოფილა საერთოდ. ის იყო დახვეწილი არამზადა და უსინდისო შულერი, რომელიც პრეზენტაბელურად წარმოაჩენდა საკუთარ თავს უცხოელების წინაშე და რუსეთის სახელით საკმაო ფულს იჯიბავდა.

დღეს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ რუსული პრესაც თამამად ლაპარაკობს უკვე იმაზე, რომ მას ფული მისცეს იმისთვის, რათა რუსეთში რევოლუცია მოეხდინა. ფულის გამცემ სხვადასხვა ძალებს რუსეთში სხვადასხვა ინტერესები ჰქონდათ ისევე, როგორც საქართველოსადმი სხვადასხვაგვარი ინტერესი არსებობდა 2003 წელს.

მაგრამ საინტერესოა, როგორ მოექცა ლენინი ამ ფულს და მოახდინა თუ არა გადატრიალება იმ იდეით, რა იდეაც ჰქონდა დასავლეთს რუსეთისადმი?

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ლენინმა დაარღვია შეთანხმება და პირდაპირ „გადააგდო“ ფინანსური მხარდამჭერები. ასეთ შემთხვევებში დასავლელი პარტნიორების მრისხანება ყოველგვარ ზღვარს სცდებოდა ხოლმე, მაგრამ ვლადიმერ ლენინისთვის რევოლუციის შემდეგ ბუზი არავის აუფრენია. პირიქით, მთელ მსოფლიოს მოედო ლენინის სახელი, მუშათა კლასი და მსოფლიოს გლეხობა რუსეთის ბედს ნატრობდა.

ერთი-ორი „პატარა“ პროვოკაცია კი მოუწყვეს ვლადიმერ ილიჩს, მაგრამ ეგ არაფერი. ლენინი კვლავ პროლეტარიატის ბელადად ითვლებოდა, ხოლო რუსეთი სოციალური თანასწორობის ოაზისად. სასტიკად იგმობოდა კაპიტალიზმი, რუსეთის ქალაქებში ყველგან ეკიდა პლაკატები გაშარჟებული მსუქანი ბურჟუასი და ძაღლთაპირი ამერიკელი კაპიტალისტისა, რომელიც ხალხს ჩაგრავდა.

რუსეთში თითქოს სამოთხე იყო. იღებდნენ მხიარულ ფილმებს ბედნიერ საბჭოთა მშრომელებზე, მათ სიყვარულზე მთასა თუ ბარში („მხიარული ახალგაზრდები“, „მეღორე და მწყემსი“ და სხვა), როგორც „ჭამა და სექსი“, „აგვისტოს 5 დღე“).

რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი დიდი ბრიტანეთი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ვლადიმერ ილიჩმა. ქვეყნის მოწყობა ისეთ მოდელზე არ მოხდა, როგორადაც ეს ინგლისს ჰქონდა ჩაფიქრებული.

ბრიტანეთის უკმაყოფილებაზე ბოლშევიკები მკაცრად რეაგირებდნენ და სახალხოდ აცხადებდნენ, რომ ინგლისი უხეშად ერევა სოციალისტური, თავისუფალი რუსეთის მშენებლობაში. დაიწყო წითელი ტერორი. აპატიმრებდნენ ვითომ ინგლისის ჯაშუშებს, სოციალიზმის მტრებს პოლიტიკური ნიშნით. დაატიმრეს ინგლისელი დიპლომატები, მოკლეს სამხედრო-საზღვაო ატაშე, მაგრამ ინგლისს ომი არ გამოუცხადებია.

ბრიტანეთმა რუსეთზე ხელი დაიბანა, მიაფურთხა ეშმაკს, რადგან ახლაღა მიხვდნენ, ბოლშევიკები ისეთ რამეებს ჩადიოდნენ, რაც უბრალოდ, უმსგავსობა და დიდი სირცხვილი იყო.

მსოფლიოში ზოგიერთი ახლაც უხერხულად იშმუშნება სააკაშვილის თავხედობებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიომაც „ხელი დაიბანა“ ჩვენზე და „მიაფურთხა ეშმაკს“. მაგრამ დავუბრუნდეთ საუკუნის დასაწყისის რუსეთს როგორი ხასიათი ჰქონდა ვლადიმერ ლენინს?

როგორც ცნობილია, ის ნერვიული, აგრესიული და მძიმე ხასიათის ადამიანი იყო. პირქუშად ელაპარაკებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ამცირებდა და ათასნაირი ეპითეტებით იხსენიებდა მათ.

„პოლიტიკური მეძავი“ – ასე მოიხსენია თურმე მან ერთხელ ლევ ტროცკი. მაგრამ ეს ყველაზე რბილი ნათქვამი ყოფილა, რაც კი მას ოდესმე უთქვამს ზღვარგადასული მრისხანების დროს.

რევოლუციამდე იგი ერთი უბრალო მოჯანყე ახალგაზრდა იყო, მეფის რუსეთის გამოცდილი პოლიტიკოსები მას სერიოზულად არც კი უყურებდნენ და ისეთ საქმეებზე აგზავნიდნენ ხოლმე, სადაც განსაკუთრებული რისკი და გაუაზრებელი უშიშარობა იყო საჭირო. მაგრამ ვლადიმერ ილიჩი, საბოლოო ჯამში, მაინც უწყინარ ბიჭად ითვლებოდა, თუმცა ეს იყო რევოლუციამდე.

რევოლუციის შემდეგ მისგან სულ უფრო და უფრო ხშირად ისმოდა სიტყვები: არ დაინდოთ! დაიჭირეთ! დააპატიმრეთ! დახვრიტეთ!

კარგად ჩანდა, რომ სოციალური თანასწორობის საფარველით მოსული მთავრობა ძალადობაზე დაყრდნობილ სახელმწიფოს აშენებდა. განსაკუთრებით ვერ იტანდნენ სამღვდელოებას და ეკლესიას. „ოქტომბრის რევოლუციის“ გამარჯვებისთანავე დაერივნენ ეკლესიამონასტრებს, კუთვნილი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს და ეკლესიების ნგრევა ჩვეულებრივ ამბად გამოაცხადეს.

პირდაპირ პარალელებს აღარ მოვყვები, მხოლოდ გლდანის ეკლესიის სასტიკ დარბევას გაგახსენებთ 2004 წელს „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში და დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.

კვლავ ვლადიმერ ილიჩს რომ დავუბრუნდეთ – რატომ დაინდო ინგლისმა „გადამგდები“ ლენინი?

იმ ხანებში, როცა ნიკოლოზ მეორეს ოჯახი, სავარაუდოდ, სვერდლოვის ან ტროცკის ბრძანებით დახვრიტეს, ყირიმში იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე ალექსანდრა თედოროვნას ცივ ნიავს არ აკარებდნენ. იმ პერიოდში ლენინი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ უზრუნველეყო ყირიმში დარჩენილი რომანოვების ნაწილი.

მას სურდა ევაჭრა დასავლეთთან რომანოვებით და ლენინმა ბრძანება გასცა თმის ღერიც არ ჩამოვარდნოდა სამეფო ოჯახს ყირიმში, არადა თითქოს რევოლუცია რუსული ცარიზმის სისასტიკის გამო მომხდარა, ისე, როგორც „ვარდების რევოლუცია“ 2003 წელს შევარდნაძის რეჟიმის დასამხობად, ხოლო ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციას დღეს კრწანისის სასახლეში უბრალოდ ჩიტიც ვერ გადაუფრენს. ასეთია სააკაშვილის ბრძანება და დასავლეთის სურვილიც.

რაც შეეხება ასე ყბადაღებულ და ჩვენს მუდმივ მღელვარებად ქცეულ არჩევნებთან მიახლოებით ინდენტურობას – პროლეტარიატის დიქტატურის დროს არჩევნებში მხოლოდ პოლიტბიუროს წევრები და თვით ბელადი იმარჯვებდა, „დემოკრატიული დიქტატურის“ დროს მიხეილ სააკაშვილის გარდა სხვა კანდიდატურა ნაცების მიერ არც განიხილება და არც მიიჩნევენ სერიოზულ კონკურენტად.

საუბარი შედარებებზე დაუსრულებლად შეიძლება რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული ლენინის სიკვდილამდე, თვით ვლადიმერ ილიჩის სისხლიან ანგარიშსწორებებზე, მის ავხორცობაზე, რასაც შეეწირა კიდეც, მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ნამდვილად არ იყო წმინდა კაცი, ის იყო წითელი ეშმაკი... ბევრი კი დღეს ამბობს: „ვარდების ხელისუფლება“ ნეობოლშევიკები არიანო...

* * *

ფილადელფიის მექანიკის უნივერსიტეტის პარანორმალურ მოვლენათა მკვლევარი ჯონ კარპი უმცროსი ახლახან ერთ დაუჯერებელ დასკვნამდე მივიდა.

საქმე ისაა, რომ ორიოდე წლის წინ ინტერნეტით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი მავზოლეუმიდან. ჩანაწერი გაკეთებული იყო ღამის დაკვირვების მუდმივი კამერით, როგორიც იქ უამრავია.

ჩანაწერში კარგად ჩანს ბელადი, რომელიც სარკოფაგში განისვენებს და უცებ, მარცხენა ხელს წევს მაღლა, ირყევა მთელი ტანით, წამოიწევა და მერე ისევ დაბლა ეშვება, მოძრაობა 23 სეკუნდს გრძელდება.

ეს ჩანაწერი თავიდანვე სპეცეფექტი და მონტაჟი ეგონათ და ამისთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. რამდენიმე წელიწადი „უტკის“ არსებობა თანდათან მიივიწყეს, მაგრამ ბოლო ხანებში ჩანაწერი ამერიკელ მკვლევარებს ჩაუვარდათ ხელთ.

ზუსტად შეისწავლეს ჩანაწერი და მივიდნენ სენსაციურ დასკვნამდე – არაფერ შუაშია მონტაჟი და სპეცეფექტები – ჩანაწერი ჩვეულებრივი კამერით არის გადაღებული.

„შევძრწუნდით, არავითარი შრეები, გადაღებვა, კადრების ჩასმა-მიკერება ან მსგავსი არ იყო ფირზე. ჩანდა გადაღების დრო, რომელიც ეკრანის ზედა კუთხეში ჩვეულებრივად „გარბოდა“. კამერა აბსოლუტურად იგივე იყო, რაც მავზოლეუმის სხვა ადგილებზე.

აღმოჩნდა, რომ მავზოლეუმის დარაჯებსა და მოსამსახურე პერსონალს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ ლენინის ცხედარს სიცოცხლის ნიშნები ნამდვილად ეტყობოდა. ამას წლების განმავლობაში ხედავდნენ, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ასეთ რამეებს მკაცრად ასაიდუმლოებდნენ.

ლენინის „გააქტიურება“ განსაკუთრებით ბოლო წლებში ყოფილა შესამჩნევი.

ალბათ, ამიტომაც ამბობდნენ ადრე – ლენინი ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებსო“, ისე, როგორც „მიშა მაგარია“!..

ირანდა კალანდაძე

ედუარდ შევარდნაძე ირანის წინააღმდეგ შესაძლო ომში საკაშვილის ჩართვას არ გამორიცხავს

საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არ გამორიცხავს, რომ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირანის წინააღმდეგ შესაძლო ომში ჩაერთოს, – ამის შესახებ „Ãðóçèÿ-Î í ëàéí“.

“ეს ჩვენი ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება. საქართველოში ანტი-ირანული კამპანიის დაწყება დაუშვებელია”, - განაცხადა შევარდნაძემ და დასძინა, რომ სააკაშვილის თეთრ სახლში 30 იანვრისთვის დაგეგმილი ვიზიტი შესაძლოა, სწორედ აღნიშნულ საკითხს უკავშირდება.

ბედუინები სასტუმროში შეიჭრნენ და რამდენიმე ადამიანი დაატყვევეს

ეგვიპტელი ბედუინები ისრაელში, სინაის საკურორტო ზონაში, აქუა სანის სასტუმროში შეიჭრნენ და რამდენიმე ადამიანი დაატყვევეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მათ შორის სამი უცხოელია. მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, გამტაცებლები 600 ათას დოლარს ითხოვენ.

საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, მძევლებს შორის ქართველები არ არიან.

„მედიანიუსი“

მამუკა არეშიძე: დღეს ძალიან რთული ვითარებაა რეგიონში და ყველამ ვიცით, რომ შეიძლება დაიწყოს სამხედრო ოპერაცია ირანის წინააღმდეგ. რუსეთი ცდილობს, არ აღმოჩნდეს მოვლენების განვითარების განაპირას და მისი მონაპოვარი 2008 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ბაზების გაძლიერება არ ჩაიყაროს წყალში. ვლადიმერ პუტინის მიერ 2008 წლის ომის მიზეზად აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მოხსენიებამ კიდევ ერთხელ დადასტურა, რომ რუსეთი საქართველოსთან ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, რითაც ფაქტიურად, მან აღიარა, რომ რუსეთმა დაიწყო სამხედრო კონფლიქტი. საბაბი კი იყო ის ექსცესური მდგომარეობა, რაც მაშინ ცხინვალის რეგიონში შეიქმნა. რაკეტსაწინააღმდეგი თავდაცვის საკითხი ისევ იხილება და რუსეთს დღეს სხვა გეოპოლიტიკური ვითარება შეექმნა და

სჭირდება, რომ გავლენა არ დაკარგოს სამხრეთ კავკასიაში იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი მოინდომებს საქართველოში ფეხის მოკიდებას სამხედრო თვალსაზრისით. აქ არის ძალიან სერიოზული გეოპოლიტიკური თემები, რაც დაკავშირებულია სომხეთზე რუსეთის გავლენასთან, თვითონ რეგიონზე რუსეთის გავლენასთან და ა.შ. ასეა თუ ისე, გაფრთხილება გაკეთდა, რომ არ მოხდეს ისეთი გარიგება ვაშინგტონში, რომლის წინააღმდეგიც რუსეთი უეჭველად იქნება.

საექსპერტო შეფასებით, მაისის თვისთვის ირანს უნდა ჰქონდეს ატომური იარაღი. თუკი ექსპერტთა ვარაუდი გამართლდა, მაშინ ირანი ისრაელისთვის არის უდიდესი საფრთხის შემცველი. სწორედ ამიტომ ისრაელმა რამდენიმე ოპერაცია ჩაატარა ირანის ატომური პროგრამის წინააღმდეგ. ეს არის ერთგვარი გამოცხრილვა ირანის ატომური პროგრამის ხელმძღვანელებისა, მათ შორის გენერალ მუკადამის სიკვდილი, რომელიც, როგორც ამბობენ, მოსადის მიერ ჩატარებულ ოპერაციას შეეწირა. მიუხედავად აშშ-ს დაჟინებითი გამეორებისა, რომ ისრაელი ვერ გაბედავს ირანზე თავდასხმას 2012 წელს, სავარაუდოა, რომ ასეთი თავდასხმა მაინც შედგება. რადგან საფრანგეთი ხშირად იმეორებს, რომ ისინი ამ თავდასხმისთვის მზად არიან. ხოლო ნატოს გენმდივანის განცხადება, რომ ალიანსი გამორიცხავს ამ თავდასხმას, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ალაინსის გაერთიანებული შტაბი მასში მონაწილეობას არ მიიღებს. ეს არ ვრცელდება არც აშშ-ს შეიარაღებულ ძალებზე და არც ისრაელის ავიაციაზე. ხოლო ბელგია და ჰოლანდია მიიღებენ თუ არა ამ ოპერაციაში მონაწილეობას, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ხოლო საფრანგეთი, როგორც ვთქვით, მზად არია მონაწილეობა მიიღოს და ის დაემუქრა კიდეც ირანს. რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ დაიწყო სამხედრო ოპერაცია?! ეს არის რეგიონალური კატასტროფა და ჩვენც ჩართულნი ვიქნებით. როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორია გამოიყენება ზურგის პლაცდარმად - ეს არის ჰოსპიტალები, სამხედრო ტვირთი და ა.შ. ეს არ არის გადაწყვეტილი ამბავი, მაგრამ არც 2008-ში იყო გადაწყვეტილი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების განლაგება, თუმცა ეს იწვევდა რუსეთში პრევენტულ შიშს. თუ ეს თავდასხმა მართლა მოხდა, საინტერესოა რა პოზიციას დაიჭერს რუსეთი. რუსეთის სამხედრო დოქტრინის ნაწილია, რომ თუ დაიწყო ოპერაცია ირანის წინააღმდეგ, რუსეთი სომხეთში გავლენას კარგავს. ამიტომ არის რომ რუსეთი ემზადება ძალიან აქტიურად და აგრესიულად. დაღესტნის პორტებში თავმოყრილია სარაკეტო კატარღების მძლავრი მუშტი, რომელიც კასპიის ფლოტილიას გააჩნია და მიმართულია ირანის სანაპიროსკენ. ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“ სირიოს წყლებში იმყოფება რამდენიუმე ატომური წყალქვეშა ნავის ექსკორტით; ხოლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული 49-ე და 58-ე სამზედრო ბაზები ნელ-ნელა ემზადებიან. სრულ მზადყოფნაშია გიუმრის ბაზა სომხეთში, იქიდან გაყვანილია სამხედროთა ოჯახები, სამხედროები გადასროლილია სომხეთ-ირანის საზღვარზე და ამასთან უნისონშია მოყვანილი „კავკასია 2012“, ეს არ ნიშნავს, რომ იგი დაიწყება მაინცა და მაინც სექტემბერში. მოკლედ რუსეთი სრულ მზადყოფნაშია არ გაუშვას ხელიდან სამხრეთ კავკასიაში მოპოვებული გავლენები და იარაღი იხმაროს, ოღონდ სომხეთი შეინარჩუნოს. და ეს არ მოხდება სხვანაირად, თუ არა საქართველოს ტერიტორიის გავლით.

თუკი საქართველო მართლა შეასრულებს ზურგის პლაცდარმის ფუნქციას, ჩვენ რთულ ვითარებაში შეიძლება აღმოვჩნდეთ. ერთის მხრივ, რეგიონალურ სურათში სხვა ფორმით გამოვჩნდებით. მართალია, არ იქნება პირდაპირი აგრესია,დარტყმა, მაგრამ არ ვიცით, ზურგის ფუნქციაზე გაჩერდება თუ უფრო შორს წავა ჩვენი ხელისუფლება, რადგან საქართველოს და აშშ-ს პარტნიორული დამოკიდებულების ფორმატი ძალიან მჭიდროა და აქედან გამომდინარე, შეიძლება უარესი სურათიც მივიღოთ. თუმცა ვიმეორებ, რომ ეს არის მხოლოდ ვარაუდი.

აქამდე ამერიკის ინტერესებში არ იყო სააკაშვილთან შეხვედრა, დღეს, როგორც ჩანს - არის. თუმცა ლობისტების ნამუშევარსაც ნუ გამოვრიცხავთ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების წინაშე ვდგავართ და ყველამ უნდა იცოდეს, რა როლი მიენიჭება და ამ როლის შემსრულებელი შეასრულებს თუ არა. აშშ-ს ხელმძღვანელობამ ერთხელ ნახა, რომ კავკასიური მოზაიკის ერთი ნაწილის ხელისუფლებამ არასწორად შეასრულა ის როლი, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული. არ არის გამორიცხული, ამისთვის იყოს დაბარებული, რომ აუხსნან, როგორ შეასრულოს როლი იმპროვიზაციის გარეშე.

ჩვენ ძალიან მძიმე დღეები გველის წინ ამ გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო. თუ დაიწყო ირანთან ომი, ეს არ იქნება ერთდღიანი და ორდღიანი ომი და საქართველო აუცილებლად იქნება ჩართული.

ირაკლი სესიაშვილი: საქართველო პრეზიდენტი 30 იანვარს აშშ-ს პრეზიდენტს შეხვდება. აშშ-ს ადმინისტრაციის განცხადების და სააკაშვილის ადმინისტრაციის განცხადების ბოლო აბზაცებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება, რადგან საქართველოს ადმინისტრაციის განცხადების ბოლო ნაწილში სიტყვა არჩევნები საერთოდ არ არის ნახსენები, რადგან სააკშვილს ამ თემაზე საერთოდ არ სურს საუბარი ობამასთან.

ობამასთან ბევრი საკითხი იქნება განსახილველი – არჩევნები რუსეთის ფედერაციაში, უსაფრთხოება, ირანი, გეოპოლიტიკის და სხვ. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება კრიტიკული საუბარი, რადგან ვაშინგტონში სააკაშვილის დაბარების მთავარი მიზეზი არის მომავალი არჩევნები საქართველოში. დასავლეთს ყელში ამოუვიდა მისი ტინგიცური პოლიტიკა. ყველას გვახსოვს უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, საახალწლოდ წამოწყებული კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებები, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია, ყველა ცვლილება, რომელიც ერთ ადამიანზეა მორგებული, გვახსოვს, ფაქტიურად შვებულებაში მყოფი ჯონ ბასის 30 დეკემბრის განცხადება, რომელიც დახურულ კარს მიღმა და კონსულტაციებზე კი არა, ღიად გაკეთდა. ხელისუფლება საკმაოდ შეშფოთებული იყო ამით. დღეს გახდა ცნობილი, რომ 1 მლნ დოლარს გადმოურიცხავს აშშ საქართველოს დამისამართების პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც პირდაპირ კავშირშია არჩევნებთან. სააკაშვილი დიდი ხანია ოცნებობს ამ შეხვედრაზე და როგორც ჩანს, მისმა ლობმა ჯგუფებმა ეს მოა-

ხერხეს. მას სურს ობამასთან გამოჩენით გაიმყაროს თავისი პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ ამშემთხვევაში, მე ვფიქრობ, მას იმედები გაუცრუვდება, რადგან აშშ-ს დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ შეიცვალა. ამას ჩვენ ღიად ვერ მოვისმენთ, დიპლომატიური ეთიკა ვერ დაუშვებს ხისტ გამონათქვამებს ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ის უკვე პოლიტიკური ბალასტია დასავლეთისათვის. ისევ დიპლომატიური ეთიკიდან გამომდინარე, ძირითადი მესიჯი რჩება ის, რომ საქართველოს ხელისუფლება არასამართლიანად იწყებს საარჩევნო პროცესს. ამიტომ მას აუცილებლად თითს დაუქნევენ. მე მიმაჩნია, რომ ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ის ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს, განხილული იქნება როგორც ჩვენ ქვეყანაში არსებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები, ასევე ირანის საკითხი და შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები, მათ შორის ჩიკაგოს სამიტი და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები, ასევე საქართველოში დემოკრატიის საკითხი, მაგრამ მთავარი თემა, ჩემი აზრით, მაინც არჩევნები იქნება. შტატებს სურს, რომ საქართველოსთან ჰქონდეს პარტნიორული ურთიერთობა, როგორც დემოკრატიულ ქვეყანასთან.. ხოლო რაც შეეხება მომავალს, აშშ დაინტერესებულია საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობით, ამაში მას დიდი რესურსი აქვს ჩადებული და სურს, რომ გრძელვადიანი პარტნიორი იყოს. მაგრამ ეს პარტნიორობა ვერ შედგება, თუ საქართველო არ იქნება სტაბილურად დემოკრატიული. დარწმუნებული ვარ, დახურულ კარს მიღმა სააკაშვილს აუცილებლად უჩვენებენ „ყვითელ ბარათს“ და პრინციპულად ურჩევენ, რომ საქართველოს და ასევე, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ჩაატაროს. და თუ ის არჩევნებს არ ჩაატარებს დემოკრატიულად, მას სერიოზული პრობლემები შეექმნება, მათ შორის არჩევნების აღიარების თვალსაზრისით.

ანუ თუ სააკაშვილი კონტროლიდან გამოვა და ამ არჩევნებში ანტიდემოკრატიულ მოქმედებებს გამოავლენს, საუბარი იავანიშვილის წინააღმდეგ არათანაბარ ბრძოლაზეა, ცხადია, ეს, ასე ვთქვათ, შემაშფოთებელ სახეს მიიღებს, რაც ამერიკულ-ქართულ ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედებს. საუბარი იქნება, რომ მან არადემოკრატიულად არ ჩაატაროს არჩევნები და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არათანაბარი მეთოდებით არ იბრძოლოს. ის ამისთვის არის დაბარებული. მას მოსთხოვენ, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

დავუბრუნდეთ ობამა-სააკაშვილის შეხვედრას, მე ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრას აქვს პრევენციული ხასიათი. ყველა ბოლო ერთი თვის პროცესებმა, ხელისუფლების აგონიურმა რეაქციებმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო ინტერესები საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოსთან მიმართებაში. დიახ, აშშ-ს სურს, რომ საქართველო იყოს გრძელვადიანი პარტნიორი, მაგრამ იგი ხედავს, რომ სააკაშვილი გამოვიდა კონტროლიდან და დაიწყო ძალადობრივი აგრესია პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. ჩვენ აქამდეც ხშირად გვინახავს ძალადობა, მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილი ხედავს რა რეალურ კონკურენტს, რომელსაც გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ის გადადის უწესო თამაშზე და ამ ძალადობის პრევენციისთვის არის სწორედ დაბარებული სააკაშვილი თეთრ სახლში.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ratom airCia axali amplua da rasurCevs ivaniSvili Tanmoqi Spe politikosebs nestan kirTaZe?

rva wlis ganmavlobaSi aqtiuri leiboristi viyavi da rom ityvian, wisqvilis qva ar datrialebula Cems Tavze...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ყოფილი ლეიბორისტი ან უკვე სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ თავმჯდომარე ნესტან კირთაძე:

– 5 დეკემბერს ოფიციალურად დაფუძნდა სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი,“ რაც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ რეალობაში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური მოძრაობა არ გახლავთ და სწორედ ამ ფაქტორმა მეტად დაინტერესა უცხოელი დიპლომატები, თუ კონფლიქტებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამ პროექტის ეგიდით საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა გვეძლევა შევიმუშაოთ მშვიდობის სტრატეგიის პროგრამები, პროექტები, ინიციატივები და რაც ყველაზე მთავარია, როგორც სამოქალაქო მოძრაობამ საქართველოში სამშვიდობო პროცესებს გავუწიოთ მონიტორინგი.

– კონკრეტულად რა გაკეთდა ამ ორგანიზაციის ფარგლებში?

– ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვაცხადებ, როცა ამ მიმართულებით მუშაობის მაგივრად მხოლოდ სიყალბეს წავაწყდი, გადავწყვიტე საკუთარი წვლილი შემეტანა და ქვეყნის მთლიანობისათვის მეტად აქტიურად მემუშავა. რა თქმა უნდა, რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა ხელისუფლების კომპეტენციაა. ოღონდ, ამ ორგანიზაციის ფარგლებში, რა თქმა უნდა, კონფლიტის დარეგულირებაზე მუშაობის საშუალება ნამდვილად მეძლევა. რაც მთავარია, ჩვენს სამოქალაქო ორგანიზაციაში მრავლად არიან ახალგაზრდები და როცა ახალგაზრდები მოდიან საკუთარი ინიციატივებით, იმას ნიშნავს, რომ გრძელვადიან მშვიდობაზეა საუბარი.

– ერთია ინიციატივა და ენთუზიაზმი, მეორე მხრივ, საკითხავია, ამ სამოქალაქო ორგანიზაციის ფარგლებში აფხაზ და ოს ხალხებთან ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივებზე რას იტყვით?

– მოგახსენებთ...რამდენიმე საინტერესო ინიციატივა შევიმუშავეთ: უნდა დაიწყოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი. ეს უნდა იყოს ნიქოზში და უნდა იყოს ენგურზე. სადემარკაციო ზოლის არსებობის პირობებში შეიძლება ამაზე საუბარი ვინმეს ნონსენსად მიაჩნდეს... რა თქმა უნდა, პრობლემის მოგვარება რთულია, მაგრამ შეუძლებელი არ გახლავთ.

ამიტომ მომავალ კვირას ვამზადებ სპეციალურ მიმართვას ჟენევის ჯგუფის სახელმწიფოთა მეთაურების და ჟენევის ჯგუფში მონაწილე სახელმწიფოების დელეგაციების მეთაურებისადმი, რომ ეს საკითხი განიხილოს, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

ჩვენ ვსაუბრობთ იმაზეც, რომ აუცილებელია სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება და თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა.

– თუმცა შექმნილი ვითარების საფუძველზე რამდენად აღდგენადია ურთიერთობები ჩვენივე თანამოძმეებთან და ეს პროცესი დროში როგორ გესახებათ?

– პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის აღდგენადი. ამას მკაფიოდ ვაცხადებ, რადგან ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველომ გადაიტანა სამი ომი, მათ შორის, ერთი პროვოცირებული. ამიტომაც ქვეყანამ და ხალხებმა, რომლებმაც ნახეს საშინელი ომები, რომლებმაც ნახეს 100 ათასი დევნილი და გადაადგილებული პირი, რომლებმაც ნახეს ამდენი სისხლი, ამდენი ნგრევა, ამდენი სიკვდილი....

როდესაც თბილისიდან გავდივარ და მის მარჯვენა მხარეს გავიხედავ და ლიახვის ხეობას პატარ-პატარა „საქათმუკებში“ მოთავსებულად აღვიქვამ...ამის შემხედვარე ადამიანს გული ჯანმრთელი ვეღარ ექნება. ერთხელ, ორჯერ....ასჯერაც, რომ გაიაროს თვალი ვერ შეეჩვევა.... გონება ვერ შეეჩვევა...გული ვერ შეეჩვევა ამ სურათს. ვითარებას, როდესაც ხეობების მოსახლეობა აი, ამ პატარა რეზერვუარებშია გამოკეტილი... ამიტომ როდესაც სახიერად არის ეს ყველაფერი....ეუბნები ყველას, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს.

რაც უფრო ადრე დავიწყებთ ურთიერთობების აღდგენაზე ზრუნვას, შედეგიც უფრო სწრაფად დადგება. ვთვლი, უფრო ადრეც უნდა გამოგვეღო ხელი და რაც ახალი სამოქალაქო ინიციატივის ფარგლებში კეთდება, ამის გაკეთება წლების წინაც შეიძლებოდა.

– მართალია ახლა სხვა მიმართულება აირჩიეთ, თუმცა არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქტიურ პოლიტიკაში იყავით და მთავარ ლეიბორისტს ბიძინა ივანიშვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულის გამო გაემიჯნეთ. თუ მოგეცათ საშუალება ამ ვითარების კვალდაკვალ, მეცენატთან უშუალოდ გესაუბროთ, ან სამომავლოდ, თუ გეგმავთ ივანიშვილთან აუდიენციას?

– მიუხედავად იმისა, რვა წლის განმავლობაში აქტიური ლეიბორისტი ვიყავი და რომ იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ არც არაფერი დამკლებია, ახლა ლეიბორისტებზე საუბარი ნამდვილად არ მსურს.

რაც შეეხება, ბიძინა ივანიშვილს-კი, მე შევხვდი მას. ეს იყო ორი მამულიშვილის შეხვედრა, ეს იყო ძალიან საქმიანი საუბარი ჩვენ სამშობლოზე და მის ხვალინდელ დღეზე. პირველი გაცნობითი შეხვედრის შემდეგ ერთმანეთს თანამოაზრეებად დავშორდით. ამის შემდგომ ჩვენი შეხვედრა არ ყოფილა. არც ვთვლი, რომ ყოველდღიურ რეჟიმში უნდა იყოს ეს შეხვედრები. როცა საჭირო გახდება, ალბათ, შეხვედრა იქნება მასთან.... ალბათ, სხვებთანაც-ვინც კი რეალურად არის დაინტერესებული ქვეყნის ხვალინდელი დღით.

რა თქმა უნდა, ყველას გზები გადაიკვეთება ვისთვისაც სულ ერთი არ არის სამშობლო და მისი ხვალინდელი დღე. ასე რომ, შეხვედრები იქნება, ხოლო როცა იქნება პრესისთვისაც გახდება ცნობილი.

აღვნიშნე, თანამოაზრეებად დავცილდით-მეთქი, ხოლო თანამოაზრეები ერთმანეთს არ კარგავენ და რა ფორმით შედგება ეს თანამოაზრეობა, ეს უკვე მომავლის საქმეა.

ერთადერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო: ძალიან მწყდება გული ყველა იმ ლიდერსა თუ პოლიტიკოსზე, რომელმაც მთავარ თემად აირჩია ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა. ეს არ არის პოლიტიკური თამაშის წესებში მიღებული ფორმა. ძალიან უხერხულია და ხალხი ამას არ ჩათვლის სწორად, საჭიროდაც არ მიიჩნევს, როცა შენი პარტიის ბოლო 6-თვიან მოღვაწეობას ააგებ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვაზე.

თუ ვინმე თვლის, რომ პარტია არის მარტო ოფისი, თავმჯდომარე და რამდენიმე ერთგული თანამოაზრე... ძალიან ღრმად ცდება. პარტია არის, პირველ რიგში, ხალხი. ხოლო ხალხი ბატონ ბიძინას შეხვდა იმედით, შეხვდა მოლოდინებით, შეხვდა, როგორც რეალურ ფაქტორს, რომელმაც ჯერჯერობით რაც გააკეთა, შეცვალა ქართული პოლიტიკური რეალობა, ხოლო ხვალ და ზეგ, რასაც გააკეთებს, ქართველი ხალხის სახელით იქნება. აქ მას სჭირდება ქართველი ხალხის და საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერა და თანადგომა. ხოლო ცოტა სასაცილო და კომიკურია ყველა ის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც თავის საარჩევნო კამპანიას ბიძინას წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად ხედავს.

ჩვენ ხალხს უნდა ის ცვლილებები, რისი გარანტორობაც უდაოდ შეუძლია ბიძინა ივანიშვილს და არაფერში სჭირდება ის პოლიტლიდერი, რომლის გაელვებაც სახელისუფლებო არხებზე ივანიშვილის ლანძღვასთან ასოცირდება.

– თუმცა საზოგადოებას დღემდე ახსოვს თქვენი დამოკიდებულება რესპუბლიკელებისადმი, ახლა ხომ არ გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილს ყველა ნაბიჯს უკვე უპირობოდ უწონებთ?

– რაც შეეხება ივანიშვილის არჩევანს, ალბათ, თავად უნდა გააკეთოს კომენტარი. ხოლო „რესპუბლიკელების“, ჩემი კოლეგების მიმართ ყოველთვის გამოვხატავ პატივისცემას მათი პროფესიონალიზმის გამო, პრინციპულობის გამო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ის, რომ რესპუბლიკური პარტია არ არის პოპულარული, მათი პიროვნულობიდან გამომდინარე არ აიხსნება. უბრალოდ, ეს არის ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური ძალა, ხოლო საქართველოში ლიბერალიზმი, ჯერ ერთი ახალი ხილია, კიდევაც რომ დაძველდეს და „დამწიფდეს“, საქართველო არის ტრადიციული ქვეყანა, აქ გასაქანი მეტწილად ეძლევა ეროვნულ და სოციალური მიმართულების პარტიებს. ხოლო ლიბერალიზმი, როგორც მსოფლგაგება ვერ მოდის თანხვედრაში ტრადიციულ, ეროვნულ, კონსერვატორულ იდეოლოგიასთან.

ეს არის და ეს, თორემ, პიროვნული ფაქტორით არ არის გამოწვეული ის რეიტინგიც, რაც, სამწუხაროდ, დღესდღეობით „რესპუბლიკელებს“ გააჩნიათ.

ვფიქრობ, არჩევნები ორპოლუსიანი იქნება: ხელისუფლება და ივანიშვილის კოალიცია.

ნათია ნოდია

facebook xalxis azriT

პარასკევს მიშა რუსთავში ჩამოდის და ერთი განახათ, რა დღეში არიან სახლის თავჯდომარეები, არათუ თხოვენ, არამედ მოუწოდებენ ხალხს, მივიდნენ მის შესახვედრად, ასევე სკოლებსა და ბაღებში სპეციალური კრებები ტარდება, სადაც მშობლებს მოუწოდებენ ყოველ მიზეზ გარეშე შეეგებონ „ფანტან ატკრივალოვიჩს“.

ხელისუფლება ყოველთვის ახერხებდა, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებისთვის მიეცა პროამერიკულ და ანტიამერიკულ ძალებს შორის ბრძოლის ხასიათი და ამ გზით მუდმივად ამერიკის ფავორიტად რჩებოდა.

საარჩევნო დაპირება რაც უფრო მიმზიდველია და მასშტაბური ნებისმიერ ქვეყანაში, ყოველთვის დიდია შანსი შეუსრულებელი დარჩეს, რადგან ის ამომრჩეველთა მხარაჭერაზეა გათვლილი და არა მათი სურვილის შესრულებაზე!.

რუსებმა ჯერ ჩეჩნები გადაჰკიდეს ქართველებს, მერე ქართველები გადაჰკიდეს ჩეჩნებს. მე იმაზე ვოცნებობ, როგორმე იქნებ ერომანეთთან დიდი შერიგება მოვაწყოთ. ქართველები ამისათვის უნდა მოვემზადოთ და პირველი გაკვეთილი ჩავბაროთ ხუთიანზე. პირველი გაკვეთილი კი იქნება: ქართველებმა ქართველებთან შერიგება ვისწავლოთ.

ყველა ბეტონის გზა არის სათადარიგო ასაფრენი ბილიკი ... ის ჰოსპიტლებიც გამალებული ტემპებით რომ იხსნება და სოკოებივით რომ მრავლდება, ესეც შემთხვევითი არაა და იცის იმან, ვინც აშენებს, ვისთვის და რისთვის კეთდება!

იმ ობიექტთა სიაში აუქციონზე საგადასახადო ვალდებულებების ამოღების საბაბით გადის კოდუების ოჯახის და ვანო მერაბიშვილის ქონება. იმის დაჯერება, რომ კოდუებს ან ვანო მერაბიშვილს დღევანდელ საქართველოში სადაგასახადო ვალდებულებების გამო ქონებას აუქციონზე უყიდიან, თვით ყველაზე მიამიტ ადამიანსაც გაუჭირდება.

დიდი ხნის ფიქრისა და ნერვიულობის შემდეგ მოსახლეობასთან შეხვედრების რეჟიმში ჯოკონდა ბაქრაძეც გადადის...

ირაკლის ტყუილად ედრები დავიიიიიიიიიიიიიიით))) აბა, შენ იცი, მიშასავით ავტობუსებით ატარე შენს შეხვედრებზე დამსწრე აუდიტორია... რეფლექტორების წაღება არ დაგავიწყდეს, ცივა....

როგორ შეიძლება ადამიანს ფიზიკურად გაუსწორდე, მარტო იმის გამო, რომ განსხვავებული აზრი აქვსსს, ეს ვანდალიზმიაااა.

ფეისბუქზე Bidzina Ivanishvili official 77 037 ლაიქი (სამი თვეა ფეისბუქზეა); Mikheil Saakashvili 34 357 ლაიქი (სამი წელია ფეისბუქზეა); გადართულნი არიან შავ პიარზე "მე ცუდი ვარ, მაგრამ ის უფრო ცუდია" ედუარდ მეორეა რა, მიშა. რაც მისი მამობილი იყო, ის შვილობილია.

მსოფლიო ჰრავსის მიხედვით

irani: ori uaresi scenari SesaZlo a, real obad iqces

ირანული ნავთობის ემბარგო, რომელიც ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიწონეს, გააძლიერებს თუ დაასუსტებს ისლამური რესპუბლიკის რეჟიმს? – ამ კითხვას სვამენ მსოფლიოს წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რადგანაც ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება ირანის პრობლემა. სამხრეთ კორეა, იაპონია და ინდოეთი არასოდეს დაეთანხმებიან და მიუერთდებიან მსგავს სანქციას, ნავთობის ბაზარი კი ფასების მყისიერი მატებით უპასუხებს მას. ემბარგომ უნდა აიძულოს თეირანი, უარი თქვას ბირთვულ პროგრამაზე, მაგრამ სავარაუდოდ უფრო მეტად ისეთ ვითარებას შექმნის, როცა „გაჩნდება ატომური ბომბი და მას მოჰყვება დაბომბვების სერია, რათა არ შეიქმნას ბომბი“, – ასეთია ექსპერტთა შიშნარევი შეფასებები.

SpiegelOnline „ორშაბათს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, 2012 წლის 1 ივლისიდან შეაჩერონ ირანული ნავთობისა და ნავთობქიმიკატების იმპორტი“. გარდა ამისა, „აიკრძალა ახალი ინვესტიციების ჩადება ირანულ სანავთობო ფირმებში და იმ საქონლის მიწოდება, რომელიც აუცილებელია ნავთობმრეწველობის მოწყობილობებისთვის... ზედიზედ იყინება ირანის ცენტრალური ბანკის ანგარიშების დიდი ნაწილი“.

„უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთი ცდილობს დაარწმუნოს ირანი, შეწყვიტოს ატომური პროგრამა. 2006 წლიდან მოყოლებული, გაერო, აშშ და ევროკავშირი ნაბიჯ-ნაბიჯ ამკაცრებდნენ თეირანის საწინააღმდეგო სანქციებს, მაგრამ ჯერჯერობით წარმატებას ვერ მიაღწიეს“, – ვკითხულობთ წერილში. რეჟიმი თითქოს სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ბირთვული იარაღის შექმნას. რამდენიმე დღის წინ თეირანმა განაცხადა, რომ დაიწყო ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრება. იმავდროულად ირანელები უარყოფენ, რომ ბირთვულ იარაღზე მუშაობენ“.

ირანის ნავთობის იმპორტის 20 პროცენტს ევროკავშირი მოიხმარს – ევროპა მართალია, განსაკუთრებული მყიდველია, მაგრამ არა ყველაზე მნიშვნელოვანი. ექსპორტის მოცულობის დაახლოებით სამი მეოთხედი მოდის აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებზე, რომლებიც წიაღისეულის დეფიციტს განიცდიან. ამერიკისა და ევროპის ზემოქმედების მიუხედავად, ეს სახელმწიფოები ჯერჯერობით არ აპირებენ შეუერთდნენ ამ სანქციებს. „თურქეთი ცდილობს, ამ სანქციებს კი არ მიუერთდეს, არამედ იხეიროს. ირანის ცენტრალური ბანკის საწინააღმდეგო სანქციების შედეგად შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს თურქული ბანკების მნიშვნელობა ირანელ სავაჭრო პარტნიორებთან გარიგებების დადებისას“, – აღნიშნავს გამოცემა.

„დასავლეთის სანქციის შედეგად ვაჭრობის შეზღუდვა აიძულებს ირანულ საწარმოებს, უცხოელ პარტნიორებთან არალეგალურად აწარმოოს საქმეები: აკრძალული საქონელი ირანში სპარსეთის ყურის გავლით შეიტანოს ან უცხოელ პარტნიორებთან გარიგებები ცრუ ფირმების მეშვეობით დადოს. ამ გარიგებების უმეტესობაში თავიანთი წილი გააჩნია ისლამის რევოლუციის დამცველთა კორპუსს ან იმ საწარმოებს, რომლებსაც ეს კორპუსი აკონტროლებს“, – აღნიშნავს მიმომხილველი, რომელიც ასე ასათაურებს თავის წერილს: „ევროკავშირის ემბარგო ირანის წინააღმდეგ – „რევოლუციის მცველების“ კეთილდღეობისთვის“.

„ირანის მთავრობამ ბირთვული პროგრამა ეროვნული ღირსების საკითხად აქცია“, – გვახსენებს გამოცემა. ძნელი დასაჯერებელია, რომ კონფლიქტის მოგვარებით ირანი საკუთარ სახეს შეინარჩუნებს, რადგანაც „ახალი სანქციები ვერანაირ ცვლილებას ვერ შეიტანს თეირანის ბირთვულ პროგრამაში“.

The Times „ირანთან დაკავშირებული სანქციები მნიშვნელოვანი ნაბიჯია აგრესიული და სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ“, – ვკითხულობთ გამოცემის სარედაქციო წერილში. „ერთ-ერთი უდიდესი ცივილიზაციის ქვეყანას უკვე წლებია, მართავს ექსტრემისტული რეჟიმი, რომელიც რეპრესიებს ატარებს საკუთარ ქვეყანაში და აგრესიულია საზღვრებს გარეთ“.

ირანის რეჟიმის იზოლაციის უშუალო, თუმცა არა ერთადერთი, მიზეზი მის ბირთვულ პროგრამაში უნდა ვეძებოთ. აშშ და ევროკავშირი დიდი ხანია აღიარებენ ირანის უფლებას, ჰქონდეს სამოქალაქო ბირთვული ენერგეტიკა, მაგრამ არც ერთ სერიოზულ ანალიტიკოსს არ სჯერა, რომ თეირანს თავისი ატომური პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ ენერგოენერგიის გამომუშავებისთვის სჭირდება.

La Republika „ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის სანქციები უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ინტერვენცია ირანში“, – წერს გამოცემა.

„დარწმუნებული ვარ, ეკონომიკური სანქციების გამკაცრება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ირანის ეკონომიკასა და ირანის ხელისუფლებაზე. სანქციებსა და სამხედრო ჩარევას შორის მე უპირატესობას ვანიჭებ სანქციებს“, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა, რომელიც ნატოს მხრიდან ირანის წინააღმდეგ სამხედრო ჩარევას კატეგორიულად გამორიცხავს. რაც შეეხება ისრაელის მხრიდან ბირთვულ ობიექტებზე შეტევას, ამის შესახებ რასმუსენი აცხადებს: „ჯერჯერობით ისრაელის რეიდი მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზაა“.

Le Figaro ირანული ნავთობის შემოტანის აკრძალვა კიდევ უფრო გააძლიერებს ირანულ რეჟიმს – ეს განცხადება საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ფრანგული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელ ტერი კოვილს ეკუთვნის. „თუ ნავთობის მსოფლიო ბაზარი მოიმატებს, ირანი ემბარგოსგან უმნიშვნელოდ დაზარალდება. ნავთობის გასაძვირებლად ბევრი არაფერია საჭირო: ამერიკის ეკონომიკის ზრდისა და ორმუზის სრუტის ჩასაკეტად საკმარისი ნიშნები არსებობს“.

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ კორეის, ჩინეთისა და ინდოეთის მსგავსი ქვეყნები არასოდეს შეუერთდებიან ემბარგოს. „მათი ენერგეტიკული მოთხოვნილება ისეთია, რომ არ იტყვიან უარს ირანულ ნავთობზე. გარდა ამისა, ემბარგო ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს და ვერ შეცვლის ირანის ბირთვულ პროგრამას“.

ექსპერტის ვარაუდით, სანქციები არანაირ შედეგს არ მოიტანს და შესაძლოა, კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს. „ემბარგო დააზარალებს ნავთობის მიწოდების ოფიციალურ არხებს და იმავდროულად გაამყარებს „შავ ბაზარს“, რომელსაც რეჟიმის სასტიკი ფრთა აკონტროლებს. სანქციები დაასუსტებს სამოქალაქო საზოგადოებას და გაამყარებს მმართველი კლასის პოზიციებს. გარდა ამისა, სანქციები აამხედრებს მოსახლეობასაც, რადგან მას დაუშვებლად მიაჩნია უცხოეთის ჩარევა საშინაო საქმეებში“, – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

გავიხსენოთ: „ერაყის წინააღმდეგ მიღებულმა სანქციებმა კიდევ უფრო გააძლიერა სადამ ჰუსეინის რეჟიმი, რადგანაც პარალელურ ეკონომიკურ არხებს სწორედ ის აკონტროლებდა. სამწუხაროა, რომ ევროკავშირი ისტორიის გაკვეთილებით ვერაფერს სწავლობს“.

The Financial Times „არსებობს საფრთხე, რომ სანქციების შემოღების შემდეგ თეირანი თვითონ შეეცდება კონფლიქტის პროვოცირებას“, – წერს გამოცემა. გუშინ ევროკავშირმა, პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, დააწესა ემბარგო ირანის ნავთობზე,არაც აუცილებელი ელემენტია შემდგომი ნაბიჯისთვის, აიძულონ თეირანი, შეცვალოს თავისი კურსი“. ირანი საპასუხოდ იმუქრება, რომ ჩაკეტავს ორმუზის სრუტეს, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო ნავთობის 1/6 გაედინება.

სტრატეგიული კვლევების ლონდონის ინსტიტუტის ანალიტიკოსი მარკ ფიცპატრიკი მიიჩნევს, რომ არსებობს ორი, ერთმანეთზე უარესი სცენარი: „ირანს გაუჩნდეს ატომური ბომბი და დაიბომბოს, რომ არ გაჩნდეს ბომბი“.

სიმართლე უნდა ითქვას – ორივე მხარე, ირანიცა და დასავლეთიც ცდილობს, თავი აარიდოს სახიფათო ნიშნულს. ვაშინგტონმა გადადო ისრაელთან ერთობლივი სამხედრო სწავლება და ობამას ადმინისტრაციაც მკვეთრად გაემიჯნა ბირთვული იარაღის ირანელი სპეციალისტის ამასწინანდელ მკვლელობას, ვკითხულობთ წერილში.

ჩაერთვება თუ არა ირანი მოლაპარაკებებში? სანქციების შემოღების შემდეგ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვაა. ანალიტიკოსები და დასავლეთის დიპლომატები არ არიან დარწმუნებული, რომ საქნციები აიძულებს ირანს, სერიოზულ მოლაპარაკებებში ჩაერთონ, რადგანაც ირანული ნავთობის დიდ ნაწილს ყიდულობენ ჩინეთი და ის ქვეყნები, რომლებიც არ შედიან დასავლურ ბლოკში.

ამერიკელი ანალიტიკოსის ვალი ნასრის აზრით, სანქციების შედეგად თეირანი ბირთვული იარაღის ფორსირებულად დამუშავებას გააგრძელებს. ირანის ხელისუფლება ეკონომიკურ წნეხს აღიქვამს როგორც წაქეზებას სახალხო ავჯანყებისთვის და იმავდროულად, ეს იქნება იმის კიდევ ერთი დასტური, რომ კადაფს მასობრივი იარაღის არსენალი რომ ჰქონოდა, ნატოს სამხედრო ოპერაციას გადაურჩებოდა.

ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებელი სხვა საშუალებაა დივერსიები, რასაც ხანმოკლე ეფექტი ექნება და ბირთვული ობიექტების დაბომბვები. ეს უკანასკნელი კი მეტისმეტად სარისკოა – საპასუხოდ, ირანს შეუძლია იერიში მიიტანოს ამერიკის ბაზებზე და მოახდინოს თავისი მოკავშირეების მობილიზება ირანსა და ავღანეთში.

iranis SeiaraRebuli Zalebi _ CamorCenili, cudad gawvrTnili, magram mainc saxifaTo naosnobisTvis

ირანის სამხედრო თვითმფრინავების უმეტესობა შაჰის დროს არის ნაყიდი, ხოლო სამხედრო კატერები ამერიკული ავიამზიდების ფონზე ისე გამოიყურება, როგორც „რწყილი მარტორქის წინააღმდეგ“. და მაინც, არავის ეპარება ეჭვი, რომ ირანს შეუძლია ორმუზის სრუტის ბლოკირება და ამერიკის შეერთებული შტატების ჩათრევა კონფლიქტში. „ბლოკადა შესაძლოა გაგრძელდეს ექვს კვირას, რაც ნევრონულ სანავთობო ბაზრებს უსასრულობად მოეჩვენება“, – ვკითხულობთ წერილში.

სავარაუდოდ, ირანი თავდაპირველად შეეცდება, შეანელოს ტვირთების გადატანა: აიძულებს ტანკერებს შემოვლითი მანევრები განახორციელოს ან ინსპექტირებას მოახდენს. მაგრამ უმთავრესი საფრთხე რაკეტები და ნაღმებია, – აღნიშნავს **Institute for Near East and Gulf Military Analysis**-ის ექსპერტი ჩაბახატ ხანი.

კრისტოფერ პარის, წარსულში დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სტრატეგიული სამმართველოს ხელმძღვანელის პროგნოზით, ირანი უპირატესობას მიანიჭებს საიდუმლო ომს სპარსეთის ყურის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოების წინააღმდეგ: „გამოიყენებს ტერორს, სპეცდანიშნულების რაზმებს და ქალაქებს დაბომბავს პრინციპით: „ჩემი მტრის მეგობარი – ჩემი მტერია“.

The Financial Times

მსოფლიო ჰრავსის მიხედვით

dasavleTs iranSi SeWra `msubuqi gaseirneba~ nu hgonia

ირანის ბირთვული პროგრამის გამო ამ ქვეყნის მარწუხებში მოქცევის მცდელობა სულ უფრო ძლიერდება. ამერიკის შეერთებული შტატები ირანული ნავთობის იმპორტზე სანქციებს აწესებს, თეირანი კი, თავის მხრივ, ორმუზის სრუტის ჩაკეტვით იმუქრება... მოსალოდნელ ევროპულ სანქციებამდე რამდენიმე დღით ადრე, ბევრი ქვეყანა ნავთობის მიღების ალტერნატიულ გზებს ეძებს.

წნეხის შესასუსტებლად, თეირანი ნაცად ხერხს მიმართავს – ეს არის მოლაპარაკებები ჯგუფთან 5 + 1. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ანკარიდან იტყობინება, რომ განახლდა მოლაპარაკებები დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ.

ალი აკბარ სალეხი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი: თურქეთის მინისტრი დავუდოგლუ, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საკითხებში ეშტონ კატჩერი და ირანის დელეგაციის მეთაური ბირთვულ საკითხებზე მოლაპარაკებებში საიდ ჯალილი ერთმანეთთან ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებს მართავენ.

ევროკავშირი ამ ინფორმაციას უარყოფს – ეშტონ კატჩერის ადმინისტრაციის პრესსამსახური აცხადებს, რომ მოლაპარაკებების განახლებაზე საუბარიც კი არ ყოფილა.

სალეხმა შემთხვევით როდი აირჩია თურქეთი. პრეზიდენტ აჰმადინეჯადის ხელმოწერილი ხელშეკრულება ირანული ურანის გაცვლის შესახებ, სწორედ მისი დამსახურებაა. 2010 წლის მაისის ამ ხელშეკრულების თანახმად, თურქეთსა და ბრაზილიას სურდათ, „ვენის შეხვედრების“ განახლების საკითხთან დაკავშირებით დასავლეთსა და თეირანს შორის შუამავლის როლი ეკისრათ.

ამ ხელშეკრულებამ ვერ იმუშავა. ამასთან, გაისმა ურთიერთბრალდებები შეთანხმების დარღვევის გამო.

ანალიტიკოსთა შეფასებით, სალეხის ვიზიტი ანკარაში მიზნად ისახავს პროცესის განახლებასა და წნეხის შესუსტებას. და ეს ყველაფერი მიდინარეობს არა მარტო რეგიონში, მთელ მსოფლიოში ვითარების დაძაბვის ფონზე, რადგან ყველგან ირანთან შესაძლო ომის საფრთხეზე ლაპარაკობენ. მოვლენათა ასეთ განვითარებას ვარაუდობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი: „ნებისმიერი საომარი მოქმედების შედეგი მძიმეა და ამით ჩვენ უაღრესად შეშფოთებული ვართ. ასეთი ავანტიურა არ იქნება „მსუბუქი გასეირნება“, ხოლო ასეთი ნაბიჯის შესაძლო შედეგების ზუსტად გათვლა შეუძლებელია. არ არის გამორიცხული, ამით სუნიტებსა და შიიტებს შორის მინავლებული წინააღმდეგობა გაძლიერდეს და ცეცხლს ნავთი მიემატოს“.

ლავროვი ვის აფრთხილებს ამით? რა თქმა უნდა, ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ისრაელის თავდაცვის მინისტრი უარყოფს ცნობას იმის შესახებ, თითქოს თელ-ავივმა მიიღო გადაწყვეტილება, უახლოეს ხანში იერიში მიიტანოს ირანზე. თავის მხრივ, ამერიკის თავდაცვის მინისტრმა მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია: ამერიკული არმია მზად არის, წინ აღუდგეს ირანულ საფრთხეს. სამხედროთა აზრით, ჯერჯერობით არ არსებობს მოქმედების დაწყების მიზეზი, განსაკუთრებით ახლა. დიახ, ვაშინგტონში სწორედ ასე ლაპარაკობენ, და იმავდროულად კი, ამერიკული ავიამზიდი რეგიონშია ნთავსებული.

Al Jazeera

Tei ranis da vaSingtonis auxdene l i bi r Tvu l i ocneba

თეირანის ბირთვული პროგრამის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის დაპირისპირების მკვეთრი კონტურები გამოიკვეთა და ამიტომაც ჩნდება საკვლევი ბუნებრივი შეკითხვა: ულტიმატუმი კი მკაცრი სანქციებით უკვე დამძიმებულ ირანს, გააგრძელოს ბირთვული შეიარაღება, რომელშიც ბევრ რამ გაურკვეველი და საეჭვოა?

ყველანაირი მონაცემით, ირანის ლიდერებს ეს საქმე უღირთ და ამის დასტურად ამასწინანდელი ისტორიული მოვლენების მათი შეფასებაც გამოდგება. ამ ვერსიის თანახმად, ცივი ომის დამთავრების შემდეგ ასეთი ვითარებაა შექმნილი: თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს რომელიმე ქვეყნის საშინაო პოლიტიკა და საგარეო კურსი არ მოსწონს (ირანი კი სწორედ ორივე კატეგორიაში მოიაზრება), ასეთ სახელმწიფოებს ამერიკის საექსპედიციო ძალების საფრთხე ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ მათ თავდაცვისა და დაშინების შესაბამისი პოტენციალი არ გააჩნიათ. გავიხსენოთ: 1999 წლის სერბეთი, 2003 წლის ერაყი, 2011 წლის ლიბია – ეს ქვეყნები ბრძოლის ველად იმიტომაც იქცა, რომ მათ არ გააჩნდათ ბირთვული იარაღი. ანუ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლოთ მათზე შეტევა, რადგან სერიოზული შედეგების არ ეშინოდა.

ჩრდილოეთ კორეამ ცეცხლი გახსნა სამხრეთ კორეის მიმართულებით, ჩაძირა სამხრეთკორეული საესკადრო ნაღმმზიდი, სახელმწიფოს მხარდაჭერით ტერორიზმითაც არის დაკავებული და დანაშაულებრივ საქმიანობასაც ეწევა, აგრეთვე სერიოზულად არღვევს ადამიანის უფლებებს, დასცინის ამერიკულ „დაცვის ვალდებულებას“ და მიუხედავად ამ ყველაფრისა, სამხედრო მოქმედებების ობიექტი მაინც არ ხდება. ირანის შეფასება ასეთია: ჩრდილოეთ კორეას განსაკუთრებულად იმიტომ ექცევიან, რომ მას ბირთვული იარაღი გააჩნია. ირანელ კომენტატორთა აზრით, პაკისტანის ბირთვული არსენალი იცავს ისლამაბადს ამერიკული რისხვისგან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალი წელია პაკისტანელები ნახევრად ოფიციალურად მხარს უჭერენ თალიბთა პარტიზანულ მოძრაობას ავღანეთში.

ასეთი კონცეფცია პრობლემატურია, რადგან სახიფათოა მისი ამოსავალი წერტილი: ძლიერი ბირთვული შემაკავებელი ძალის არარსებობა კრიტიკული და გადამწყვეტი ფაქტორია, რამაც დასავლეთის არმიებს ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სამხედრო ინტერვენციის საშუალება მისცა. კონცეფცია კონცეფციად, მაგრამ სინამდვილე ბევრად უფრო რთულია. ლიბია და სერბეთი კომპაქტურად დასახლებული პატარა ქვეყნებია. მათ არ გააჩნდათ ძლიერი შეიარაღებული ძალები და მოკავშირეები, რომლებიც მზად იქნებოდნენ, ნატოს ძალის გამოყენებით დამუქრებოდნენ, თუკი ალიანსი ინტერვენციის ოპერაციას დაიწყებდა. ერაყში შეჭრა იმ იმედითაც გადაწყდა, რომ ერაყის არმია სადამ ჰუსეინის გამო არ იბრძოლებდა და ხალხი კოალიციური ძალების, როგორც გამათავისუფლებლის გამოჩენას მიესალმებოდა.

უფრო მეტიც – იმავე პერიოდში სხვა არაბირთვულმა სახელმწიფოებმა დასავლეთის ზემოქმედების საპირწონე საშუალებები გამოძებნეს. არსებობდა სუდანში სამხედრო ოპერაციის ჩატარების წინადადება, მაგრამ რამდენიმე მიზეზით გადაიფიქრეს – სუდანის ვრცელი ტერიტორიის გამო, იმის შიშით, რომ არსებობდა სახმელეთო ბრძოლებში ჩათრევის საფრთხე და იმიტომაც, რომ სუდანი განვითარებადი აზიური ბაზრების ენერგორესურსებით მომმარაგებელია. დღესდღეობით, სირიასაც არ ემუქრება ნატოსთან სამხედრო დაპირისპირების საფრთხე. ჩრდილოეთ კორეის მაგალითი უფრო ყურადღებით არის განსახილველი. ბირთვული იარაღის გარეშეც ამ ქვეყნის ჩვეულებრივი შეიარაღება საკმაოდ შთამბეჭდავია. ჩრდილოეთ კორეას არ სჭირდება ატომური იარაღი, რომ პირისაგან მიწისა აღგავოს სეული, დაბომბოს იაპონია და სერიოზული დესტაბილიზაციის ზონად აქციოს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია პეკინის სურვილიც, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში განთავსებულ ამერიკულ არმიასა და ჩინეთს შორის არსებობდეს ერთგვარი „ბუფერი“ ფხენიანის სახით. ბირთვული იარაღი ჩრდილოეთ კორეას ზემოქმედების დამატებით ბერკეტებს სძენს, მაგრამ იგი მაინც არ არის რეჟიმის უსაფრთხოების გარანტია.

ბირთვულ სახელმწიფოთა შორის ადგილის დამკვიდრება გეოგრაფიისა და დემოგრაფიის არსებულ რეალიებს ვერ ცვლის. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ყოფილი თანაშემწე ახლო აღმოსავლეთის საკითხებში კოლინ კალი აღნიშნავს: „სუფთა“ კონფლიქტის პერსპექტივა არ არსებობს. ირანთან ომი იქნება ქაოსური და განსაკუთრებულად სასტიკი, რასაც დიდი დანაკარგი და სერიოზული შედეგები მოჰყვება“.

აღსანიშნავია, რომ ეს შეფასება არაბირთვულ ირანთან კონფლიქტს ეხება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ირანმა ხვალიდანვე რომ შეწყვიტოს თავისი ბირთვული პროგრამა, მის წინააღმდეგ წარმოებული ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია სარისკო და სახიფათოა და ამის გაკეთებას ბევრი ვერც გაბედავს.

ამერიკელებს დაფიქრება მართებთ, რამდენად წაადგება მათი რიტორიკა თეირანის ბირთვული იარაღის პროგრამის პერსპექტივას. ვარაუდი, თითქოს ირანის ბირთული პოტენციალი ერთადერთი რამ არის საიმისოდ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შენს ჭკუაზე ატარო, მცდარზე მცდარია.

ირანელებმაც, თავის მხრივ, არ უნდა მიანიჭონ დიდი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ უზრუნველყოფს ბირთვული იარაღი მათ უსაფრთხოებას. გავიხსენოთ – როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა, იგი მსოფლიოს წამყვანი ბირთვული სახელმწიფო იყო. ის ფული და რესურსი, რასაც ირანი ბირთვულ პროგრამაზე ხარჯავს, შესაძლოა, გამოიყენონ რეჟიმის მხარდასაჭერად, როგორც ამას აკეთებენ სპარსეთის ყურის სხვა ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოები. თუ ისლამური რეჟიმი დაემხობა, საბჭოთა კავშირის მსგავსად, ეს იქნება არა გარედან ზემოქმედების, არამედ შიდა რღვევების ბრალი.

ირანი თავისი ბირთვული პროგრამის გამჭვირვალობაზე უარს ამბობს და ამით ხელს უწყობს „სახელმწიფოთა არანებაყოფლობითი კოალიციის“ შექმნას. მათ შორის არიან რუსეთი და ჩინეთი, რომელთა სანქციების შემოღებით ქვეყნის ისედაც არამყარი ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. თუ ირანი სრული გამჭვირვალობის პოლიტიკას აირჩევს, დათანხმდება ურანის ქვეყნის გარეთ გამდიდრების წინადადებას (ამ იდეის ავტორია ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ყოფილი მრჩეველი ბრენტ სკაუკროფტი), ზემოქმედების საფრთხე შესუსტდება – ქვეყნების უმეტესობას ხომ თეირანის ბირთვული მიზნები აშფოთებს და არა მისი საშინაო პოლიტიკა ან ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის მიმართ ირანის უარყოფითი დამოკიდებულება.

ჯერჯერობით, ირანის ხელისუფალთ მიაჩნიათ, რომ მათი ძალაუფლების ინტერესებს უკეთ მეესადაგება ბირთვული პროგრამა და ჯერჯერობით ისიც უცნობია, შეიცვლის თუ არა თეირანი თავის პოზიციას მოახლოებული კონფლიქტის საფრთხის გამო.

W

ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა
გულბაათ ჭავჭავაძემ.

aqa ambavi buRadyo f i l is gaku r dR I ebisa

ინტერნეტში 97 წლის და ამჟამინდელი პრეზიდენტის, პოლიტიკაში ახლადგამოჩენილ მიხეილ სააკაშვილზე დადებულ სიუჟეტს გადავაწყდი. აი, როგორ იწყებოდა სააკაშვილის გაპიარება. სიუჟეტი, "1997 წლის მოვლენას – წლის ადამიანს" ეხებოდა. ასეთი აქცენტით მონიტორინგის ჩატარებაც, რომელ არასამთავრობო ორგანიზაციის პრეროგატივა უნდა ყოფილიყო "ვარდების უბედურების" წინ, თუ არა "თავისუფლების ინსტიტუტის". წლის "ამ მოვლენის", როგორც სიუჟეტში ეწოდება– "ხარის წლის ბულაზე"- "მიხეილ სააკაშვილზე" კვლევაც სწორედ "თავისუფლების ინსტიტუტმა" ჩაატარა. კვლევის შედეგებით, 1997 წლის მნიშვნელოვან მოვლენად სასამართლო რეფორმა დასახელდა. იგულისხმება პარლამენტის მიერ სასამართლო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღება. განსაკუთრებით აღინიშნა "სიკვდილით დასჯის გაუქმება". **განსაკუთრებულ ადამიანად კი მიხეილ სააკაშვილი დასახელდა,** როგორც სასამართლო რეფორმის ინიციატორი და პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავ-რეო", გვამცნო "სიუჟეტის წამყვანმა ხმამ". (და არა მარტო. . . პირადობის მოწმობებიდან ეროვნების ამოღების ინიციატორიც "97 წლის ბუღა" გახლდათ. "ნაციონალური ბოსელის" სხვა "დედალ-მამალ ძროხებთან" ერთად. – ბ.ა) როგორი კანონის დამცველიცა და კონსტიტუციის მიმდევარიც გამოდგა, მისი გაპრეზიდენტების შემდეგ გამოჩნდა. "**97 წლის ბულად" და"წლის ადამიანად" აღიარებულმა** ძალაუფლების მოპოვებისთანავე სასწრაფო წესით, ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით აღადგინა "მის მიერვე გაუქმებული" და 2003 წლიდან სათავისოდ მორგებული "სიკვდილით დასჯის კანონი", პირადი ინტერესებიდან გამოდინარე განუწესა იმ ქართველ ხალხს. (სიკვდილით დასჯა თამარ მეფემაც გააუქმა მაშინდელ საქართველოში, მაგრამ "ვარდების საქართველოში" ეს რა გასახსენებელია?!) **"პოლიტიკური ტრამპლინისთვის გამზადებული ახალგაზრდა ბუღა"**(ბ.ა.), "რამოდენიმე დღის წინ სულ რაღაც 30 წლის გახდაო", - გვახარა დიქტორმაც. ჰყავს მეუღლეც სანდრა რულოვსკიო". მომავალ "პირველი ლედიდ" გამზადებული "ბუღას მეუღლე" მაშინ ჯერ **კიდევ რულოვსკიდ იწოდებოდა**. გვარის შეცვლა კი, სჩანს, ამ წყვილის "ოჯახური ტრადიცია" ყოფილა და მხოლოდ "ხარის წლის ბუღას" რას ვემართლებით?! სააკოვის სააკაშვილზე გადაკეთება საქართველოში კიდევ ჰო, მაგრამ რულოვსკის, რულოვსზე გადასაკეთებელად რა ძალა ადგა?! საქართველოში, ერთადერთს მსოფლიოში, "ქალდეველი ჰურების"– ებრაელების ღვიძლობის გამო, ეს ერი არასდროს უდევნია. 1997 წელსაც **"ხარის წლის ბუღას"** დევიზი ყოფილა: "**ეროვნული დამოუკიდებლობა, პლურალიზმი, დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, სამოქალაქო მშვიდობა და ეთნიკური ტოლერანტობა**". ეროვნულ დამოუკიდებლობაზეც ქართული ენის ინგლისურით ჩანაცვლების ტენდენციით, სინგაპურიზაციის მცდელობით, ქართული მიწა-წყლის უცხოტომელებზე გასხვისებით – ალბათ, საუბარიც ზედმეტია. ეს ყბადარებული ტოლერანტობაც ყველა ეთნოსისადმი, ოღონდ არა ქართველისადმი ტოლერანტობას რომ გულისხმობდა, მისმა ამომრჩეველმა თუ არა, თავად ხომ კარგად იცოდა?! იცოდა "წლის ბუღამ", ქართველ ხალხსა და მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას რა მზაკვრობასაც უმზადებდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართველებს "აცუცურაკებდა". სიუჟეტიდან: "აქვე შევნიშნავთ, ეტყობა კაცს დასავლური განათლება და წელს (1997 წელს) მიხეილ სააკაშვილი საკანონმდებლო ორგანომ აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს (აირჩია უნდა იყოს. ქართული ენის დაკნინების ტენდენცია უკვე დაწყებულია.) იუსტიციის საბჭოს თავრედო." მკითხველს შევახსენებ, რომ ამ წარმატებული სასამართლო რეფორმის გატარებაში სააკაშვილმა 14 000 000 დოლარიანი გრანტი აიღო და ამ რეფორმის საგამოცდო ტესტირებისას, მისი ძმა 500-500 დოლარად იბარებდა მოსამართლეებისგან გამოცდებს. ასეთი მოსამართლეებით დაიწყო სააკაშვილმა ქვეყნის მართვა. რა სამართლიანი იქნებოდა მათი გამოტანილი განაჩენიც, ამაზე პატიმართა ის რაოდენობაც მეტყველებს, რომლის უპრეცედენტო რაოდენობაც პოლ-პოტას რეჟიმსაც კი შეშურდებოდა! ("ოჯახი ხრამიაო", - ნათქვამია) ასე რომ სააკაშვილების "არანეპოტისტურ და არაკორუმპირებულ ოჯახს" სააკაშვილის გადაგდებისას, ბევრ სხვა დანარჩენი ნამარცვთან ერთად, (თუ ვერ გაასწრეს) ეს 14 000 000 მილიონი დოლარიც დასაბრუნებელი გაუხდება ქართველი ხალხისთვის. ეგ "შევარდნაძესავით სახლში არ წავა", რადგან (ქვემოთ ვნახავთ), რომ თავის არანორმალურობის აღიარებასაც თავად ახდენს. **არანორმალური დიქტატორები კი "სახლში მშვიდად არ მიდიან"!** დიქტორმაც (როგორც სჩანს, სააკაშვილის "მამები" შეკვეთილ გადაცემებს მანამდეც უფინანსებდნენ) გვამცნო, რომ "რეფორმატორი საკაშვილი სწორედ სასამართლო რეფორმისთვის დავაში პირველობისთვის დააჯილდოვეს და **მიხეილ სააკაშვილი- "ხარის წლის ბუღაააო"**–ასე უწოდებია მისთვის ყვითელ პრესას". თუმცა ყვითელი პრესა, როგორც ყოველთვის აქაც შეცდა და **ეს "ჩვენი ბუღა" პუტინის თვითმფრინავის ხმაზე "ჩირგვში შემძვრალ კურდღლად" როგორ იქცა, ყველამ ჩვენი თვალით ვიხილეთ.** როცა "თავისუფლების ინსტიტუტის" ყვითელ პრესასაც კი სააკაშვილი "კურდღელის ნაცვლად, ბუღაში" ერევა მიშას მინისტრი "დედალსა და მამალ ძროხას" შორის განსხავებას რატომ უნდა ხედავდეს?! ოღონდ "დედლური საქციელის გამო", "დედალია, თუ მამალი ეს ბუღა"– ალბათ კვეზერელს უნდა ვკითხოთ. 97 წელს ჯერ კიდევ "პირთხელი ბუღა" ინტერვიუში აცხადებდა: რომ თურმე "**ყველა კანონი თითოეულ მოქალაქემდე უნდა მივიდეს. ახალი წელი მოდის და ის ხალხი, ვინც ადრე თანამდებობებზე იყო, პასუხი არაფერზე აგო, ისევ თანამდებობებზე რჩებაო. რა რეპუტაციაც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში, <u>რაც არ უნდა იყვიროს ყველამ, რომ ეს ქურდი და ავაზაკია</u>, ის ასრულებს თავისი მოვალეობის შესრულებას და რჩება თავის თანამდებობებზეო**". ანუ **"წლის ბუღას"** აზრით, მაშინ **ავაზაკები და ქურდები, საზოგადეობის ყვირილის და ავაზაკთა რეპუტაციის მიუხედავად, თავის მოვალეობას ასრულებდნენ. "97 წლის ბუღას"** ჯერ კიდევ მაშინ მიაჩნდა, რომ **პასუხისგება აუცილებელია**. ეს საკითხიც, **ალბათ სწორედ ამიტომ, პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, "ერთი ხელის მოსმით" მოაგვარა ტოტალური დაჭერებითა და ჩამორთმეული ფულებით "უმრავლესობის ხაზინის" შევსებით**. იმიტომ, რომ "<u>**რამდენიც არ უნდა იყვიროს ხალხმა, ეს ქურდია და ავაზაკიო**</u>" – <u>**მაჭავარიანიც, ბარამიძეც, მთელი "რეფორმატორთა გუნდი", სააკაშვილის, მერაბიშვილ-ადეიშვილის ჩათვლით, არაფერს ვამბობ, ბოკერიას კლანის ავაზაკობაზე, "ბუღადყოფილ სააკაშვილს"თავის სიტყვებს არ ახსენებს**</u>. ზოოლოგიაში "ქათმის სიბრმავეს" იცნობენ, ეტყობა ამ სფეროში "ბუღას სკლეროზიც", თანაც ღრმაც, არსებობს. სწორედ ამიტომ, ლომაიას განათლების რეფორმამ, რომელსაც "ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტები" თავის დროზე დითირამბებს უმღერდნენ, პირველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებს – ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიას "დაარტყა". პერსონალურად სააკაშვილისთვის მომზადებულ ამ გადაცემაში სააკაშვილის "ადამიანურ თვისებებზეც" ამახვილებენ ყურადღებას. ალბათ მაშინ, მასში ამ თვისებების არსებობის უნარს კიდევ უშვებდნენ?! "ბუღადან ადამიანად" ქცეული (რაღაც კენტავრსა და "ამერიკულ კოსმოპოლიტ მუტანტს" შორის) სააკაშვილის აზრით: "პოლიტიკა ადამიანს არ ცვლის, თუ ის არის **მთლიანი და <u>ნორმალური.</u>**". (აღსარება **პირველი, სადაც თავად აღიარებს, რომ არის ნორმალური. მისმა მხარდამჭერებმაც კი "მაინც ვერ გაუგეს".**),," პოლიტიკაში ადამიანი უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის დანარჩენ ცხოვრებაში და როდესაც ადამიანი იწყებს ნიღბის მიკრობას (ალბათ, **მორგებას** გულისხმობდა – ბ.ა.), ამ ნიღაბმა მოცილება აღარ იცისო. (ჯიმ კერის ფილმი "ნიღაბიც" უნახავს. **აღსარება მეორე**). ეს „97 წლის ბუღა" ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ **პოლიტიკა განსაკუთრებულად სუფთა პროფესია უნდა იყოს** და თუ გინდა, რომ რაღაც ინტრიგებში ჩაეფლო, ინტრიგებს დასასრული არა აქვს, **როგორც კი ჩაეფლობი, ისე იცის შეწოვა, როგორც ნამდვილმა ჭაობმა**. (აღსარება **მესამე.**) აი, ნამდვილი მიზეზი კოლხეთის ჭაობში „ლაზიკის" მშენებლობისა. „ბუღა **ჭაობმა ისე შეიწოვა და მასში ისე ჩაეფლო**", რომ ჭაობიდან ამოუსვლელობის გამო, „კოლხეთის ჭაობში" ქალაქ „ლაზიკის" მშენებლობა გადაწყვიტა. იქნება და ეს თავისი "ზიზილ-პიპილო ქანდაკებები" – „პამპერსები", ველოსიპედები, კვერცხები, „ნინოები და ალები", "დეფორმირებული სკულპტურებიც" გაიყოლოს ამ ჭაობში თან. ყველაზე საინტერესო **მომდევნო აღსარებებია**: ერთი, როდესაც პასუხობს კითხვას; "**აქვს თუ არა სააკაშვილის ბევრი ფული**?" პასუხი: "არის. ხალხი ვინც ბევრს ხარჯავს, მაგრამ არც ისე ბევრი ფული აქვს, **მაგრამ არის ისეთი ხალხი, ვინც არ აჩვენებს, მაგრამ არის ხალხი და მე მათ რიცხვს მივეკუთვნები, რომელსაც ძალიან უნდა რომ ჰქონდეს, <u>*მაგრამ არა აქვს მანამ, სანამ პარლამენტშია და ეს ნორმალურიც არის*</u>.** თუ გინდა ფულის კეთება, უნდა დარჩენილიყავი ბიზნესში. (აღსარება **მეოთხე**) ფულის შოვნა თავიდანვე რომ სდომებია, არც კი დაუმალავს და რას ერჩით ახლა?! გადაცემაში ჯერი "**წლის ბუღას ჩაცმულობაზეც" მიდგა.** აღინიშნა, რომ: "თუ სააკაშვილის ჩაცმულობას მივაქცევთ ყურადღებას, **განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ჰალსტუხებიო".**

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, ამ სიუჟეტს წინასწარმეტყველური დატვირთვა რომ ექნებოდა, და არა მარტო "97 წლის ბუღასთვის". სააკაშვილის მთელ ბიოგრაფიაში **ჰალსტუხი მართლაც განსაკუთრებულ ადგილს რომ დაიმკვიდრებდა** – ვინ იფიქრებდა მაშინ? **"მართალია, არც ჰალსტუხით ჩამომხრჩვალის ოჯახში საუბრობენ ჰალსტუხზე და ალბათ, არც 2008 წლიდან ჰალსტუხის მღეჭავზე",** მაგრამ ამ აქსესუარის გარეშე სააკაშვილის ხსენება უბრალოდ ისეთივე შეუძლებელია, როგორც ინგლისელი **დენდი- ფრაკის გარეშე**. დღეს სააკაშვილის გვერდით დარჩენილ და ერთ დროს ზურაბ ჟვანიას გუნდში მყოფ "'ბუღას პადლიზებს" კარგად ემახსოვრებათ, ჰალსტუხის შეკვრის არცოდნის მიზეზით და უჰალსტუხოდ სიარულის გამო, მოწესრიგებული ჟვანია მუდმივად მოუწესრიგებელ და უჰალსტუჰო სააკაშვილს რომ დასცინოდა. ამიტომ მარყუჟგაკეთებული ჰალსტუჰები გასაკეთებლად, სააკაშვილს მომზადებული ჰქონდა. ერთ დღესაც ჟვანიას დასაცინი რომ აღარ გამხდარიყო, უკვე ერთხელ გაკეთებულ და უკვე ჩამოცმულ ჰალსტუჰზე, მეორეც ჩამოუცვამს და პარლამენტში ისე გამოცხადებულა. რაზეც იუმორით დაჯილდოებული ჟვანიასგან შესაბამისი რეაქცია მიუღია. მიშას კი კრიტიკა არ უყვარს! გახსოვთ, ალბათ, რომ ამ **"ავადსახსენებელ ჰალსტუჰს", აგვისტოს კონფლიქტის დღეებში "ბუღასგან" დაღეჭვაც არ ასცდა.** თივის ცოხნა რომ ახასიათებს საქონელს, გვინახავს, მაგრამ "**ჰალსუჰების მცოხნელი ბუღა**", მართლა **"პირველად საქართველოს ისტორიაში" იხილა მთელმა საქართველომ და მსოფლიომაც!**

ახლა, როდესაც "97 წლის ბუღა" 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ყველას "ჩირგვში მჯდომ კურდღელს" უფრო ახსენებს, ვიდრე "წიქარას ზღაპრის გმირს", ან ილიას "ლაბას", პრეზიდენტის რანგში მყოფმა და "ამნეზირებულმა ბუღამ" იმაზე მეტი "კრეატიული" ვერაფერი მოიფიქრა დამშეულ საქართველოს ჯერ პენსიონერებისთვის, შემდეგ დანარჩენ საქართველოსაც კბილებს ჩასმასა და "ჰოლივუდის ღიმილის" მოგვრას დაჰპირდებოდა. ამ "ჰოლივუდურ ღიმილსაც" "მწარე ქართული ღიმილით" მომღიმართა გარდა, თუ ესეც მორიგ ტყუილში არ გადის, 14 000 000-იან გრანტად "97 **წლის ბუღას"** რეფორმირებული სასამართლოთი და კანონმდებლობით, არც "**წინასაარჩევნოდ პენსიონერთა ხმების მოსყიდვად**" და მითუფრო **მასხრად აგდებად** არავინ ჩათვლის. მართალია, „**ჰოლივუდის კბილებს" პენსიონერები, როგორც იტყვიან, "თაროზე თუ შემოალაგებენ**", რადგან "ამ კბილებით დასაღეჭი" არც საჭმლის მოსამზადებელი გაზი, დენი და არც კბილის ექიმის ფული აღარავის შერჩება "ბუღას დედისა და ბებიის" გარდა. თანაც ამ "**ნაციონალური ბუღას**" ხალხისთვის "გაკეთებულის ხარისხით" თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა კბილებიდან "პირში წყალი არავის ჩაუვიდეთ", "ქარმა თავის ქალა არ ახადოს" და თავზე გარემონტებული სახლი არ დაენგრეთ, მაგრამ თუ ეს "ჰოლივუდურად გაღიმებული პენსიონერები" გაყინვასა და სიბნელეში ცხვირ-პირის დამტვრევას გადაურჩნენ, იმის შესაძლებლობა მაინც არავის ექნება, "ბუღას ოჯახის წევრების" მსგავსად, კალორიული, ცილების შემცველი საჭმლის დაქუცმაცება მაინც მოახერხონ ამ "ჰოლივუდური კბილებით" საახალწლოდ. ვინაიდან ამ "ჩვენმა ბუღამ" "კოწახურის საგლახაო" ფულიც აღარ დაუტოვა არავის.

ბაია ამაშუკელი

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

totaluri mosmenebi, xmis klonireba _ yvelaferi es mosamarTlis nebarTvis gareSe dasaSvebia

როგორც უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ოთარ მენაბდიშვილი ამბობს, დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში შესაძლებელია არა მარტო საუბრის მონტაჟი და მოდელირება, არამედ თვით ხმის მოდელირებაც. შესაძლებელია დღეს ადამიანს დაურეკო და სტალინის, ხვალ კი ბრეჟნევის ხმით ელაპარაკო. ეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ სპეცსამსახურების, არამედ

უბრალო მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომია. ისინი თავისუფლად შეიძლება მოიძიოთ ინტერნეტში. საბჭოთა სპეცსამსახურები დიდი ხანი მუშაობდნენ ამ ტექნოლოგიების შექმნაზე. სუკის ინტერნეტთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერი და ეფექტური სპეცტექნიკა გააჩნია. ჩვენი რესპონდენტი ვერ ხსნის, როგორ შეიძლებოდა რუსების გასაიდუმლოებული ტექნიკა, ჩვენი სპეცსამსახურების ხელში მოხვედრილიყო. მოდელირების სისტემის შემქმნელია რუსი მეცნიერი ლობანოვი. იგი თავის გამოგონებას ხმის კლონირებას უწოდებდა.

კლონირებული ხმა – 100 დოლარად

არსებობს ხმის კლონირების 100 პროგრამა. მათი მოპოვება კომპიუტერის მეშვეობით 100 დოლარადაა შესაძლებელი.

ხმის ელექტრონული იმიტატორი „ვოცალიმიტატორ“ პროგრამა, მასში გაწერილი ალგორითმების საშუალებით ახდენს ნებისმიერი ადამიანის ხმის იმიტირებას. ამისათვის საკმარისია, ჩავტვირთოთ ორი ფაილი, რომელიც შემდეგ რედაქტირდება და მეორე ეტალონური ფაილი. პროგრამა ჩაატარებს ეტალონური ხმის ანალიზს და ავტომატურად შეარჩევს თქვენი ხმის კორექტირების პარამეტრებს. პროგრამას მოხმარების ფართო სფეროც გააჩნია. – დაწყებული ბანალური თამაშებიდან, ვოკალური სამუშაოთი დამთავრებული.

MORBVOX პროგრამა ამავე სახელწოდების ამერიკული კომპანიის პროდუქცია. მას შეუძლია შეცვალოს თქვენი ხმა თქვენთვისვე სასურველი ხმით. დაადოთ მას ფონები და ეფექტები. მისი გამოყენება შეიძლება **IP** ტელეფონებში, სკოპებში და სხვა. **VOICE CHANGER SOFtVORE AVNEX**-ის მიერ დამუშავებული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამაა. ის საშუალებას იძლევა ნებისმიერი ტექსტი წარმოთქვათ თქვენთვის სასურველი ადამიანის ხმით. შეგიძლიათ ცხოველებისა და ფრინველების პაროდირება. ეს საინტერესოა იმითაც, რომ მას შეიძლება დაადოთ ეფექტები და შექმნათ შთაბეჭდილება თითქოს ტექსტი წარმოთქმულია მანქანაში, ქუჩაში, მოსაცდელ დარბაზში და ა.შ. პროგრამები მრავლადაა, მათი ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ვარდოსნები მოხვდნენ, რომ პროგრამების ხელმისაწვდომობას შეეძლო გაეშიფრა მათი ვითომდა ფარული ჩანაწერები. პრობლემა მყისიერად გადაწყვიტეს, ინტერნეტში დაბლოკეს ყველა ამგვარი პროგრამა.

„ხმის კლონირების“ ტექნოლოგია

როგორც კომპიუტერული მოდელირებისა და პროგრამული ინჟინერიის სპეციალისტი ამბობს, კლონირების პროცესში მთავარია ხმა. ხმა არის ნაწილაკთა შეჯახების შედეგად წარმოშობილი, ელექტრონულ ენერგიად გარდაქმნილი ტალღა, რომელიც სივრცეში განიბნევა ბგერების სახით. ადამიანის ხმა პირდაპირ კი არ გადაეცემა ერთი ტელეფონიდან მეორეს, არამედ ის იშლება და შემდეგ ხდება მისი სერვერზე აღდგენა. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია დაშლილი ხმის აღდგენა თავისი მახასიათებლებით.

მოდელირებული ხმის იდენტიფიცირება გაცილებით რთულია, ვიდრე დამონტაჟებულისა, გვიხსნის ჩვენი მოსაუბრე. თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ამტკიცებს, რომ ბადრი პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას ეთერში გასული სატელეფონო საუბარი მოდელირებულია, რასაც ვერ ამტკიცებს ნინო ბურჯანაძისა და მისი მეუღლის ბადრი ბიწაძის ანალოგიური სახით გამოქვეყნებულ საუბარზე.

აქამდე კანონგარეშე, ამიერიდან კანონიერი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რევოლუციურმა ხელისუფლებამ კანონის სრული უგულებელყოფით დაიწყო სატელეფონო საუბრების მოსმენა. ახლახან კი კანონში სამძებრო საქმიანობის შესახებ“ შეტანილი ცვლილებებით კანონის ძალა მისცეს იმ უკანონობას, რასაც აქამდე სჩადიოდნენ. სიახლე ითვალისწინებს, რომ მოსამართლეს აქვს უფლება გასცეს ბრძანება კავშირგაბმულობის არხიდან ან კომპიუტერული სისტემიდან შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინფორმაციის მოხსნისა და მათი ინსტალაციის შესახებ. მაგრამ „ნაცები“ ამით არ შემოფარგლულან და სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლში დაამატეს. –„ინტერნეტურთიერთობების მონიტორინგი გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში), მიმდინარეღია და დახურულ ურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა“.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შეშფოთებას გამოთქვამენ საკანონმდებლო ცვლილებების, კერძო პუნქტის დახურული ინტერნეტურთიერთობების“ გამო. ამ მუხლში მოიაზრება სხვადასხვა სოციალური ფენები (2-3 კაცი), რომელთაც ერთურთში აქვთ ფარული საუბრები. განმარტებითი სიახლე ძალიან ზოგადი და ფართოა. ის იძლევა შესაძლებლობას მოსამართლის ნებართვის გარეშე კერძო პირების ინტერნეტსაუბრები გაკონტროლდეს საგამოძიებო ორგანოების მიერ. საია-ს მიაჩნია, რომ ეს არის კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებების შეზღუდვა.

კანონად გადაქცევამდე კანონპროექტი პარლამენტში წარადგინა უმრავლესობის წევრმა, საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კახა ანჯაფარიძემ. მისი განმარტებით, აღნიშნულ ქვეპუნქტში ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როდესაც ოპერატიული მუშაკი ნდობაში შედის ეჭვმიტანილთან და ამყარებს მასთან ინტერნეტურთიერთობას. ეს ნორმა არ გულისხმობს მესამე პირის მიერ ორი ადამიანის ინტერნეტურთიერთობების მონიტორინგს. აქ საუბარია ოპერატიული თანამშრომლის შიგნით ჩანერგვაზე, როდესაც იგი ახორციელებს თვალთვალს მასა და კრიმინალურ დაჯგუფებას შორის დამყარებულ ურთიერთობებზე. ეს ჩვეულებრივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაა და არ საჭიროებს (მოსამართლის ბრძანებას (ნებართვას), – აცხადებს ანჯაფარიძე. ექსპერტები პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებას „ნაციონალებისათვის“ ჩვეულ მორიგ აბდაუბდას უწოდებენ.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ თავის ანგარიშში „თავისუფალი ქსელები 2011“ საქართველოსთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებსაც ეხება. მაგრამ ამ ორგანიზაციასაც იგივე კითხვები ებადება, რაც ქართველ სპეციალისტებს აქვთ – როგორ განხორციელდება ახალი კანონი პრაქტიკაში?

ზაზა ბილიხოძე

`Tu surs gaimarjvos, biZina ivaniSvilma saswrafod unda Seqmnas sakuTari politikuri organizacia~

რედაქციაში წერილი მოვიდა, სადაც მკითხველი პირდაპირ მოითხოვს, რომ ბიძინა ივანიშვილმა აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია.

თუ კარგად მივაყურადებთ საზოგადოების ხმას, აშკარაა, რომ ქართველი ხალხის მოთხოვნა მთლიანად ემთხვევა ამ მკითხველის აზრს.

ხალხის აზრით, საკუთარი პარტიის ჩამოყალიბება მისცემს ივანიშვილს საშუალებას ნათლად გამოკვეთოს თავისი პოლიტიკური სახე და განახორციელოს ის მიზნები და ამოცანები, რომელთა გამოც გადაწყვიტა პოლიტიკაში შესვლა.

დღეს ბიძინა ივანიშვილი ხალხთან თავისი პოლიტიკური პარტნიორების საშუალებით ამყარებს კონტაქტს, თუმცა, ფაქტია, რომ ეს სიტუაცია არ შეიძლება დიდი წარმატების მომტანი იყოს საკუთრივ მისთვის, რადგან ამ პარტნიორებს პირადი ვიწრო პარტიული ინტერესებიც გააჩნიათ და შექმნილ მდგომარეობას, როგორც ამბობენ, საკუთარი ორგანიზაციების რიგების შესავსებად უფრო იყენებენ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ფიგურის გასაძლიერებლად.

„ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს გამოვიდა ჩემთვისაო“, ხომ გაგიგონიათ?

ჰოდა, აქაც, დაახლოებით, ასეა საქმე...

მაჭანკლობა და შუამავლობა პოლიტიკაში ფრიად მომგებიანი და სარფიანი საქმეა, ოღონდ მხოლოდ მაჭანკლებისა და შუამავლებისთვის, რომლებიც მოხერხებულად სარგებლობენ და მინიჭებული სტატუსით, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი მდგომარეობის გამყარებას და განმტკიცებას ცდილობენ.

თუ ასე გაგრძელდა და ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო საკუთარი პარტიის შექმნა, დადგება მომენტი, როცა ის მთლიანად დამოკიდებული იქნება პარტნიორ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც უკვე თვითონ უკარნახებენ მას საკუთარ პირობებს და საკუთარ ნებას.

ეს ამბავი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდება.

აი, მაშინ გამოაჩენენ ეს პარტიები ბრჭყალებს და ბრჭყალებთან ერთად იმ ამბიციებსაც, რომლებსაც დღეს მალავენ.

ასე რომ, ჩვენც აბსოლუტურად ვეთანხმებით მკითხველის მოსაზრებას, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მომავალ პოლიტიკურ კოალიციაში ერთგვარი ცენტრის როლს შეასრულებს.

თუ ბოლომდე გულახდილები და გულწრფელები ვიქნებით, ივანიშვილის პოლიტიკურ პარტნიორებს ურჩევნიათ თუ ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ორგანიზაციას ვერ ჩამოაყალიბებს. მათთვის ისიც ხელსაყრელია, თუ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას არ დაუბრუნებენ, რადგან, ამ შემთხვევაში, ივანიშვილი მთლიანად ამ პოლიტიკურ პარტიებზე იქნება დამოკიდებული და მათ გარეშე ის, როგორც პოლიტიკოსი, უბრალოდ, არ იარსებებს.

დავით ქავთარია

ori Zala da erTi, bevri uuu-Ti...

არსებული მონაცემებით ხელისგულზე გვიდევს ერთი ძალა – ხელისუფლება;

მეორე ძალა – „ივანიშვილი და კოალიცია“ და მესამე – ამ ორ ძალას მიღმა დარჩენილი სუბიექტები, ანუ ისინი, რომლებიც ხელისუფლებისთვის ზედმეტნი არიან, სააკაშვილს არ უნდა და ივანიშვილისთვის – ან მიუღებელი, ან ყოვლად უინტერესონი (ყოველ შემთხვევაში, არ მიიხმო თავისთან).

ერთი ძალა, ანუ რომ დავნომროთ, პირველი ძალა, ხელისუფლება, ამბობს, რომ პროდასავლური ვართო და დასტურ, აშშ-ს ეხუტება;

მეორე ძალა, ანუ პირობითად ივანიშვილი, ამბობს, მეც პროდასავლური ვარ, ოღონდ, ნამდვილად პროდასავლური დემოკრატიული ღირებულებებისაო. ამის დასტურად მხარს უმშვენებენ „რესპუბლიკელები“.

მესამე ძალა ჩამოყალიბებული ფორმით ჯერ არ გვყავს სახეზე, მაგრამ მოიაზრება.

მაგალითად, ბატონი კახა კუკავა შეუფარავად ამბობს, რომ უნდა მოვიშოროთ ამერიკულად წოდებული, ჩვენი მენტალიტეტისთვის სრულიად მიუღებელი სიმახინჯე და აღვადგინოთ კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხალხს მშვიდობა უნდა ყოველთვის და არა გამუდმებით წინასაომარ მდგომარეობაში ყოფნა, არათუ ომი...

საქართველოში, ალბათ, ყველაფერს დაადგებოდა საშველი, პოლიტიკა რომ მართლაც პოლიტიკა იყოს და არა პირადი მიზნებისთვისა და გამორჩენისთვის წარმოებული პოლიტიკური თამაში ნიღბებით.

ვუცქერ და ვფიქრობ, – ნიღაბი არ აქვს მას (მათ), ვინც ამ ფონზე, როცა რუსეთი ქვეყნის ოკუპანტად არის გამოცხადებული, ის კი, მასთან კეთილ ურთიერთობებზე საუბრობს. საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ნაკლებად გათვითცნობიერებულებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია ამგვარი განცხადებები, ზოგისთვის – ძნელად გასაგები, ზოგისთვის, დიპლომატიური კუთხით, – მისაღები, მაგრამ მაინც არაპოპულარული.

ვუცქერ და ვფიქრობ, მეორე ძალა მესამე ძალას თანაუგრძნობს, მაგრამ იმის გამო, რომ პრორუსულად არ ჩათვალონ, ცდილობს ისეთი არასახარბიელო სვლები გააკეთოს, რაც მასვე ვნებს, თუმც, იძულებულია თუ ვალდებულია და მაინც პროდასავლურის ნიღაბს ირგებს.

ძალა – ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი

ხელისუფლების შემაშფოთებელი, მეორე ძალის, ანუ ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენით აღტყინებული და დაიმედებელი ხალხი დადრკა, იმედგაცრუების სიომ წამოუქროლა, მაგრამ მაინც ებღაუჭება უკანასკნელ იმედს, – ბიძინას კი უნდა ქმედითი საქმიანობა, მაგრამ გარემოცვა ურევს თავგზასო.

ცხადია, მიაღწია ამ ხმებმა ბატონი ივანიშვილის ყურამდე და განაცხადა კიდეც, ის კაცი არ ვარ, ვინმემ რამე მომახვიოს თავს, ყველა გაღაწყვეტილებას მე თვითონ ვიღებ და ყველაფრისთვის მზად ვართო.

სხვათაშორის, არაერთი პუნქტი იქნა სხვადასხვა პირით ნათქვამი, რომ თუ ბიძინა ამასა და ამას არ მოიმოქმედებს, ე.ი მიშასიაო. მართალია, ამის მთქმელებს სახეზე ეტყობათ, რომ თვითონვე არ სჯერათ თავიანთი ნათქვამის, მაგრამ ხომ მუშაობს გარკვეულ კონტინგენტზე.

ვერაფერი იმედისმომცემია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, მაია ფანჯიკიძის (ირაკლი ალასანიას ცოლის და) განცხადება, ვინც მხარს გვიჭერს, მინდა დავაიმედო, ხელისუფლების საცოდავი მეთოდები აზარტში გვაგდებს და გვიბიძგებს, ჩვენი ფანტაზია გამოვამჟღავნოთ და მიშას დავუპირისპიროთო.

„ივანიშვილს პარტია კი არ უნდა ჩამოეყალიბებინა, თვითონ უნდა გამხდარიყო მთელი ოპოზიციის ლიდერი“, – ბრძანა ვალერი გელბახიანმა.

„ჩათვალეთ, რომ „რესპუბლიკელები“, ალასანია და ის პარტიები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან არიან შემოკრებილნი, თუ ცალკე გავლენ არჩევნებზე, ბარიერს ვერ გადალახავენ, ხოლო, თუ ისინი ბიძინა ივანიშვილთან ერთად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, ივანიშვილი ძალიან ცოტა ხმას მიიღებს. იმიტომ, რომ პირადად მე და ჩემი ოჯახი „რესპუბლიკელების“ გამო არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ ხმას და ძალიან ბევრი ვიცი, ვინც ასე მოიქცევა“, – ბრძანა ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ.

სხვათაშორის, პირადად მეც, არაერთი ადამიანისგან მომისმენია მსგავსი შინაარსის აზრი, ისეთებისგანაც, რომლებიც დასძენენ, ვიცი, ამით ივანიშვილს გაუფუჭდება საქმე, ანუ ზოგადად, საქართველოს არჩევანს და არა ურეიტინგო „რესპუბლიკელებს“, მაგრამ რა ვქნა, სადაც ისინი იქნებიან, იქ საქართველოსთვის საკეთილო მომავალი არ მოაზრება, „რესპუბლიკური პარტია“ არ არის „ქართული ოცნებაო“...

ბატონი ბიძინა, საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება, ჯეროვნად ვერ ადევნებდა თვალს ყველაფერს, თორემ, აუცილებლად ემახსოვრებოდა ჯერ მთლიანად „რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ რატომ არის ამგვარი დამოკიდებულება და შემდეგ, მის გამოკვეთილ პოლიტიკურ სახეებს სად და რა ანტიქართული აქვს ნათქვამი, დაწერილი თუ გაკეთებული.

იმდენად დიდია ანტიპათია მათ მიმართ, რომ ახლა ისიც ამოუჩხრიკეს თინა ხიდაშელს, ირაკლი ოქრუაშვილმა თავდაუბანელ დედაკაცად რომ მოიხსენია წლების წინ და ისიც, რომ მისი ძმა ვაკე-საბურთალოს პოლიციის მიერ იყო დაკავებული ნარკოტიკებთან დაკავშირებით და მან გამოიხსნა...

ძმებ ბერძენიშვილებზე და მათ „დისიდენტურ“ წარსულზე ხომ აღარაა საუბარი, ზეპირად ისწავლა ხალხმა მათი „ციხის“ და „თავისუფლების“ ბიოგრაფიები...

ძალა – მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი

ამ ძალაზე რომ საუბარი დაიწყოს კაცმა, ან მთლად მოცლილი უნდა იყოს, ან ეგონოს, რომ ველოსიპედი არავის გამოუგონია და საქმეს შეუდგეს. მხოლოდ ერთი რამ არის სიახლე ამ ქვეყნის დამანგრეველ ძალასთან, – სხვისებრ ნაფტალინიდან ამოღებული, გაცოხლებული მუმია თუ სამუზეუმო ექსპონატი, მთელი ცხოვრების მანძილზე, ჯერ საბჭოთა კავშირის, ახლა ოკუპანტ რუსეთში მოღვაწე და მიხეილ სააკაშვილის ბიძის, ბატონი თემურ ალასანიას გამოჩენა დისშვილის გვერდზე.

დიახ, ასე ჰქვია, რადგან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი იმუშავებს მრჩევლად, მაგრამ ისე, ყოველგვარი საზღაურის გარეშე.

ჯერ ერთი, ნათესავებმა ოჯახში უნდა მოიკითხონ ერთმანეთი და არა პასუხსაგებ თანამდებობებზე თანამდებობრივად და მეორე, რას ჰქვია „უხელფასოდ“, სახელმწიფო-საქართველო ვართ თუ საქართველო-მიშას სამეფო. ამას კიდევ ეშველება, იმედია, ულუკმაპუროდ არ დატოვებს პენსიონერ ალალ ბიძას დისშვილი, მაგრამ რის მრჩევლად მოგვევლინა ბატონი ალასანია და ვის მრჩევლად საქართველოს? პენსიას რომელი ქვეყნის მთავრობა უხდის მის წინაშე დამსახურებული ღვაწლისთვის? შემთხვევით, საქართველოს ოკუპანტი ქვეყანა ხომ არა, ის რუსეთი, რომელსაც მისმა დისშვილმა ძალით და სავარაუდოდ, სამუდამოდ შეაჩერა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი?

ბატონ ალასანიას რომ დისშვილისთვის რჩევის მისაცემად და საქართველოსთვის საკეთილოდ გადმოლახა თერგი, შედეგი სახეზე იქნებოდა, მიშა საზღვარგარეთის რომელიმე ეფექტურ კლინიკაში იწვებოდა, მიშასაც წაადგებოდა ქმედითი ნაბიჯი და საქართველოსაც. აბა, ვის უნდა მისცეს რჩევა და რა სახის, მითუმეტეს, რომ მისი მცირე ინტერვიუდან ვერაფერს გაიგებს კაცი, „საერთაშორისო ურთიერთობებში 38 წლის მოღვაწეობის შემდეგ პენსიაზე გავედი. ვრჩები კონსულტანტად. ბატონი ალასანია ამაყობს იმით, რომ 3 წლის განმავლობაში გაეროს სპეციალური კონფერენციის მდივანი იყო და აცხადებს, რომ დისშვილთან, საქართველოს პრეზიდენტ ბატონ მიხეილ სააკაშვილთან მხოლოდ ღვინოზე კამათობს, ქართული ღვინო უკეთესია თუ იტალიური.

არ გაიფიქროთ ახლა, მესამე ძალაზე საუბარს ველით, რა დროს მიშას ბიძაო!

– სწორედ რომ დროულია!

ოკუპანტი ქვეყნის უშიშროების მაღალჩინოსანი ოფიცერი მრჩევლად უდგება ოკუპირებული ქვეყნის პრეზიდენტს, რომელნიც ერთმანეთისთვის უახლოესი სისხლით ნათესავები არიან, – კაცო, სადღა და ვისში ეძებენ „რუსულ პროექტებსა“ და „რუსეთის აგენტებს!“

საქართველოს მთელი სტრატეგიული ობიექტები, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი და ქართველი ბიჭების სისხლი რუსეთს შესწირა დისშვილმა, რაც დარჩა, თვითონ შეიწირა, „თავისიანებიც“ კარგად ახეირა, კიდევ რაც დარჩა, იქიდან თემური ძიასაც შეუწირა „მცირეოდენი“.

რამდენადაც მახსოვს, 2005 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ „მადნეული“ და მისი შვილობილი კომპანია „კვარციტი“ გასაყიდად გამოიტანა, ეკონომიკის მინისტრი, ასევე რუსეთის მოქალაქე კახა ბენდუქიძე ბრძანდებოდა. ასევე, რამდენადაც მახსოვს, ამ ტენდერში რუსულ-ბრიტანულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს „სტენტონ ექვითმა“ და „ინვესტჯგუფმა“ 97,25%-იანი წილის უფლებით და მის უკან იდგა არა მხოლოდ რუსეთის მოქალაქე, ბიზნესმენი და უკვე საქართველოს მთავრობის ოქროს ბურჯი, პარლამენტარი, ყოველმხრივ ნაყოფიერი კობა ნაყოფია, არამედ, საქართველოს პრეზიდენტის ბიძაც, ასევე რუსეთის მოქალაქე და რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსანი თემურ ალასანია.

კიდევ უკეთესი, „სტენტონ ექვითი“ რუსული კომპანიის „გეოპრომაინინგის“ მფლობელობაში იყო და მისი დირექტორი რუსეთის ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი და „დუმის“ დეპუტატი, მილიონერი სერგეი გენერალოვი გახლდათ.

ისევ, რამდენადაც მახსოვს, „**Global Research**“ ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა, რომ საქმე ეხებოდა იმ თურქული კომპანიის გამარჯვებას ტენდერში, რომლის ლობისტი თემურ ალასანია იყო, წინააღმდეგი კი ზურაბ ჟვანია. ტენდერის შედეგები გაუქმდა...

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის „წასვლა“ და „ტრიუმვირატის“ მოსვლა გავიხსენოთ, ივანოვი რუსი იყო და დღემდე რუსია... სხვათაშორის, პარტიული ახალგაზრდობიდან და თბილისიდან (ლენინგრადის ქუჩელი, პლეხანოველი) მოყოლებული, შევარდნაძის ორგანულად მოძულე პრიმაკოვიც რუსია, ის პრიმაკოვი, ამ ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლები ხელისუფლებაში მოსვლამდე დილა-ღამიანად რომ ადგებოდნენ თავს მოსკოვში და აიკრეს კიდეც „პრიმაკოვ-კოჟოკინის ბიჭების“ სახელი...

ყველაფერს თავი დავანებოთ და, ამ შემთხვევაში ბატონი ალასანია რუსეთის მრჩევლად უფრო წარმოჩინდება, – მიშას რომ ტახტის გამყარებაში კაცი რჩევას მისცემს, ის უსიტყვოდ რუსეთის კაცია, რადგან, მიშას პრეზიდენტობა მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს, სხვა არავინ არ გამოჩნდება საქართველოში, რომელიც ასე აიღებს ხელს საკუთარ, თუნდაც მხოლოდ გეოგრაფიულ სამშობლოზე, – ვინ ყოფილა კიდევ ერთი ნიღბიანი პრორუსული ძალა? – თუმცა, რატომ ნიღბიანი?

ძალა – უძლურები

ამ კატეგორიაში, უკვე მოგახსენეთ და უზემოდაც იცოდით. ვინც მოიაზრებიან, ასე ვთქვათ, „მოხალისე პარტიები“ და „უ“ თავსართიანი პოლიტიკოსები და პოლიტიკანები (უ-ფულოები, უ-რეიტინგოები, უ-თავმოყვარეობები, უპატრონოები და ა. შ) მაგრამ მათი ერთობა სახეზე არ არის, ჯერ არ გამოკვეთილა, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, ისიც, – ისე, რა!

დავიჯერო, სულხან-საბას „ძალა ერთობაშია“ არავის წაუკითხავს?

მაია ჭელიძე

koba daviTaSvili:

zurgze snaiperis SaSxana mkidia da yovelDRe imaze vfiqrob, vis davartya, vin movkla~...

როგორ და რა ფორმით აპირებს „ხალხის პარტია“ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას და რა შანსები აქვს ოპოზიციას საპარლამენტო არჩევნებზე? „საერთო გაზეთს“ „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი ესაუბრა:

— ბატონო კობა, თქვენ პოლიტიკურ კოალიციაში შემავალ პარტიებს მუშაობის ტემპი დაუწუნეთ. კონკრეტულად რა არ მოგწონთ?

— უფრო მეტი აქტივობა და მუშაობაა აუცილებელი. საკუთარი თავით მხოლოდ იდიოტია კმაყოფილი. საბედნიეროდ, კოალიციაში იდიოტი ადამიანები არ ვართ გაერთიანებული. ბოლო დროს პირადად გავზარდე აქტივობა, დღეს უკვე მეორე ბრიფინგს ვმართავ, იმ საკითხებზე, რაც ხალხს აწუხებს. ყოველდღიურად ბევრი უსამართლობა და უკანონობა ხდება, ამიტომ ჩვენი მხრიდან აუცილებელია ყველა პრობლემაზე დროული და ადეკვატული რეაგირება.

— რა გიშლიდათ ხელს ყოფილიყავით უფრო აქტიური?

— მუშაობის ტემპი გავზარდეთ, ამიტომ ამ ეტაპზე ჩემი თავისადმი უკმაყოფილების საფუძველი არ მაქვს.

— თითქმის ყველა თანხმდება, რომ სააკაშვილი თავისუფალ არჩევნებს არ დაუშვებს. არსებული საარჩევნო კოდექსიც არასრულყოფილია. ასეთ პირობებში რა რესურსით აპირებთ გამარჯვებას?

— პრობლემა არა საარჩევნო კოდექსში, არამედ ქვეყნის ხელისუფლებაშია, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატიურად აყალბებს არჩევნებს. არც ერთი კოდექსი არ ითვალისწინებს არჩევნების გაყალბებას, პირიქით ყველაზე ცუდ კანონპროექტშიც მითითებულია, არჩევნების გაყალბება ისჯება კანონით.

სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის შესაცვლელად მხოლოდ საარჩევნო კოდექსის შეცვლა არაა საკმარისი. აქ კომპლექსური პრობლემებია გასათვალისწინებელი. თავდაპირველად დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლება არასოდეს შეცვლილა. საინტერესოა, რატომ ხდება ასე? აუცილებელია ამ პრობლემის გაანალიზება და სწორი დიაგნოზის დასმის შემდეგ სათანადო მკურნალობა. ჩვენთან ხელისუფლებაში მოსვლას და ხელისუფლებიდან წასვლას ძალიან დიდი ფასი აქვს. ხელისუფლებაში მოსული ადამიანი, ამ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილი არის არა ხალხის მიერ დაქირავებული სახელმწიფო მოხელე, არამედ დიქტატორი, რომელიც ყველას და ყველაფერს ანადგურებს.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არა სააკაშვილის ადგილის დაკავება, არამედ იმ ძალაუფლების მოსპობაა, რასაც სააკაშვილი ფლობს.

— ვფიქრობთ, რომ თქვენი მხრიდან გარკვეული გარანტიების შექმნის შემთხვევაში ხელისუფლება დათმობაზე წამოვა?

— როდესაც ორი არმია ერთმანეთს ებრძვის, ერთი მეორე არმიას მთლიანად ალყას შემოარტყამს და გასასვლელს არ დაუტოვებს, პირველი იძულებული ხდება სიკვდილს ბოლო წუთამდე ებრძოლოს. წარმატებული მხედართმთავრები მტერს გასასვლელს ყოველთვის უტოვებდნენ. ამიტომ თუ ჩვენი მხრიდან გარკვეული გარანტიები იქნება, ხელისუფლებაც უფრო ლმობიერი გახდება.

— პოლიტოლოგები, ექსპერტები, ოპოზიციონერები თანხმდებიან, რომ არსებული საარჩევნო კოდექსი სრულყოფილი არაა. შესაბამისად, რატომ არ აყალიბებთ ოპოზიციის წევრები ერთიან პოზიციას ხელისუფლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მისამართით?

— ყველა ოპოზიცია ოპოზიცია არაა. ჩვენ გვყავს დეკორატიული ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლების მოსართავად გამოიყენება, თარგამაძე, თორთლაძე, დავითაია, მემარჯვენეები, კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც საერთოდ კაქტუსივით უცხოეთში დადგეს. საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება ისე არ მოხდება, რომ ოპოზიციისთვის მისაღები აღმოჩნდეს, რადგან ამას ხელისუფლება ცოცხალი თავით არ დაუშვებს. პირიქით, ხელისუფლებას აწყობს ოპოზიციის წარმომადგენლების ყვირილი არსებულ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, თითქოს არჩევნებს აზრი არ აქვს, ხალხი არჩევნებზე არ უნდა მივიდეს, ეს ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს. არჩევნებზე რაც ნაკლები ამომრჩეველი მივა, რა თქმა უნდა, გაყალბების შანსი მნიშვნელოვნად იზრდება.

— როგორც ჩანს, როცა ჩართული იყავით საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროცესში, იცოდით ხელისუფლება არ მიიღებდა სათანადო კანონპროექტს, შესაბამისად, რატომ ჩაერთეთ მოლაპარაკებში?

— პროცესი მიმართული იყო არა ხელისუფლებისთვის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მისამართით. სააკაშვილი, რომელიც ქვეყნის შიგნით ყველას და ყველაფერს ანადგურებს, უცხოეთში კი ყველას უღიმის და დემოკრატიის შუქურად გვევლინება, გვსურდა მისი ორსახოვნება მსოფლიოსთვის დაგვენახებინა, ნიღაბი ჩამოგვეხსნა.

თუმცა ვენეციის კომისიამაც საარჩევნო კოდექსში სერიოზული ხარვეზები დააფიქსირა, რომელიც ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა? მინდა გითხრათ, შენიშვნები, რომელიც ვენეციის კომისიამ მიიღო ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა. არჩევნების შედეგებს საერთაშორისო თანამეგობრობა ან სცნობს ან არა. თუ უცხოეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა არ აღიარეს არჩევნები, შესაბამისად, ახლადარჩეული ხელისუფლება არალეგიტიმურად გამოცხადდება. „ნაცმოძრაობა“ როცა იგროვებს შენიშვნებს ვენეციის კომისიისგან, ჰილარი კლინტონისგან, ვფიქრობ, საბოლოო შედეგი სააკაშვილისთვის არასახარბიელო იქნება.

— მიგაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე არჩევნები პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა?

— დღეს ეს ერთადერთი გზაა. მნიშვნელოვანია, როცა პოლიტიკურ სტრუქტურებში აღარ ისმის დებატები, რომელი გზა სჯობია. ოპოზიციის დანაწევრება და უთანხმობა მხოლოდ ხელისუფლების იმიჯზე დადებითად მოქმედებს. აქამდე რევოლუციის მომხრე პოლიტიკოსები ხალხს რევოლუციისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა რევოლუციის თავი არ ჰქონდათ. ასეთი შეცდომა მეც დამიშვია, მაგრამ ადამიანი იმისთვის არსებობს რომ დაშვებული შეცდომა გაანალიზოს და გამოასწოროს. მთავარია, ხალხის კონცენტრაცია ერთი მიმართულებით მოხდეს. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ეს ფაქტორი გააჩინა და ყველა არჩევნების გზას დაავადექით.

— როგორ ფიქრობთ, არჩევნებზე რა იქნება წარმატების გარანტორი. ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი თუ სწორად, მიზანმიმართულად დაგეგმილი პოლიტტექნოლოგიები?

— ყველაფერთან ერთად. ივანიშვილის ფაქტორი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია. მისმა გამოჩენამ გამოიწვია ის რომ, ადამიანები, რომლებიც არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას არ ემხრობოდნენ, დღეს უკვე ასე აღარ ფიქრობენ. სახელისუფლებო გამოკითხვებშიც კი ადამიანების უზენაესი აქტივობაა.

— საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ე.წ. მესამე პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდეს. ვის მოიაზრებთ ამ სეგმენტში და შესაძლოა თუ არა ამ ფაქტორმა ბიძგი მისცეს არჩევნებზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას?

— მესამე ძალის გამოჩენის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. ე.ი. ვინც ვერ მოხვდა ვერცერთ გაერთიანებაში, მესამე ძალას ქმნის? პოლიტიკური პროცესი პოლარიზებულია და მთავარი პოლიტიკური პროცესები ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ვითარდება, რომელსაც გამარჯვების სერიოზული ბერკეტი გააჩნია. მესამე ცენტრი ვერ იტყვის, რომ მათ აქვთ არჩევნებზე გამარჯვების შანსი და ივანიშვილს — არა. ასეთ რამეს მათ არავინ დაუჯერებს, შესაბამისად, რა აგიტაცია უნდა გასწიონ?

— ზვიად ძიძიგურის თქმით, სასურველი იქნება თუ ყველა ოპოზიციური ძალა იმ პოლიტიკური ალტერნატივის რიგებში გაერთიანდება, რომელიც ამ ეტაპზე ყალიბდება. თქვენ რას ფიქრობთ?

— ეს არის საზოგადოების დაკვეთა, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა სურს. კარგად გვახსოვს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც თითქმის ყველა ოპოზიციურმა ლიდერმა ცალ-ცალკე იყარა კენჭი. ამით კი, რბილად რომ ვთქვა, ოპოზიციის საერთო საქმე მოგებული არ დარჩენილა. მესმის იმ პოლიტიკური პარტიების, რომელთაც უნდათ თვითგადარჩენა თავის დამკვიდრება, საარჩევნო ბარიერის გადალახვა და პარლამენტში მოხვედრა. გასაგებია — მათი ეს სურვილი ცუდი არაა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრით ხალხის სურვილი, — შეცვალოს ხელისუფლება ვერ კმაყოფილდება.

— რამდენიმე დღის წინ შალვა ნათელაშვილმა პოლიტიკური ქილერი გიწოდათ. რის საფუძველზე გააკეთა ასეთი განცხადება?

— ზურგზე სნაიპერის შაშხანა მკიდია და ყოველდღე იმაზე ვფიქრობ, ვის დავარტყა, ვინ მოვკლა. შალვა ნათელაშვილს ბოლო პერიოდში ინგლისურად საუბარი დასჩემდა, რომელიც მაინცდამაინც არ გამოსდის, ამიტომ, სჯობს, ქართულ ენაზე გვესაუბროს. ჩემმა შვილმა, სამი წლის ანდრიამ, ინგლისურ ენაზე სამი სიტყვა იცის და ისიც ბატონი შალვას დახმარებით — „დაუნ დი დიქთეითე“.

— ბოლო დროს შალვა ნათელაშვილი ივანიშვილის მისამართით საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებს. რა არის მიზეზი?

— ორი ერთმანეთზე უარესი ვერსია მაქვს. პირველი, თითქოს მთელი სამყარო ნათელაშვილის წინააღმდეგ შეიკრა, ივანიშვილი და სააკაშვილი ერთია, ორივეს უკან აშშ-ი დგას, ყველაფერი გადაწყვეტილია. ადამიანი, რომელსაც ნათელაშვილი პრემიერობის პოსტზე ასახელებდა, ახლა გახდა მისთვის არასასურველი და სატანა? მეორე ვარიანტით კი ივანიშვილის ლანძღვა-გინება ვის წისქვილზე ასხამს წყალს, მოგეხსენებათ, ამიტომ ნებსით თუ უნებლიეთ, ნათელაშვილი სააკაშვილის სასარგებლოდ მოქმედებს.

ნათელაშვილი პოლიტიკურ ქილერობაში თუ იმას გულისხმობს — პოლიტიკურად ვკლავო, ბატონ შალვას ნოდარ დუმბაძის სიტყვებს შევახსენებთ: „ყველა კაცი თვითონ იკლავს თავს“. ბატონი შალვა თავისი განცხადებებით ყოველდღიურად კარგავს მომხრეებს, მათ შორის პარტიულ კადრებს. ის თავად არის პოლიტიკური თვითმკვლელი.

მირანდა ნაბახტეველი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ratom esxmis daTvebs reti anu ratom gadawyvita xelisufleba, rom bavSvebs azrovneba aRar sWirdebaT?

დაუღალავი შრომის შემდეგ ხელისუფლებამ როგორც იქნა ბავშვებზე „ზრუნვისთვისაც“ მოიცალა და საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი პროგრამით სწავლება დანერგა. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვისაა გათვლილი და საპილოტეა, თუმცა ფსიქოლოგების თქმით, იგი უკვე დაინერგა. ბავშვი ყველგან ბავშვია, თუმცა, საბედნიეროდ ახალი მეთოდებით აღზრდა, ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის ბავშვებისთვისაა ხელმისაწვდომი. ამ პროგრამის მიხედვით საბავშვო ბაღის აღსაზრდელს აღარ მოეთხოვება ლექსების სწავლა, აზროვნება, მეტყველება, საკუთარი სამშობლოს, დედაქალაქის შესახებ რაიმეს ცოდნა, სამაგიეროდ მის ვალდებულებაშია ზედმიწევნით ინგლისის ქუჩების ცოდნა. ახალი პროგრამა თავად ვნახე და საკმაოდ გამიჭირდა იმის გაცნობიერება, რომ იქ მოცემული ლიტერატურის დიდი ნაწილი, რომელიც პედაგოგმა უბრალოდ უნდა წაიკითხოს და არა ასწავლოს, არათუ 3-4 წლის ასაკის ბავშვის, არამედ სკოლის პროგრამის ფარგლებსაც სცდება.

რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ, რომ ბავშვს აზროვნება აღარ სჭირდება? რატომ დაამუნჯა ხელისუფლებამ ბავშვები და რატომ გადააქცია საბავშვო ბაგა-ბაღები სამხატვრო აკადემიად? რა საფრთხეს უქმნის ბავშვებს ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით სწავლება? ამ და სხვა თემებზე ბაგა-ბაღების ფსიქოლოგებს ვესაუბრეთ. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ისინი მოქმედი ფსიქოლოგები არიან და ვერც ამ პროგრამით „აღფრთოვანებას“ მალავენ, მათი სამუშაოდან გათავისუფლების თავიდან აცილების მიზნით, ვინაობას ინკოგნიტოდ ვტოვებთ.

ხატია დ, ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი: ამ პროგრამის დედა-აზრი არის ის, რომ არ ვასწავლოთ ბავშვებს არავითარი სასწავლო უნარ-ჩვევა, მხოლოდ ზოგადი უნარ-ჩვევები უნდა გამოვუმუშავოთ ანუ ფანქრის ხელში დაჭერის, ხატვის, კონტურების შემოხაზვის ჩვევა, რასაც ბავშვი მექანიკურად აკეთებს. ეს პროგრამა ბავშვს უბრალოდ თავისუფალი დროის დეფიციტს უვსებს, მაგრამ არცერთ საკითხთან დაკავშირებით შემეცნება არ ხდება. პროგრამის ფარგლებში ბავშვს არ მოეთხოვება მეტყველება, აზროვნება, არავითარი კომუნიკაცია, იგი უბრალოდ მთელი დღის მანძილზე სამუშაოს ასრულებს. ბავშვს აღარ ეკალება მოთხრობის მოყოლა, ლექსის სწავლა. ადრე ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ როდის ვახატინებდით, ახლა ფანქრის ხელში დაჭერა აღარ სიამოვნებთ, რადგან უკვე გადაიღალნენ ასეთი კონვეიერული მუშაობით. ახლა ყველაფერი ავტომატიზირებულად ხდება. ერთი რამ ცხადია — ეს არ არის პროგრამა, რომელიც ბავშვის განათლების, ინტელექტის, სკოლისთვის მომზადებისთვისაა განკუთვნილი. ეს, უბრალოდ თავის შეყოლიების პროგრამაა, დღის მანძილზე ბავშვი დატვირთულია მექანიკური, ავტომატიზირებული სამუშაოებით და მას არ აქვს თავისუფალი დრო. თუ ეს პროგრამა გაგრძელდა, ბავშვი გამოიმუშავებს ფანქრის ჭერის უნარს, მაგრამ მის ინტელექტუალურ და აღმზრდელობით უნარების განვითარებაზე, საუბარიც ზედმეტია. ამ პროგრამით სერიოზული საფრთხე ექმნება ბავშვის მეტყველების კულტურას, რაც უმთავრესია. თუ ბავშვმა ლექსი არ ისწავლა, მოთხრობა არ მოყვა, როგორ უნდა განუვითარდეს ზეპირი მეტყველება? პროგრამა მთელი დღე ბავშვის მდუმარედ ყოფნას ითვალისწინებს. ზოგი ბავშვი ისედაც გულჩათხრობილია და კომუნიკაცია უჭირს. ასეთ ბავშვებზე განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო, მაგრამ თუ მათ მეტყველების უნარის გამომუშავების ნაცვლად, პირიქით ჩუმად ყოფნა მიუსაჯე, მას სამომავლოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება. წარმოუდგენელია საბავშვო ბაგა-ბაღში როგორ უნდა მოგივიდეს აზრად ისეთი პროგრამის შემოტანა, სადაც ბავშვს არ მოეთხოვება აზროვნება, არამედ მიზანი მექანიკურად, ხელის კუნთების განვითარებაა, ამ პროგრამით შემოქმედებითი უნარების, ზეპირი მეტყველების, ინტელექტუალიზმის, ლოგიკური აზროვნების, მეხსიერების განვითარება საერთოდ იგნორირებულია. ამაზე მეტი კატასტროფა რაღა გინდათ, ე.ი. გვავალდებულებენ ბავშვებს გონება დავუჩლუნგოთ. პროგრამის ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ბავშვს აღარ უჩნდება მეტყველების, საუბრის, დიალოგის სურვილი, იგი მხოლოდ ხელსაქმის შემსრულებლის როლშია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ბავშვის უფლებებს არღვევს. ბავშვს შეიძლება მუსიკის მოსმენა უფრო უნდოდეს, ვიდე ხატვა, მაგრამ უნდა ხატოს და თანაც მხოლოდ ის, რაც პროგრამაშია. თანაც ბავშვებს აძლევენ დამზადებულ დეტალებს, რომლებიც უნდა შეაერთოს, რითაც საერთოდ არ ვითარდება ფანტაზია. ბავშვს არ შეუძლია იმის დახატვა, რაც თავად სურს, ანუ მას თავისუფალი არჩევანის უფლება აღარ აქვს. ბაგა-ბაღების სააგენტოდან შემოწმებაზე მოვიდნენ, ყურადღება გაამახვილეს იმაზე თუ რამდენად კარგად იყო მიკრული კედლებზე ნახატები, რამდენი დავალება იყო შესრულებული. ვკითხე რა პროფესიის ხართ-მეთქი — სტომატოლოგიო მიპასუხა. რა იცის სტომატოლოგმა რა სჭირდება ბავშვს? ბავშვებს ვზრდით თუ რობოტებს, მექანიკურად რომ ამუშავებენ?

ნათელა. ჭ. ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი: მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ რა ლექსები და მოთხრობები უნდა წაუკითხოს პედაგოგმა 3-4 წლის ასაკის ბავშვებს. მაგალითად, პროგრამაში შეტანილია თემა — სხეულის ნაწილები. ავიღოთ ლექსი ჩხირები — **„ჩემი ოთხი ფლის ფვილიფვილმა დამხატა ასე, უნაზეს გრძნობით მე მას სხვებში გა-ლელური“**. წარმოგიდგენიათ, 3 წლის ბავშვს უხსნი სიგარეტი არ მოწიო, თორემ სული ამოგხდებაო. თუ მშობელი ეწევა, ბავშვი ფიქრს იწყებს, რომ მას სული ამოხდება. ეს ყოვლად წარმოუდგენელია. თუ მავნე ჩვევებზეა საუბარი — იაკობ გოგებაშვილს აქვს „საგანძურში“ შესანიშნავი მოთხრობები — ვანო და ჩიტი, რომელიც აგრესიის გამომხატველია, ჯიუტი თხები, რომელიც სიჯიუტეს გამოხატავს და ა.შ. ეს ლექსები ბავშვებს უნდა წაუკითხო, მაგრამ არ ასწავლო. ამ ლექსების შესწავლა მართლაც გამორიცხულია. პროგრამაში შეტანილია ისეთი მოთხრობები, რომელიც მე, ფსიქოლოგმაც კი ვერ გავიგე, რა უნდა შეიმეცნოს ბავშვმა? ერთი ისეთი ლექსია თარგმნილი შეურაცხადის დაწერილი მეგონა. ეს პირდაპირ „სოროსის“ პროგრამიდან გადმოღებული პროგრამაა, გაიარეს „სოროსის“ კურსები, ტრენინგები. პროგრამა ილიას უნივერსიტეტშია გამოცემული და უკვე მგონი კომენტარიც ზედმეტია. 4-5 წლიანების პროგრამაში მოცემულია მოთხრობა — „ქვემოთ“, რითიც ბავშვს წესით ამ სიტყვის მნიშვნელობა უნდა შეუმეცნო. აქ კი საუბარია მისტერ უილტონგნოტზე, რომელიც კარგ ამინდშიც, სახლშიც, ლიფტშიც გაშლილი ქოლგით დადიოდა და ბოლოს იატაკზე აღმოჩნდა. ეს მოთხრობა შეიძლება დიდმა ვერ გაიგოს და 4 წლის ბავშვი რას გაიგებს. თუნდაც ამ ადამიანის ქცევა ნორმალურია?! აქვე მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო — იურიდიულად, ოფიციალურად საქართველოში გამოცხადებული არ არის, რომ 5 წლის ბავშვი სკოლაში უნდა წავიდეს, მიუხედავად ამისა, პროგრამაში შეტანილი არ არის 5-6 წლიან ბავშვებთან და 2-3 წლიანებთან რითი უნდა იხელმძღვანელოს პედაგოგმა. როცა ეს ვიკითხეთ, გვითხრეს — 2-3 წლიანებში, 3-4 წლიანების პროგრამა გაამარტივეთო. გეკითხებით, 2 წლის ბავშვს როგორ გავაგებინო თუ სიგარეტს მოსწევ სული ამოგხდება, ამას სჯობს თავში კეტი ჩაირტყა-თქო?!



მოვერჩევი, უსწორმასწორო გოგრასავით მოხატულ თავზე მზის სხივებივით შემომავლო თმები მეჩხერი... გამაშლევინა ორი ხაზი — ხელები განზე, ხელში კი რა მაქვს? — ვერ მიხვდებით ვერასდიდებით, „ლიტერატურულ საქართველოს“ განუყრელ გაზეთს მიფებებია გაფშეკილი ჩხირის თითები“. გეკითხებით, ეს 3-4 წლის ასაკის ბავშვთან წასაკითხი ლექსია, რა უნდა გაიგოს აქედან მან?! ახლა, წაგიკითხავთ რა ლექსია პროგრამაში შეტანილი სხეულის კიდევ ერთ ორგანოზე — ფილტვებზე — **„რატომ ესხმის დათვებს რეტი? უფევიათ სიგარეტი, მანქანების ბოლში გზაზე სპილო ფილტვებს იზიანებს... დაბრუნდითო ყველა ტყეში, რა კარგია ტყეში სუნთქვა, სიკვდილის ფინ მელას უთქვამს ფილტვები რომ დაისუსტა. დათვი დაჯდა ფერდა უსტარს — არ მოსწიოთ სიგარეტი, სჯობს ჩაცეთ თავში კეტი, დააბრუნეთ ყველა ტყეში, მავნე ჩვევებს შეეშვებით, თუ არა და ჩემსავით ამოგხდებათ სული, შეგიფრავთ ჩვეა ერთობ სუ-ლელური“**. ეს ლექსი, სადაც ისეთი სახელებია, ბავშვი ვერაფრით დაიმახსოვრებს. არცერთი ლექსი არ არის სამშობლოს თემაზე, უფრო მეტიც, ფაქტობრივად ქართული სახელები ბავშვებს ყურში არ ხვდებათ. უარყოფილია ეროვნული ლიტერატურა, ამ პროგრამით ბავშვი ყველაფერს მექანიკურად აკეთებს.

ნათელა ჭ: მოვიყვან მაგალითს, როგორ უნერგავენ ბავშვებს ოჯახურ ტრადიციებს. პროგრამაში მოცემულია ქორწილის თემა, სადაც ბავშვმა ქორწინების რიტუალი უნდა გაითამაშოს, ამაზე ბავშვებმა დაგვცინეს. მითითებულია, რომ გოგოს ფატა უნდა ეფაროს თავზე, ასევე ხაზგასმულია ამბორის შესახებ და ნათქვამია, რომ ეს კოცნა სხვანაირია და მეგობრული სხვანაირი. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა აუხსნა ამ სცენის გათამაშების დროს 3 წლის ბავშვს როგორი ამბორია საჭირო. წარმოუდგენელია ამ პროგრამას, როგორც ქალმა, ადამიანმა, პიროვნებამ მხარი დაუჭირო. ასეთი პროგრამა ნორმალურ ბავშვებზე გამიზნული არ არის, ეს გამიზნულია ინკლუზიურ სწავლებაზე. აბა, როგორ შეიძლება ჯანმრთელი ბავშვი მთელი დღე დასვა და ახატინო, არ ამოაღებინო ხმა, ლექსი არ ასწავლო, აზროვნება არ განუვითარო. სრული განუკითხაობაა, რაც ბავშვზე დროთა განმავლობაში აუცილებლად აისახება უარყოფითად.

ჩვენ ერთ-ერთ ბაგა-ბაღში პედაგოგსაც გავესაუბრეთ: „გავიარეთ სპეციალური ტრენინგები. გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა მოვქცეოდით ბავშვებს. მაგალითად, თუ ორი ბავშვი ჩხუბობს და ერთმანეთის ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ, ეს პედაგოგებმა არ უნდა შევიმჩნიოთ, ვითომ არაფერი არ ხდება. ასევე გვითხრეს, რომ თუ ბიჭი გოგოს თოჯინებით თამაშობს, არ დავუშალოთ მას, და ამას ყურადღება არ მივაქციოთ. სხვათაშორის, ეს ჩვენი ბაღის პედაგოგებმა გააპროტესტეს. ლექსების შესწავლა ბავშვებს აღარ მოეთხოვებათ. პროგრამაში შესულია ლექსები, რომლის სწავლაც ბავშვისთვის მართლაც წარმოუდგენელია, რადგან მათი უმეტესობა ისეთი უშინაარსოა, აღქმა პედაგოგებსაც კი გვიჭირს“.

SOS! mSoblebo, gadamaleT bavSvebi _ `reformirebul~ baga-baRebSi maT gonebriv daClungebaze muSaoben!

ზირებულად ხდება. ერთი რამ ცხადია — ეს არ არის პროგრამა, რომელიც ბავშვის განათლების, ინტელექტის, სკოლისთვის მომზადებისთვისაა განკუთვნილი. ეს, უბრალოდ თავის შეყოლიების პროგრამაა, დღის მანძილზე ბავშვი დატვირთულია მექანიკური, ავტომატიზირებული სამუშაოებით და მას არ აქვს თავისუფალი დრო. თუ ეს პროგრამა გაგრძელდა, ბავშვი გამოიმუშავებს ფანქრის ჭერის უნარს, მაგრამ მის ინტელექტუალურ და აღმზრდელობით უნარების განვითარებაზე, საუბარიც ზედმეტია. ამ პროგრამით სერიოზული საფრთხე ექმნება ბავშ-

ბაღში მოცემულია მოთხრობა — „ქვემოთ“, რითიც ბავშვს წესით ამ სიტყვის მნიშვნელობა უნდა შეუმეცნო. აქ კი საუბარია მისტერ უილტონგნოტზე, რომელიც კარგ ამინდშიც, სახლშიც, ლიფტშიც გაშლილი ქოლგით დადიოდა და ბოლოს იატაკზე აღმოჩნდა. ეს მოთხრობა შეიძლება დიდმა ვერ გაიგოს და 4 წლის ბავშვი რას გაიგებს. თუნდაც ამ ადამიანის ქცევა ნორმალურია?! აქვე მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო — იურიდიულად, ოფიციალურად საქართველოში გამოცხადებული არ არის, რომ 5 წლის ბავშვი სკოლაში უნდა წავიდეს, მიუხედავად ამისა, პროგრამაში შეტანილი არ არის 5-6 წლიან ბავშვებთან და 2-3 წლიანებთან რითი უნდა იხელმძღვანელოს პედაგოგმა. როცა ეს ვიკითხეთ, გვითხრეს — 2-3 წლიანებში, 3-4 წლიანების პროგრამა გაამარტივეთო. გეკითხებით, 2 წლის ბავშვს როგორ გავაგებინო თუ სიგარეტს მოსწევ სული ამოგხდება, ამას სჯობს თავში კეტი ჩაირტყა-თქო?!

ხატია დ: „არანაკლებ შემაშფოთებელია ის, რომ ახალი პროგრამით სამშობლოს თემატიკა საერთოდ არ არსებობს. ბავშვმა არაფერი იცის სამშობლოზე, მის დედაქალაქზე და არც ევალება ამის ცოდნა. სამაგიეროდ, პროგრამა ბავშვებს ინგლისის ქუჩების ცოდნას ავალდებულებს. პროგრამაში რატომ არ უნდა იყოს შეტანილი თბილისის ქუჩები? რატომ არ უნდა იცოდეს ბავშვმა საქართველოს კუთხეები და უნდა იცოდეს ინგლისის პროვინციები? ადრე ბავშვს ვასწავლიდით რომელ ქალაქში ცხოვრობს, რომელ ბაღში დადის, სახლის მისამართს. ასე ბავშვებს აზროვნებას უვითარდებოდათ. ინგლისის ქუჩების ცოდნა რად უნდა 3 წლის ბავშვს, თუ სახლის მისამართი არ ეცოდინება, ეს ხომ ანომალიაა. მაგალითად, ქორწილის თემაში შესულია ჩხიკვთა-ქორწილი, მაგრამ ძალიან შემცირებული, სამაგიეროდ მოთხრობა ტიპიტოპიას ტომებია პროგრამაში შესულ-ფილტვებზე — „რატომ ესხმის დათვებს რეტი? უფევიათ სიგარეტი, მანქანების ბოლში გზაზე სპილო ფილტვებს იზიანებს... დაბრუნდითო ყველა ტყეში, რა კარგია ტყეში სუნთქვა, სიკვდილის ფინ მელას უთქვამს ფილტვები რომ დაისუსტა. დათვი დაჯდა ფერდა უსტარს — არ მოსწიოთ სიგარეტი, სჯობს ჩაცეთ თავში კეტი, დააბრუნეთ ყველა ტყეში, მავნე ჩვევებს შეეშვებით, თუ არა და ჩემსავით ამოგხდებათ სული, შეგიფრავთ ჩვეა ერთობ სუ-**

ნაუბრება რამდენიმე მშობელთანაც მოხერხდა. მათი უმეტესობის მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა: „ბაღში 80 ლარს ვიხდი და იმისთვის, რომ მთელი დღე ბავშვი გაუნძრევლად იჯდეს და ხატვის მეტი არაფერი აკეთოს? ბავშვი ბაღში იმიტომაც შევიყვანე, რომ კომუნიკაციას მიეჩვიოს, ახლა კი ბავშვს, ფაქტობრივად არც პედაგოგთან და არც ბავშვებთან კონტაქტი არ აქვს. დედიკო აღარ მინდა ბაღში სიარული მეუბნება. აღარ უნდა ამდენი ხატვა. ლექსი აღარ ისწავლება, აღარც თხრობა ხდება. ბავშვს იქ წაკითხული ლექსისა თუ მოთხრობის შინაარსი სახლამდე ვერ მოაქვს, ვერაფერს გებულობს. რათ მინდა მაშინ ბაღი, ხატვით სახლშიც მშვენივრად ვახატინებ“.

თამარ შველიძე

ნეოსტრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა და მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა კლიმენტი შელიამ 2004 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი კოლხეთი კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“ მიუთითა, რომ კოლხეთი (საქართველო) მსოფლიოს პირველი ქვეყანაა. მომდევნო წიგნებში „კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭე“, 2008წ) და „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“ (2009წ) აღნიშნულ დებულებასთან ერთად ამტკიცებს, რომ კოლხური ენა (ქართული ენა) მსოფლიოს პირველი ენაა, რომ სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები და ადამიანები გაჩნდნენ საქართველოში, რომ საქართველოს სახელმწიფო მითანის მეფის რატის ასული თათუ ბატონიშვილი (თათუ- ნეფერტიტი) და რატის ძმა აიე ეგვიპტის ფარაონები იყვნენ. იგი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფა-

რაონი ქართველი იყო და აღნიშნულ ინტერვიუს, სათაური მისი მითითებით მიეცა.

– ბატონო კლიმენტი, მოდით, მივყვეთ თავიდან და გავიდეთ ბოლოში, რითი მტკიცდება, რომ კლეოპატრამდე, ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო.

– ძვ. წ. XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდ. საქართველოს სამეფოს, მითანის (მითანის მთიანეთი) მეფე იყო რატი, მთავარსარდალი – ართაშური. რატის ასული, თათუ, ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ, ფარაონმა ექნატონმა, „მეფე-ერეტიკოსმა“ (ექნათონაჩინა, ეხნატონი) შეირთო ცოლად.

1911 წელს გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა, ქალაქ ახეტატონში (ქალაქი ბენი ჰასანიდან სამხრეთით მდებარეობს და ეხნატონმა ააგო, როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თაყვანისმცემლობა აკრძალა და ერთი ღმერთის, – ატონის კულტი დააწესა). მრავალღმერთიანობა მხოლოდ „ექნატონ ამარნას პერიოდის“ შემდეგ აღდგა) ეხნატონის მეუღლის, ნეფერტიტის კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში აღმოაჩინა ეხნატონის ოჯახის წევრების პორტრეტები, ფარაონ ექნატონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი და ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი, ერთი თაბაშირის, მეორე კი გრანიტისგან დამზადებული.. აღმოჩენებს შორის მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი, რომლის შესახებაც ბორჰარდტმა დღიურში ჩაწერა „იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო.“

2006 წელს გამოცემულ „ეგვიპტოლოგიაში“ მოცემულია „ეგვიპტური გვირგვინების“ სურათები და ისტორია. როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის მეფე-ფარაონი, ორმაგ გვირგვინს ატარებდა. ეს გვირგვინი, თეთრი – ზედა ეგვიპტის გვირგვინისა და წითელი – ქვედა ეგვიპტის გვირგვინისგან შედგება. (ლურჯი გვირგვინი „ომის გვირგვინადაც“ მოიხსენიება, რადგან ამ გვირგვინით მებრძოლი სეთი I და მისი ვაჟი რამზეს III მრავალგანაა გამოსახული. ასეთი გვირგვინი ადგას თათუ ნეფერტიტს, რომელიც მეუღლის სიკვდილის შემდეგ ფარაონი გახდა. ნეფერტიტის ყველა ქანდაკება და პორტრეტი ამ გვირგვინითაა შესრულებული, – სწორედ ასეთი გვირგვინი ეხურა ჩვენი ქვეყნის (კოლხეთის) დიდ მეფეს, – ანმარეს.

ქვეყანა მითანის დედაქალაქი იყო „ფაზისყანა“, რაც „ვენახოვანს“ ნიშნავს. იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება „ბაბილოვანი“ („ბაბილო“ – ვაზის ლერწამი, რტო), რაც შემდგომში თვით სამეფოს სახელწოდებაზე გავრცელდა. ბაბილო, ბაბილონი (ამ ქალაქის ბერძნულ და ებრაულ სახელწოდებაზე კიდევ მოგვიწევს საუბარი) საქართველოს (სამეგრელოს) სხვა დედაქალაქის სესატყვის სახელწოდებაც იყო. მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ კუთხეს, მხრეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს – კოლხეთს. ახ.წ VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს, ხშირად ბაბილონადაც მოიხსენიებდნენ...

– საინტერესოა, თვით სიტყვა „ბაღ-დადი“ საიდან დაერქვა...

– ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისგან „ბაგ“ და „დადუ“, რომლებიც მეფეთა სახელებია და რომელთაგანაც მომდინარეობს გვარები, დადუანი (დადვანი), დადიანი და სხვა.

თათუს, მას შემდეგ, რაც ფარაონის მეუღლე გახდა, ჩვეულებისამებრ, ახალი სახელი დაარქვეს – „ნეფერტიტი“, რაც, მკვლევართა აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ლამაზ ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. მისი გარდაცვალების (მუმია შემონახულია ქიმეთის მეფეთა პანთეონში) შემდეგ ფარაონის ტახტზე 8-10 წლის თუთანქი (თუთანჰამონი) დასვეს, რომელიც, ნათესავების, პირველ რიგში, იმდროინდელი საზომით პრემიერ-მინისტრისა და უმაღლესი ქურუმის, კოლხი აიეს მეშვეობით მართავდა ქვეყანას.

თუთანქამონის სახელი უთუოდ უკავშირდება მთვარის (მეგრულად „თუთა“) სახელს, ამონი კი, მზის ღმერთია, – ფარაონი მთვარე-მზე...

თუთანქამონს დედის ბიძად ერგებოდა „პრემიერი“ აიე (ეიე, აია), რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა და მომდევნო ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ეგვიპტეს.

ფარაონ აიეს ძმის, მეფე რატის ქალიშვილის, თათუ-ნეფერტიტის უმცროსი ასული, მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადიშმან მეფის მეუღლე იყო და ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში.

– ძველი ეგვიპტის ფარაონის სახელი „აიე“ (აია) და ძველი კოლხეთის დედაქალაქის და თვით სახელმწიფოს სახელწოდება „აია“ ხომ არაფერზე მიგვანიშნებს?

– 2008 წელს დაგეგმილი იყო „მეფეთა ველის“ კვლევის განახლება ეგვიპტელი ოტო შადენის ხელმძღვანელობით. რა ქნეს, არ ვიცი, მაგრამ შვეიცარიელმა მეცნიერმა, რომელიც ფარაონ თუთანჰამონის დნმ-ს სწავლობდა, დაამტკიცა, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის 50%, (ინგლისსა და ესპანეთში 70%, საფრანგეთში – 60%) თუთანჰამონის შორეული ნათესავი ან შთამომავალია.

ამენჰოტეპის შვილის ეხნატონის მეურლე თათუ-ნეფერტიტი, მათი შვილი ტუტანჰამონი, თათუ-ნეფერტიტის ბიძა აიე, რამზეს I, რამზეს II, რამზეს III და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები იყვნენ.

ეგვიპტის ფარაონების პერიოდში, კავკასია, კერძოდ, სამხრეთ კავკასია კოლხებით იყო დასახლებული, მეცნიერთა მტკიცებით კი, ფარაონ თუთანჰამონის და ევროპელი მამაკაცების ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ. კვლავ მეცნიერთა ვარაუდით, დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ თანამედროვე ევროპელებისა და ეგვიპტის ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა... ამ ჯგუფის წევრთა განსახლება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე 9 ათასი წლის წინ დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნება თანამედროვე ეგვიპტელთა მხოლოდ 1%, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თანამედროვე ევროპელებს და ფარაონებს, მართლაც საერთო წინაპარი ჰყავდათ და ეს წინაპარი კოლხი (ქართველი) იყო.

შვეიცარიელი მეცნიერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, რუსი მეცნიერები წერენ: „ტუტანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა, ე. ი სწორად დამტკიცდა, – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან“. რუსი მეცნიერები, ცხადია, ამას ამტკიცებენ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით.

– ბატონო კლიმენტი, ან რუსები სად იყვნენ ან შვეიცარიელი მეცნიერები, როცა თქვენ ამბობდით და წერდით ამის შესახებ. თქვენ მე სწორედ იმ შვეიცარიელი მეცნიერის, რომან შოლცის გამოგზავნილი წერილის ასლი გადმომეცით, რომელმაც ტუტანჰამონის დნმ-ის ანალიზი გააკეთა, რითიც მსოფლიო გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში და სრულად დაიბეჭდა კიდეც „საერთო გაზეთში“.

– დიახ. შოლცი, თბილისელ მკვლევარ რატიშვილისადმი გამოგზავნილ წერილზე წერს: თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, თუ ამ ტესტების ჩატარებაში დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებასო.

– მერედა, რატომ არ პასუხობთ, ხომ ხედავთ, საქართველოში არავინ გამოჩნდა ისეთი, , თქვენ კი არა, საქართველოს დაუდგება გვერდზე და დაგეხმარებათ 850 გვერდიანი წიგნის გამოცემაში, რომელსაც ასზე მეტი დიაგრამა, ცხრილი, რუკა და ფოტოსურათი აქვს დართული.

უცხოელისგან დახმარებას ვერ მივიღებ, სამარცხვინოდ მიმაჩნია... დავუბრუნდეთ ნეფერტიტს – სტრაბონი (ჩვ. წ I ს) მიუთითებდა, რომ „მეფეთა ველზე“ იკრძალებოდა ყველა ეგვიპტელი მონარქი და რომ ეს სამარხები უდიდეს საიდუმლოს ინახავდა.

1912 წელს ევროპელი მეცნიერი თეოდორ დევისი ამტკიცებდა, რომ მან და მისმა კოლეგებმა „მეფეთა ველის“ ყველა საიდუმლოება ამოხსნეს, მაგრამ ამ განცხადებიდან ათი წლის შემდეგ, 1922 წელს, ინგლისელმა ჰოვარდ კარტერმა ტუტანჰამონის სარკოფაგი აღმოაჩინა. 2003-2004

წლებში აშშ-ის ალაბამას უნივერსიტეტის მკვლევარმა სარა პარკერმა ეგვიპტეში ახალი „ობიექტი“ აღმოაჩინა, რომელთა შესახებ არავის ჰქონდა ცნობები. სარა პარკერი ამტკიცებს, რომ თანამედროვე მეცნიერებამ ეგვიპტის საიდუმლოებების მხოლოდ 1 პროცენტის ამოხსნა მოახერხა, 99 პროცენტის შესახებ კი, კაცობრიობამ არაფერი იცის.

ახალი კვლევის საჭიროება, ჩანს, განაპირობა იმანაც, რომ სწორედ ნეფერტიტის სამარხში ნაპოვნი ეტრატების საშუალებით გახდა შესაძლებელი 1995 წელს რამზეს II-ოს შვილების მუმიების მოგნება.

კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდი დიდი ხნით წინ უსწრებს ეგვიპტეში ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა საფლავებში ჩატანებული იყო უდიდესი სიმდიდრე, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი. ისმება კითხვა: – მეტალურგიის წარმოების, ოქროს დამუშავების გამოცდილება ეგვიპტეში კოლხეთიდან ხომ არ გადავიდა? ამ კითხვას პირიქით ვერ დავსვამთ, რადგან მეტალურგიული დამუშავება პირველად კოლხეთში დაიწყო.

ქაიროში მდებარე გერმანული არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიუნტერ დრეირი მიუთითებდა, რომ ჩვ. წ. აღ-მდე 2650 (თუ 2609) წელს ფარაონ ჯოსერის მიერ აგებულ პირველ პირამიდასა და ერთ-ერთი მისი წინამორბედის მიერ აგებულ აკლდამას შორის მსგავსებაა. გამოდის, რომ კოლხ მშენებლებს ეგვიპტეში პირამიდებზე მუშაობა თითქმის 4 ათასი წლის წინ დაუწყიათ და არა უფრო გვიან, ტუტანჰამონის აკლადამის მშენებლობის პერიოდში.

მეცნიერთა აზრით, ამ აკლადამების მსგავსია ფარაონ ხასეხემვის აკლდამა, რომელიც ეგვიპტის სამხრეთით, ძველ სამეფო ნეკროპოლში, აბიდოსში მდებარეობს.

როგორც ითქვა, ეგვიპტის პირველ ფარაონის, ნარმერის ანუ მენესის სატახტო ქალაქი თიისი იყო (ზემო ეგვიპტეში), მაგრამ ქვემო ეგვიპტესთან ბრძოლის პერიოდში მისი ძირითადი ადგილსამყოფელი მემფისი გახდა, რომელიც ქაიროდან 15 კმ-ში მდებარეობდა. VI დინასტიის დროს, ქალაქს (სამეფოს) ეწოდა „მენფე“ („მენესის უმშვენიერესიო სამყოფელი“); კოპტურ ენაში ქალაქს უწოდეს „მემფის“. სხვათაშორის, ქართველმა მკვლევარმა გიზო ვაშაკიძემ არაერთი საიდუმლო ამოხსნა ეგვიპტური პირამიდების მშენებლობისა.

როგორც ითქვა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 18-19 წლის მონარქის ტუტანჰამონის აკლადამა (ძველი ფივის ახლოს. გარდაიცვალა თითქმის 3300 წლის წინ), რომლის ერთ „ოთახში“ ოქროს 100-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა, რომელსაც კარებიც ოქროსი ჰქონდა, იდგა ოქროს კიდობანში, რომლის სიგრძე 5 მეტრი, სიგანე – 3,70 სიმაღლე კი 2,73 მეტრი იყო. კიდობნის დაშლას 84 დღე მოანდომეს. კიდობანსი იყო ახალგაზრდა ფარაონის 1,85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 6 წელზე მეტხანს გაგრძელდა, 1922 წელს დასრულდა. სამუშაოების მწარმოებელი ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი წერდა: „რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონთა სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე ინახებოდა? აქ დამარხული 27 მონარქიდან ტუტანჰამონი ხომ ყველაზე უფრო უმნიშვნელო მმართველი იყო.“

ცხადია, იქ, ძველ ეგვიპტეში კოლხები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ცნობილია ისიც, რომ კოლხები (ქართველები) ცხოვრობდნენ პირინეის ნახევარკუნძულზე, ბაბილონში, სირიაში და სხვაგან.

ზოგი მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ ქიმეთი (ეგვიპტე) კოლხური ქვეყანაა და კოლხები ეგვიპტიდან არიან წამოსული, – ანუ ეგვიპტელები კოლხეთიდან არიან წასული. კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხი იყო? ხომ არ არის რაიმე დიდი საიდუმლო იმაში, რომ ჰეროდოტე კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა ან ნათესავებად თვლიდა? – ალბათ, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება...

კურტ იოახიმ შპრენგელი (1766-1833 წ) წერდა: „ეგვიპტელთა კულტურაზე უდაოდ დიდი გავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ... პრომეთე იყო მათი მამამთავარი, ხოლო ოსირისი და სესოსტრისი მჭიდრო კავშირშია კოლხეთთან, ეგვიპტელებს იქიდან აქვთ გადაღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება... რგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისგან, მოგვიანებით კი ელინებისგან გადაიღეს თვთაებები. ამრიგად, ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობის არიან“.

ჰეროდოტეს სიტყვებია, „კოლხებს ენაცა და ჩვევაც ეგვიპტური აქვთ“.

ისიც ცნობილია, რომ აიეტის ასულმა მედეა, მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე (სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანის და, არც ისე მრავალი საუკუნის წინ აზერბაიჯანი), შექმნა სამეფო, რომელსაც მის საპატივცემულოდ „მედეთი-მედია“ ეწოდა.

მაია ჟელიძე



თამაზ ხმალაძე

უკანასკნელი ალმაერთისაკენ

bebiaCemis _ manana SalvaSvili-xmalaZis naTel xsovnas

დრო. დრო შემირჩიეს უვარგისი — მამაჩემი მივლინებაში იყო. უფროს ძმას უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა და დედა გზის გამკვლევად გაჰყვა თბილისში. ჩემს ოდიგარ პაპას კი წელიწადი უსრულდებოდა, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში გრილი მიწა ეფარა გულზე... დრო იყო უვარგისი — შინ მარტო მე და ბებო ვიყავით: ორი ერთმანეთზე უფრო უენო, უთქმელი და უფხო ადამიანი. არა, მე პაპაჩემის შვილიშვილობისა არაფერი მეტყობოდა.

ბუღალტრის გოგო კი თეთრი იყო, თეთრად ტკბილი და თავნება. ამ თავნებობითაც საამური. უჰ...

კარგი, სანამ მთავარ ამბავს მოგიყვებოდეთ. ჯერ ჩემს აუგს გეტყვით: ერთი ხათრიანი და უშნოდ მორიდებული ყმაწვილი გახლდით — წამდაუწუმ ვწითლდებოდი, გოგოებისათვის პირდაპირ ვერ შემეხედა თვალებში. მაშინ არ ვიცოდი ძველი, საუკუნეებგამოვლილი სიბრძნე: მორცხვი ქალი — ერთ ქალაქად, მორცხვი ვაჟი — ერთ ქალამნადო, თუმცა განგებისას და წერა მწერლისას რას გაიგებს კაცი. ბედმა მაინც დაუმსახურებლად გამანებივრა. სწორედ რომ იღბლის მადლიერი უნდა ვყოფილიყავი. თორემ ჩემით სიტყვის თქმას რანაირად გავუბედავდი?! ერთი წლით უმცროსი კი იყო, მაგრამ თვითონ დამადგა თვალი, ამომირჩია და წამათამამა, მომყვა და მომიყოლია, მერე აეწყო და აეწყო საქმე.

ბუღალტრიაანთ ერთი დიდი, ქოხივით შვინდი ედგათ ბაღის ბოლოში, მრგვლად ჩამომხობილ ტოტებში გაბედული კაცი შესაძრომს ძლივს მოუნახავდა. სათადარიგოდ ავი თვალისაგან დაფარული ორიოდე ადგილი სხვაცა გვქონდა შეგულებული, მაგრამ იქაურობას სულ სხვა მადლი ეფინა. მსხვილი, ჯიშიანი შვინდი იცოდა, მაგრად გამომწვარი ჭიჭლებივით ნაყოფით დაიტკვიფებოდა და სექტემბრის ბოლომდე თუ დააცდიდნენ. ყურძენივით ჩატკბებოდა ხოლმე. თუმცა ჩვენ რა გვენაყოფებოდა — შევძვრებოდით, შევიმალებოდით კარავივით ჩამომხობილ ტოტებქვეშ და მწვანე-მოყვითალოდ რბილ სინათლეში მოუწყინრად ვთამაშობდით იმნახად აკრძალულ თამაშებს.

აჰ, ამდენი წლის მერეც რა სიმხურვალით ღუის ის შვინდი სულში!

ძალიან, ძალიან შორსაც არ შეგვიტოპავს, ჩვენ რომ გვესურვილებოდა, ისეთ წარმატებას ვერ მივაღწიეთ სიყვარულის ხელოვნებაში, მაგრამ იმის მშობლებსა და ნათესაობას, ეტყობა, ესეც ზედმეტი მოეჩვენათ და ცუდ დროს მომიხდნენ კარზე — შინ მარტო მე და ბებო ვიყავით.

ჩემი ლურჯთვალა, სახიერი ბებო, სამაგალითო, ჩუმი და სათნო! მისი ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა სოფელში არავის გაეგონა, მომდურავსა და ავის მთქმელს ვერავის ნახავდით... ახლა რაღა უნდა ექნა? იმის პირტიტველა, ყინტორა შვილიშვილს ზედ გადავლას უპირებდნენ.

ჯგროდ მოიწევდნენ, მობობოქრობდნენ, მობუღრაობდნენ, გაგულისებულებს ბუღალტერი მამა მეთავეობდათ. ჯერ ჭიშკრის შიგნით შემოსვლა ვერ გაებედათ. მაგრამ ცოტა ხანში არც მაგას დაგვიხვალიებდნენ: აქეზებდნენ, აგულიანებდნენ, ჩემსკენ უქსევდნენ ერთმანეთს ბალანაშლილი ქოფაკებივით — თხუთმეტი წლის ბიჭის ნეკნების დამტვრევას რა დიდი ყარამან-ყანთელობა უნდოდა.

როგორ? რაა, თქვენ სხვანაირად მოიქცეოდით?! რაც არ უნდა მომხდარიყო, სოფელ-ქვეყანაში მთლად ხომ ვერ მოვიჭრიდი თავსა და ჩემი სახლიდან ხომ ვერ გავიპარებოდი? ვერც ხომ იმის სათქმელად მომიტრიალდებოდა ენა: რეებს მაბრალებთ, თქვენივე შვინდქვეშ თქვენივე გოგო მე არ მიკოტრიალებიამეთქი. არადა, რა მეღონა, რას მივნდობოდი? ვერაფერი მომეფიქრებინა. თავგზააბნეული, გაშეშმიშებული, ვიდექი საჩეხის ბოძთან და აკანკალებულ მუხლებს ძლივს ვიმორჩილებდი.

შვინდის ჯოხზე დაყრდნობილი გამოეგებათ თალხებიანი ბებიაჩემი (ეს კომბალი ჩვენს ტყეში მოჭრილი შვინდის ძირისაგან კარგა ხნის წინ გამოეთალნა ბებიაჩემს), არც ჩემთვის შემოუხედავს და არც იმათი ყატა-ყუტისათვის უთხოვებია ყური, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ბუდიდან ბახლებამოსხმული ქორივით დააცხრათ თავზე:

— რაო, სხვათა ნაოხარით ძალამოცემულებო, ვინ გიწვიათ და ვინ დაგიბარათ, რისთვის მომდგარხართ აქა? თქვენი რეგვენი ჭკუით აკლებას გვიპირებთ. არა? ეს ბიჭი უპატრონო ხო არ გგონიათ. პაპა მოუკვდა, თორემ მე ისევ ცოცხალი ვყევარ! აი, ქვეყნის გასაგონად გეუბნებით: ამას უწეროდ თმის ერთი ღერი, ერთი ბალანი რომ ჩამოჰვარდეს თავიდან, თქვენს ოჯახებს ნავთს გადავასხამ და დედაბუდიანად ამოგბუგავთ...

გავოგნდი. ბებო იყო და არც იყო. მჭახე ხმა ჰქონდა, ხაფად, კოხ-კოხად ისროდა სიტყვებს. არც მომხვდურები ელოდნენ ეგეთ დახვედრას. ერთი თალია შეცბნენ. შეაყენეს ფეხი, მაგრამ ისევ შეაგულიანეს. ისევ შეუნთეს ცეცხლი ერთმანეთს. განსაკუთრებით ერთი საჯარედ გამზადებული გარეგნიბაშვილი ჭირვეულობდა — ისე იყო მოწადინებული დაკა-დაკას, რომ თავისიანებივე აკავებდნენ. მოიბრძოდა, მოიყოჩებოდა, რაც აქამდე სიამე და ნეტარება მეგემა იმათ შვინდქვეშ, სულ ბალღამად და ბაყლად მიპირებდა ცხვირიდან ამოდენას.

— ეგ გამოუშვით. ეგა, ძალიან რო იჭაჭება, მოვიდეს და თუ მართომა სცემს, ალალი იყოს, მარჯვენასაც დავულოცავ! გამოუშვით... მომესმა ბებოს ხმა.

უჰჰ, ღმერთი იმას ააშენებს. ვინც არ გამოუშვა და იმხანად მიჩეჩქვას გადამარჩინა — ცემით როგორ ვერა მცემდა. იმისი გერგილი და მარიფათი სადა მქონდა, ორისამი წლით უფროსისათვის ტოლი არ დამედო და ღირსეულად გავმკლავებოდი. თუმცა ისიც უნდა ითქვას: ერთი მაინც ერთი იქნებოდა და ისე რანაირად წავხდებოდი, ხელის გაქნევა მეც ვერ მომეხერხებინა.

— ვის უნდა, ქა. თქვენი ქალი, ვინ გეხვეწებათ? ან თხოვნით ვინა გთხოვათ და ან ძალით წართმევა ვინ დაგიპირათ? ხო ვიცით, რანიც ჰყრიხართ, ჩოქით სალამიც რომ მოგვცეთ, არ გვინდიხართ, არა!

საღამო ხანი იყო. ჩოჩქოლთონთქოლზე უბანი შეიშმუშნა, ხალხი შეიყარა. მოგროვდა. არც ჩვენ ვიყავით ამოწყვეტილები. სეირის მაყურებლებს ჩვენი გვარის ხალხიც შეემატა. ჩაცხრნენ. ჩაწყნარდნენ ბუღალტრიაანი, მაგრამ ახლა უკვე ბებო ვეღარ გაჩერებულიყო. ვეღარ შეეკავებინა თავი:

— თქვე ქოქამოსავარდნებო, სანამ აქეთ გამოსჭენდებოდით. ჯერ შიგნით, კომლში მიგეხედ-მოგეხედნათ. ამ ბიჭისაგან არ გინდათ? თქვენ თქვენი დეკეული დააბით. ჩვენმა მოზვერმა აეგრე აშვებულმა უნდა იაროს!

ეს კი მეტისმეტი იყო, შემრცხვა, სად დავმალულიყავ არ ვიცოდი, ნეტავი თავიდანვე შემოცვივნილიყვნენ ის მამაძაღლისშვილები. ჩემთვის ძვალი და რბილი გაეერთიანებინათ და ამით მოთავეებულიყო ყველაფერი. ჯანდაბას ერთი მიბეგვა. ოღონდ კი ეგეთი ბებო არ მენახა! არ ვიცი, როგორ იგრძნო, როგორ შემატყო ნირწამხდრობა, მომიბრუნდა და ახლა მე შემომიტია:

— შენ რაღას იწურები, მანდა! რისა გერიდება და სირცხვილის ოფლში ლაღლაღებ? მაშ ვერა ჰხვდები, რო ის გოგო საბაბი იყო და მეტი არაფერი? ურიდალებმა დრო იხელთეს და ამ საქმიდანაც ხეირისა და გამორჩომის შოვნას ცდილობენ. აქედანაც სარფას გამოელიან. ამათ რო თავიანთი გოგოს ნამუსი ადარდებდეთ, ეგრეც დღისით-მზისით და სხვათა დასანახავად კი არ მოგვადგებოდნენ კარზე? დაბინდებულზე მოვიდოდნენ, ანა გვთხოვდნენ და სვინდისზე შეგვაგდებდნენ, ან ჩუმად დაგვემუქრებოდნენ, ანდა კიდევ უფრო უკეთესი: სადმე მოფარებულ ადგილას მარტოს დაგიხელებდნენ და ცხვირპირს ისე ამოგინაყავდნენ. შენ დღეში დაუკრეფავისაკენ აღარ წაგცდენოდა ხელი. არა. ეგენი თავიანთი გოგოს სახელს არ უფრთხილდებიან, პირიქით...

— არ გინდა, ბებო, შენი ჭირიმე, იმაზე ნურაფერს იტყვი...

— შენ სხვა რამისაგან გაქვს თვალები აბმული, შვილო, თორემ ბრმაც დაინახავს, რო მაგათ ამ საქმითაც სარგებლის ნახვა უნდათ. სხვათა ნაოხარით გაყვინიზებულები მომდგარან აქ და ბუქს აყენებენ. ყოყლოჩინობენ, გვეყელზეითებიან. ქვეშაფსიების გვარ-ჯილაგისანი ვაუკაცობის ყიდვასაც ცდილობენ. ხვალე-ხვალზევით საკვეხურად უნდა ჰქონდეთ. ხო ხედავ, რა შეგვიძლიანო, ნახეთ, ვის კომლს მივუცვივდით და გადავუარეთო! ნურას უკაცრავად, მისამართი შეეშალათ, იმდენი მამა უცხონდებათ, მაგათ ოდოკაანთიდან რამე წაიღონ!... — შემობრუნდა და შინისაკენ წამოსულმა ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა. — მე ვინა მკითხავს, მაგრამ ის გოგო მეცოდება, მაგათს ხელში კარგს ვერა ნახავს...

გამტკნარებული ვიდექი. მერჩია, მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტინე.

შევეცოდე, თვალზე ცრემლი მოადგა:

— მოგიკვდეს ჩემი თავი, შვილო, შერცხვი არა? შენმა ბებომ უკადრებელი იკადრა. არა? მაშ რა მექნა. სხვა გზა რო არა მქონდა? ის დიდი ჩრდილი მომეშალა. აქამდე რომ მიფარავდა. იმის ფუძეკარს კიდე, სანამ ცოცხალი ვარ, ვერავის დავაწიხლინებ... ერთი ესეც დაიმახსოვრე, გველის შემწველს ბატკანი არ უნდა შეუწვა და მტერსაც ყოველთვის იმ იარაღით უნდა ეომო, რითაც ის გეომება. ეგენი რო თოფებითა და ლევერვლებით მოგვცივნოდნენ და შენ პაპაშენის ხმლით გაჰგებებოდი, ივარგებდა?

თვითონ სულ სხვა გზა-ბილიკებით მავალს. ეტყობა, ეს ცოდნა წუთისოფლისაგან სიბერის ხანს შეეძინნა და ახლა უნდა ჩემთვის დაეტოვებინა — მზოგავდა, თავისნაირი ცხოვრებისათვის არ ვემეტებოდი.

(მახლას! ბედისწერას რას წავუვიდოდით, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა, გზას გადაგვაცდენს...)

ამის მერე დიდ ხანს არ გაუვლია, მამიდაშვილი დამეღუპა ჯარში, ბებოს ამ ელდისაგან დამბლა დაეცა და ცალი მხარი დაუდუნა. პირველი შვილიშვილი იყო და ვერ მოინელა — იწვა რამდენიმე წელიწადი და დნებოდა, ილეოდა.

— სად მიხვალ, საით მიიჩაჩქნები, ბებო გენაცვალოს, მოდი, ცოტა ხანს, ჩამოჯექი ჩემთან და შენი ცქერით გამაძღე, — მეტყოდა ხოლმე მუდარით. — რა იქნება ძველებურად რო ჩაგიკრა გულში და ჩაგკოცნო. მოდი, შენს სურვილსაც ნუ გამაყოლებ იმქვეყნად, შვილო!...

მე უკვე ის წვრილკისერა ბიჭი აღარ ვიყავი. სხვათა შვინდებქვეშ ფუჭად რომ დაძვრებოდა — წვერს ვიპარსავდი, ვდიდგულობდი, კვიცივით ყალყზე ვდგებოდი. ვთაკილობდი — უგუნურს ეგრე მიმაჩნდა, იმისი მოფერება ღირსებას შემილახავდა, ვაუკაცობაზე მწიკვლს მომცხებდა.

— კარგი ერთი, ბებო, რაღა დროს ჩემი კოცნაა, ისღა მაკლია, კალთაშიაც ჩაგიჯდე და ნანინა გამღერო! — ვეტყოდი და ჰერი, ერთი ფეხი ალთასა მქონდა და მეორე — ბალთას.

მაგრამ, ნეტავი აცოდინა, ახლა როგორ ვნანობ იმდროინდელ უკადრისობას. ანდა ის გააგებინა, მისი გარდაცვალების მერე კიდევ უფრო მეტად რომ შემიყვარდა. ვაი რომ, დიდი ხნის წინ გადაინაცვლა სასუფეველში — იქ ვინ მიუტანს ამბავს, ვის დავაბარო, ვის გავატანო სიტყვა?

თუმცა ამბის მიმტანი რაღად მინდა, პატარა კი აღარა ვარ, ალბათ, მალე შევუდგები ჩემს უკანასკნელ აღმართს, ავალ იქ და თვითონ მოვუყვები.

2012 წლის 27 იანვარს, პარასკევს, საღამოს 4 საათზე ლიტერატურის მუზეუმში (გ. ჭანტურიას 8) გაიმართება რევაზ კვერენჩხილაძის წიგნის „საბუთები ღაღადებენ“ (მეორე, შევსებულ-გადამუშავებული გამოცემა) პრეზენტაცია

ცაქრში ეაეონილი აქჭეჭი

adamianSi adamiani sikeTidan iwyeba

ტაქსი გავაჩერე, უკანა სავარძელში ჩავჯექი და ვაკისკენ გავემართეთ.

— მაგარი ყინვა იყო წუხელ, — ამბობს მძღოლი, შუახნის მამაკაცი.

— კი, მაგრად მოყინა, — ვეთანხმები მეც.

— კატა მყავს სახლში... ოთხი კნუტი ჰყავს... ამოუყვანია ეს კნუტები პირველი სართულიდან მეორეზე და ჩემს საწოლზე დაუწვენია — არიქა, არ გაცივდნენო. ოთახში რომ შევედი, ერთი შემომხედა, გაიზმორა და გვერდზე გადატრიალდა — მანიშნა, არც იფიქრო, საწოლიდან ამაგდოო. რა საოცარია დედობრივი სიყვარული — პირველი სართულიდან მეორეზე რამ ამოაყვანინა ოთხი კნუტი? ძალიან მიყვარს ცხოველები... ძაღლიც მყავს...

— მერე არ ჩხუბობენ ერთმანეთში კატა და ძაღლი?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! არ მახსოვს რაიმე უთანხმოება მოსვლოდეთ... ძალიან შეხმატკბილებულად ცხოვრობენ.

ავლაბარს გამოვცდით და სანაპიროსკენ დავეშვით.

ისე ლამაზად და ისეთი დახვეწილი ქართულით ყვებოდა მძღოლი ამ ამბებს, ვიფიქრე ეს არ არის ტაქსის შოფერი, ვიღაც ინტელიგენტია-მეთქი.

უკვე შევეჩვიე და არ მიკვირს, რომ ტაქსის მძღოლებად ბოლო წლებში ყოფილი ინჟინრები, პედაგოგები, პოლიციელები, სამხედროები, ექიმები მუშაობენ, რომლებიც ჩასხდომისთანავე „შემოგაპარებენ", რომ ტაქსისტებად კი არ დაბადებულან, ცხოვრებამ აიძულათ ამ პროფესიისთვის მოეკიდათ წელი.

— პროფესიით ვინ ბრძანდებით? — ვკითხე მძღოლს.

— ვიცე-პოლკოვნიკი, ცოტა ხნის წინათ „ასტავკაზე" გამიშვეს და სხვა ვერაფერი მოვიფიქრე — ტაქსაობა დავიწყე.

— სამხედრო თუ ხართ, აბა, დავით თევზაძე გეცოდინებათ...

— როგორ არ ვიცი, მაგარი კაცია ბატონი დავითი. მაგან დამაწინაურა სრულიად მოულოდნელად. ტანკისტი ვარ, თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლაც კარგი სპეციალისტი ვარ. ერთხელ ჯარისკაცებს გავუწყერი — ისწავლეთ, დაინტერესდით, ცოდნა შეიძინეთ, რომ ნამდვილი პროფესიონალები იყოთ, თორემ ბრძოლის ველზე ინანებთ-მეთქი. სხვა ბევრი რაღაცებიც ვთქვი გაბრაზებულ გულზე. იქვე ერთი უცხო კაცი იდგა და გვისმენდა. ცოტა ხანში დამიძახეს — მინისტრი გიბარებსო. მაგას მაინც რაღა ჯანდაბა უნდათქო, ვიფიქრე. ავედი და ის უცხო კაცი არ დამხვდა? ჩვენი მინისტრი არ ყოფილა თურმე ის უცხო კაცი?!

— რა გქვია და რა გვარი ხარ შენაო,— მეკითხება მინისტრი. სიტყვებს კბილებიდან სცრის და კუშტი, კუშტი გამომეტყველება აქვს.

— ეტყობა, მხსნის, — გავიფიქრე გულში.

— კაპიტანი დათო ილურიძე, ბატონო მინისტრო! — ვუპასუხეთ წესისამებრ.

— ჰოდა, დღეიდან მაიორი იქნები, კაპიტანო ილურიძეე — ისევ კბილებში გამოცრა კუშტმა მინისტრმა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საოცრად გულთბილი ადამიანია.

ყველა ომში ვიომე, ყველა უბედურება ვნახე, მაგრამ აფხაზეთიდან რომ წამოვედით კოდორის ხეობით, მე იქ ჯოჯოხეთი რომ ვნახე, ვერაფერს შევადარებ.

სამასამდე ადამიანი ვიყავით — ჯარისკაცები, ჩვეულებრივი მოქალაქეები, ქალები, ბავშვები, მოხუცები. ერთი ფეხმძიმე ქალიც გვახლდა, შვიდი თვის ფეხმძიმე იყო, თან პატარა, 3-4 წლის ბიჭი ახლდა. ის ბიჭუნა მე შემოვისვი კისერზე და მე გადმოვიყვანე უღელტეხილზე.

თბილისში რომ ჩამოვედით, გაირკვა, რომ ამ ქალს წასასვლელი არსად ჰქონდა, არავის არ იცნობდა თბილისში.

ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი ბედის ანაბარა, სახლში წამოვიყვანე. ჩემმა ცოლმა, როგორც საკუთარ დას, ისე მოუარა. კარგა ხანს იყვნენ ჩვენთან. გოგონა შეეძინა, მოვნათლე. როგორც საკუთარ ძმისშვილებს, თუმცა რატომ ძმისშვილებს, როგორც დისშვილებს, ისე ვექცეოდი. ბიჭი წამოიზარდა. ერთხელაც დიდი კაცივით მომიჯდა გვერდით და ასეთ რაღაცას მეუბნება: — დათო ძია, თქვენ ასეთი კეთილი კაცი რომ ხართ, ნეტავი ვიცოდე, როგორი იყო მამაჩემი, ძალიან მინდა, ისიც თქვენნაირი კეთილი ყოფილიყოო.

ყელში ბურთი გამეჩხირა. ბავშვის თანდასწრებით ხომ არ ვიტირებდი? ქუჩაში გამოვედი და ავბღავლდი.

საღამოს დედამისს ვთხოვე, ასე და ასე იყო, მოუყევით ბიჭს მამამისის შესახებ, ყველაფერი მოუყევით დაწვრილებით და მამა გაუცოცხლეთ-მეთქი.

ქაცარავები არიან ომის წყალობით შეძენილი ჩემი ნათესავები. მართლაც შესანიშნავი ოჯახი ჰქონდათ თურმე, შეძლებული, ღონიერი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. ოჯახის მამაც შესანიშნავი ვაჟკაცი ყოფილა, კარგი თანამდებობის პირი, ყველას ხელისგამმართავი, კეთილშობილი კაცი.

ვერ წარმოიდგენთ, ამ ამბის მოყოლის შემდეგ როგორი სხვანაირი გახდა ბიჭი, როგორი სხვანაირი სხივი ჩაუდგა თვალებში.

ახლახან დავაქორწინეთ, დიდი ქორწილი გვქონდა...

— დღემდე თქვენთან ცხოვრობენ?

— არა, არა... ომი რომ დამთავრდა, ცოტა ხანში და და სიძე ჩამოვიდნენ სოჭიდან. ფული ჩამოიტანეს. ჩემს მეზობლად ვუყიდეთ სახლი დევნილ ოჯახს და ახლა იქ ცხოვრობენ.

... დათო ილურიძეს დამშვიდობებისას ერთი რამ ვთხოვე — მომავალ ოთხშაბათს „საერთო გაზეთი" იყიდე აუცილებლად-მეთქი. (არ მითქვამს ვინ ვიყავი და რატომ ვთხოვდი გაზეთის შეძენას).

ცოტათი გაუკვირდა დავითს — რა გაზეთის ყიდვას მთხოვს ეს კაცი, მაგრამ არ შეიმჩნია და აუცილებლად ვიყიდიო — თავი დამიქნია.

ჰოდა, აი, ეს ოთხშაბათიც

დადგა და „საერთო გაზეთის" ეს ნომერიც გამოვიდა...

— საქვეყნოდ და სახალხოდ მადლობა მინდა გითხრა, დათო ილურიძე, კაიკაცობისთვის, სიკეთისთვის, ადამიანურობისთვის.

აი, ამიტომ გთხოვე „საერთო გაზეთი" იყიდე-მეთქი...

ვახტანგ ხარჩილავა

`wlevandeli weli moazrovne adamianebs aamoqmedebs~

ვესაუბრებით მკურნალ-ეზოთერიკს ელგუჯა გველუკაშვილს.

— მსოფლიო 2012 წელს განსაკუთრებული მოლოდინით შეხვდა, ამას ბევრი რამ განაპირობებს და ერთ-ერთი მაიას კალენდრის წინასწარმეტყველებაცაა. რას უნდა ველოდოთ ამ წლისგან, პირველ რიგში, როგორი იქნება იგი ჩვენი ქვეყნისთვის?

— 2012 წელი თავისებურად ძალიან საინტერესო იქნება. ეზოთერული კუთხით და ნუმეროლოგიური ჰოროსკოპის თვალსაზრისით პენტაგრამულია. ციფრები: 2, 0, 1,2—ერთიანობაში გვაძლევს პენტაგრამას, ანუ 5-ს. (პენტაგრამაში ხუთქიმიანი ვარსკვლავი იგულისხმება) 5 ძალიან დიდი დატვირთვის ციფრია. როგორ გგონიათ, ეს ციფრი ნაციონალებს შემთხვევით აქვთ არჩეული? სულაც არა.

— ანუ მრჩეველები ჰყავთ?

— შემთხვევით არაფერი ხდება. როგორც ჩანს, სერიოზული მრჩეველები ჰყავთ. თუნდაც მათი დროშა ავიღოთ — არც ესაა შემთხვევითი, მაგრამ სწორედ ამიტომ ნაციონალებისთვის ეს წელი საკმაოდ რთული იქნება. იმიტომ რომ, ახალი, 2012, დრაკონის წელი მენტალური, მოაზროვნე ადამიანების წელია; ასეთები უნდა წამოვიდნენ წინ. მოაზროვნე, ინტელექტუალ ადამიანებთან ურთიერთობა კი არც ისე იოლია. ინტელექტუალური ბაზა საქართველოში უფრო და უფრო გააქტიურდება. ნაციონალები კი ყველა სფეროს ძალიან ცუდად შეეხნენ, ეს გინდა-არგინდა, უკურეაქციას გამოიწვევს.

— და ეს მომგებიანი იქნება მათთვის? როგორი იქნება სიტუაცია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კუთხით?

— პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად ნელ-ნელა აზრზე მოდის. სიტუაცია შეიცვალა, იცვლება საზოგადოების აზროვნება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ რეალური ოპოზიცია ახლა არის ბიძინა ივანიშვილი. მისი გამოჩენაც წინგადადგმული ნაბიჯია. ახლა უკვე ხალხი ამბობს: კი, ბატონო, ამდენი რამ გააკეთა, მაგრამ შემდეგ რას გააკეთებს? რას დატოვებს? ანუ პოლიტიკური აზროვნების დონე ხალხში ნელ-ნელა იზრდება და მომავალში ნაყოფს გამოიღებს. სხვათა შორის, მომავალი წელი რომ მენტალური ადამიანებისაა, ამიტომ იქნება მომგებიანი ივანიშვილისთვის. აღარ გვჭირდება რევოლუციები. რევოლუციას სათავეში ყოველთვის ნაძირალები მოჰყავს. ევოლუციაა ახლა ჩვენთვის მთავარი. ტაქტიკა, დიპლომატია გვჭირდება. ახლა ისეთი მმართველი გვჭირდება, რომელიც რუსეთთანაც და ამერიკასთანაც მოაგვარებს ურთიერთობებს.

— ამბობენ, რომ ახლა კარმული პერიოდია. რატომ მაინცდამაინც ეს წლები? ყველა ეპოქა ხომ თავისებურად კარმულია.

— ყველა ეპოქა თავისებურად კარმულია და თუ პრეტენზია გაქვს, რომ ქრისტიანი ხარ, კეთილი ნება გაგაჩნია, შეგიძლია ბევრი რამ შეცვალო. უნდა იბრძოლო. ქრისტიანობა ყველაფერთან ერთად მებრძოლი რელიგიაცაა და საკმაოდ სერიოზულად მებრძოლი. თუ ავადმყოფს გამოჯანმრთელების სურვილი არ აქვს. რა წამალიც არ უნდა მისცე, არ გამომჯობინდება.

ამიტომ ვიმეორებ: მხოლოდ მენტალურად ძლიერი ადამიანი გადაარჩენს დღეს ქვეყანას. ეს რას ნიშნავს? პირველ რიგში, მთავრობას საკუთარ თავზე მორგებული კანონები უნდა შეავცვლევინოთ.

— დავუბრუნდები ისევ 2012 წელს. როგორც გავიგე, პროგნოზები დამამშვიდებელია...

— ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული. თითოეული თუ სწორი ცხოვრების წესით იცხოვრებს, ეს ჯანსაღიც იქნება და წარმატებულიც. ეს ათასწლეული მეცნიერების, რელიგიის გაერთიანების პერიოდია. რასაც ადრე ზღაპრების ენით ლაპარაკობდნენ, რეალობაა. რას ნიშნავს თქვენი აზრით: „გადაიარა ცხრა მთა, ცხრა ზღვა"... ეს პარალელური სამყაროებია. მათი არსებობა კი უკვე დამტკიცდა მეცნიერულად.

— და ისევ 2012 წლის 21 დეკემბერი. თან ციფრებიც როგორაა განლაგებული 2012, 21, მე-12 თვე. ესეც არ იქნება, ალბათ, შემთხვევითი...

— ვიმეორებ: შემთხვევით არაფერი ხდება. ეს ციფრები საბოლოო ჯამში გვაძლევენ 11-ს და მერე 2-ს, მაგრამ თვითონ 11 ცალკე არკანია, სამართლიანობასთანაა კავშირში.

— ანუ თავზე არაფერი დაგვეცემა?

— ინდიელების, მაიას ტომის წინასწარმეტყველება იგულისხმეთ, ალბათ. ცალკე ვერავინ ვერაფერს იწინასწარმეტყველებს. ოდესღაც რაღაც მთავრდება, რაღაც იწყება. მაიას ტომისთვის 2012 უკვე დიდი ხანია მოხდა. ჩვენ იმაზე ვიფიქროთ, ჩვენ არ ჩავბარდეთ ისტორიას.

თამუნა ქადაგიძე

მოგზაურობა სამშობლოში

sofl ad qceul i qa l aqi

თეძმის ხეობა

ზემო ჩოჩეთი მეტეხიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა, მაგრამ ახალქალაქთან კიდევ უფრო ახლოსაა, უფრო სწორად – ზედ ეკვრის.

სოფლის მისადგომებთან, გზიდან მარცხენა მხარეს, ხრდალი ვირი და მუტრუკი წიწკნიან ბალახს.

– რა ნიშანდობლივია, რომ ჩოჩეთში პირველად სწორედ სახედრები გვხვდებიან, – ვეუბნები ჩვენს მასპინძელს, ახალქალაქის საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარეს მერაბ ირემაშვილს.

ჩემი მეგობარი, ოპერატორი სოზარ გულბანი სახტად შემომცქერის – თვალებით მეუბნება, ეგ რამ გათქმევინაო.

– ჰო, სიმბოლურია, – ვეუბნები გულბანს. – სოფელს იმიტომ ჰქვია ჩოჩეთი, რომ ჩოჩი სახედრის მოსახმობი, დასაძახებელი სიტყვაა. როგორღაც ხომ უნდა გააგონო ვირს, რომ დაყვავება ან ბრძანება გაიგოს? აქ ადრე ძალიან ბევრი სახედარი უნდა ყოფილიყო. იგი ყველაზე იაფი და მობილური სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც გვერდზე არსებული სავაჭრო დასახლებისათვის მისწრება იქნებოდა. ჩოჩეთი ახალქალაქისთვის სახედრების ერთგვარი ფარეხი უნდა ყოფილიყო. თანაც არ დაგვავიწყდეს, – მკაფიოდ გამოვხატავ სათქმელს, – ძველი, კულტურული ქვეყანა უსახედროდ წარმოუდგენელია.

– ჰო, მაგრამ სადღაა ახლა სახედრები? – მერაბ ირემაშვილს ხმაზე ეტყობა, რომ ჩემი ბოლო ნათქვამი ძალიან ეამა. – თითო-ოროლაღა თუა.

...სოფელ ზემო ჩოჩეთში, რომელიც 214 მეკომურს ითვლის, სამი საინტერესო ძეგლია. შედიხარ თუ არა, გზიდან ხელმარჯვნივ მოზრდილი საბრძოლო კოშკი შემოგეგებებათ. ნატეხი ქვით აგებული ეს ბასტიონი 3 სართულის დონეზეა შემორჩენილი და ძლიერი თავდაცვითი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს სართულშუა გადახურვათა და დიდი ბუხრის კვალი, ასევე მესამე სართულზე გვიან გაჭრილი სათოფურები. კოშკი ზევით ნელ-ნელა ვიწროვდება და სავარაუდოდ, 5-სართულიანი იქნებოდა. **კოშკი XIV-XV საუკუნეებისაა და მას თოიძეთან კოშკს უწოდებენ, რაც იმის ნიშნავს, რომ ეს გვარი აქ ერთ-ერთი უძველესია. დღეს თოიძეების მხოლოდ ერთი კომლია სოფელში. ზოგიერთს ბუნდოვნად ახსოვს ის გადმოცემა, რომ კოშკს ერთხანს თავს აფარებდა რომელიღაც მეფის დედა. ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა, მეფის დედის ნაცვლად, გიორგი საკაძის დედას მიაწერა ეს შემთხვევა. ისტორიული ფაქტები მეორე ვერსიას უფრო უმაგრებენ ზურგს.**

ნოსტეს ციხე-დარბაზი ორჯერ ააოხრეს:

პირველად – 1612 წლის მაისში, როცა დიდი მოურავი ირანში გადაიხვეწა, მეორედ – 1616-1617 წლებში, როცა შაჰ-აბასის მიერ საქართველოში გამოგზავნილი გიორგი ქართლის დროებითი მეფის, ყმაწვილი ბაგრატ VII-ის მრჩევლის, ფაქტობრივად კი ქართლის გამგებლის ფუნქციას ასრულებდა. 1612 წელს საკაძემ დედამისი (თამარ ბარათაშვილი) ცოლ-შვილთან ერთად თან ვერ წაიყვანა ირანში და, როგორც ჩანს, სადღაც გადამალა. მიუხედავად ამისა, თამარს მაინც მოუწია გაქცევა. მან, მონაგართან ერთად, ძლივს გაასწრო მოძალადეებს იმერეთში. აქ მოვლენების ამგვარი განვითარება შეიძლება ვივარაუდოთ: რაკი ასაკოვანი თამარი ახალგაზრდების მსგავსად ვერ გაუძლებდა კლდე-ღრე ხეტიალს და სამშვიდობო ბილიკების ძებნას, იგი გიორგიმ ნოსტესგან მოშორებით, ერთგულ ყმა-აზნაურ თოიძეს გადაამალვინა. როცა მტრებმა თამარის კვალს მიაგნეს, მან აქაურობას დიდი გაჭირვებით, ლამის ფეხშიშველმა გაარიდა თავი და იმერეთში გადავიდა. იოლი შესაძლებელია, რომ ამ დროს თამართან ერთად თოიძეც გაიქცა.

როგორც უკვე ითქვა, 1616-1617 წლების რომელიღაც მონაკვეთში მეორედ დაარბიეს ნოსტე, საკაძემ ამჯერადაც დაასწრო მოვლენებს და ოჯახი ხანდაკში ჩაიყვანა. ზემო ჩოჩეთი და ზემო ხანდაკი 2-3 კილომეტრით არიან დაცილებული. უფრო მეტიც – შესაძლოა ადრე ზემო ჩოჩეთსაც ხანდაკი ერქვა (მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ახალქალაქის ვაჭართა დასახლება). ამ შემთხვევაშიც სააკაძეს თუ მთელი ოჯახის არა, დედის გადამალვა მაინც შეეძლო თოიძეების კოშკში (თუ, რა თქმა უნდა, თამარი ამ დროს კვლავ ცოცხალი იყო). ერთი სიტყვით, 1616-1617 წლების ვერსიაც არ უნდა გამოირიცხოს. როგორც საკაძეთა მთელი ოჯახის, ისე ცალკე თამარის დევნილობა ისტორიული საბუთებით არის დადგენილი, თოიძეებისა და მათი კოშკის შესახებ კი წყაროები არაფერს გვეუბნებიან. მიუხედავად ამისა, წარსულის სურათების ჩვენეული რეკონსტრუქცია მცირეოდენი ცდომილებით რეალური უნდა იყოს. უფრო მეტიც – ასეთი ვერსიის გარეშე ძნელია უპასუხო ერთ შეკითხვას: როგორ მოხდა, რომ 1783 წელს ერეკლე II-ის ხელმოწერილი ქართლ-კახეთის სათავადაზნაურო სიაში, საკაძის სხვა ერთგული თანამებრძოლებისა არ იყოს (გედენიძე, ვაშაყაშვილი, ქარცივაძე), არც თოიძეების გვარი ჩანს? განა კი შეიძლებოდა, რომ ამხელა კოშკის პატრონი თოიძეები ჩვეულებრივი გუთნისდედები, ან კერეთხურონი ყოფილიყვნენ და არა თუნდაც დაბალი საფეხურის აზნაურები?

ზემო ჩოჩეთის „სამება“ და თოიძეანთ კოშკი.

რაკი თოიძეების კოშკი და ამ გვარის ისტორია ასე თუ ისე გავიგეთ, ბარემ ზემო ჩოჩეთში დღეს მოსახლე სხვა გვარებსაც ჩამოვთვლი: **ნუგზარაშვილები, დარბიაშვილები, რთველიაშვილები, ბაკიძეები, ღვთისიაშვილები, გაზაშვილები, გოგიბერიძეები, დათხაშვილები, ნონიაშვილები, თვაურები, ფეიქრიშვილები, კასრაძეები, თაბუაშვილები, ოსეფაშვილები, ალიმბარაშვილები, მაღალაშვილები, ტორიკაშვილები...**

დავიმახსოვროთ 3 ბოლო გვარი.

ზემო ჩოჩეთში ყველაზე სახიერი ძეგლი სწორედ ტორიკაანთ უბანში დგას. ეს არის X-ს-ის „წმინდა გიორგი“, რომელიც ახალი აღდგენილია და განსაკუთრებულ საეკლესიო დღეებში ლავა ჯვარი და სარკმლის ორსავ, მხარეს შემორჩენილი ასომთავრული წარწერები. ისინი ქტიტორის თუ არა, ხუროთმოძღვრის სახელს მაინც ინახავდნენ, ალბათ, მაგრამ ახლა წაკითხვა არ ხერხდება.

ტაძარი რომ დიდი მონდომებითაა აშენებული, ამას ინტერიერის ერთი თვალის შევლებაც ადასტურებს: სამპირი პილასტრები და საკურთხეველის აფსიდში გამოკვეთილი ორი ძალიან მაღალი და ღრმა ნიში, ტაძრის ზემსწრაფი სივრცე და სხვა. და მაინც, ჩემთვის მთავარი აღმოჩნდა საყდარში დაკრძალული პიროვნებები, უფრო სწორედ მათ საფლავის ქვების წარწერები. მართალია, ეს წარწერები XVIII-XIX საუკუნეებში გარდაცვლილ პიროვნებებს ეკუთვნით, მაგრამ ჩემთვის მათი გვარი – მაღალაშვილი მეტად მრავლისმთქმელია. ერთგან „თავადი დავით მაღალაშვილი“ წერია, მეორეგან „ანასტასია სოლომონის ასული – მეუღლე ნიკოლოზ მაღალოვისა“. მაღალაშვილი და მაღალაძე ერთი და იგივე გვარია. მაღალაძეები ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება კავთის ხეობაში მოგზაურობიდან, როცა წინარეხის „მაღალაანთ კომპლექსს“ ვეცნობოდით. მაღალაძეთა გვარს წავაწყდით აქ, თეძმის ხეობაშიც, ნიაბის „წმინდა გიორგის“ ერთ-ერთ სამშენებლო წარწერაში. ის ორივე ეკლესია სვეტიცხოვლის ქადაგის ნიკოლოზ მაღალაძის მიერაა აღდგენილი. მართალია, წარწერები არ მოგვეპოვება, მაგრამ იმის ვარაუდს წინ არაფერი უდგას, რომ მეტეხის დიდი ტაძარიც ნიკოლოზის ან მისი ოჯახის რომელიმე სხვა წარმომადგენლის, რომელიმე მაღალიძისა თუ მაღალაშვილის აღდგენილია.

ახალქალაქის გალავნის ერთი მონაკვეთი.

ახალქალაქის „ღვთისმშობელი“.

იოანე ბატონიშვილის ცნობის თანახმად, მაღალაძეები იმერეთიდან ქართლში 1415 წელს ჩამოსახლებულან აზნაურთა წოდებით და ალექსანდრე დიდს მეტეხში დაუსახლებია. აქედან მოყოლებული ეს საგვარეულო აქტიურად ჩართულა როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო ცხოვრებაში. XVII საუკუნიდან გვარის წინამძღოლი ნიკოლოზ ქადაგი და მისი ვაჟი პაპუა – სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი ნელ-ნელა წინარეხშიც მკვიდრდებიან და დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწევიან. მათ გზას განაგრძობს უმცროსი ნიკოლოზ მაღალაძეც – ტაძართა დიდი აღმდგენელი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წინარეხის სასახლე დამწვარა და მაღალაძეებიც მეტეხს, ნიაბსა და ზემო ჩოჩეთს დაბრუნებიან, სადაც ამ დროს ჯავახიშვილთა და თარხნიშვილ-საკაძეთა ბატონობა ფრთაშეკვეცილია. სწორედ მაშინ გამხდარა მაღალაშვილთა ერთ-ერთი საძვალე ზემო ჩოჩეთის „წმ.გიორგი“.

ზემო ჩოჩეთის „წმინდა გიორგი“

არანაკლებ საინტერესოა სხვა ფაქტი: მას შემდეგ, რაც ერეკლე მეორემ ერთ-ერთ მაღალაშვილს ამილბარობასთან (სარდლობასთან) ერთად თავადის წოდებაც მიანიჭა, გაჩნდა გვარი ამილბარაშვილი, რომელიც ამჟამად ალიმბარაშვილად იწერება.

ზემო ჩოჩეთში კიდევ ერთი ძალიან ძველი ტაძარია, რომელიც ახალქალაქისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, სასაფლაოზე დგას. ეს არის IX-X საუკუნების „სამება“, რომელიც ახალი აღდგენილია. სამწუხაროა, რომ აღმოსავლეთ ფრონტონიდან დიდი ხნის წინათ რაღაც მნიშვნელოვანი ქვაა ამოვარდნილი. აქ, ალბათ, ან ლამაზი ჯვარი იქნებოდა ჩადგმული, ან რომელიღაც წარწერიანი ქვა. სოფელს ჰქონია გვიანი შუასაუკუნეების ოსეფაანთ კოშკიც, მაგრამ იგი ისეა დაქცეული, რომ ფასეულ ისტორიულ ძეგლად აღარ განიხილება. სწორედ ამ კოშკთან გადის ზემო ჩოჩეთის და ახალქალაქის ერთობ პირობით საზღვარი, – დასახლებები ერთმანეთზეა გადაბმული.

ახალქალაქს და ზემოთ ჩოჩეთს საზღვარზე უკეთ დასახლების ხასიათი გამოყოფს. პატარ-პატარა, ლამის ერთმანეთზე მიდგმული უკარმიდამო სახლები და მიხვეულ-მოხვეული შუკები, მეტი ხალხი და ნაკლები საქონელი... აშკარად ჩანს, რომ ეს ძველ დროში ჩარჩენილი ქალაქური ტიპის დასახლებაა. ხალხში დადის გადმოცემა, რომ ეს სავაჭრო დაბა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს დაუარსებია, მაგრამ ამის მიმანიშნებელი არც ისტორიული წყარო გვაქვს შემორჩენილი და არც შესაბამისი პერიოდის ძეგლი. ახალქალაქი პირველად 1609 წელს იხსენიება ყირიმელ თათართა შემოსვლასა და სხერტის ჭალის ომთან ერთად. მაშინ იგი სოფელი ყოფილა, სავაჭრო ქალაქად კი ოდნავ გვიან გადაუქცევია როსტომ მეფეს. ამ დროს, ქალაქის გალავანთან ერთად, ღვთისმშობლის მოზრდილი ეკლესიაც აუგიათ. საყდრის აღმოსავლეთ ფასადზე შემონახული ქვა მხედრულით შესრულებულ ფრიად საინტერესო წარწერას ინახავს: **„მას ჟამსა ოდეს იჯდა ერან-თურანს ბედნიერი ყაენი-ხელმწიფე შაჰ-სეფი... სახელითა ღვთისათა ჩუენ საქართველოს ხელმწიფის შვილმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემ ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ ხელვყავით აღშენებად თეძამის პირსსა ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერნი ქალაქისა ამის მკვიდრობისათვის მეფისქალაქელთა სომეხთა ჩვენთან სახასოთა ვაჭართა“.** მშენებლობის დაწყების წელი აღარ იკითხება (თვე აპრილი ყოფილა), მაგრამ ტაძარი და ქალაქი 1632-1642 წლებში რომ უნდა იყოს აგებული, ეს როსტომის გამეფებისა და შაჰ-სეფის გარდაცვალების თარიღებიდან გამომდინარეობს. ახალქალაქს მეორენაირად „მეფის ქალაქიც“ ერქვა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს იგი ძველ დროში ჩარჩენილ ნაქალაქარ-სოფლად იქცა.

გელა ქოქიაშვილი

ავტორის ფოტოები

წირვა-ლოცვაზეც უხმობს აქაურებს. დარბაზული საყდარი სიგრძეში 11 მ-ს აღემატება, სიგანეში კი 6 მ-ია. იგი ძირითადად ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით, თუმცა კონსტრუქციულ ადგილებში თლილი ქვიშაქვაც არის გამოყენებული. ამასთანავე ქვები ერთი ფერის არაა. ფასადებზე ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთი სარკმლის საპირის ზედა ნაწილი, რომელზეც უწყვეტი რვიანების და ხერხის პირის მსგავსი სამკაულებია. ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო ზურმუხტისფერი ქვებით გამოკვეთილი ტაძრის ერთადერთი, სამხრეთი კარის ტიმპანი და არქივოლტი, რომლებიც ახლა ძალიან არის დამდნარი. კიდევ უფრო საინტერესოა დასავლეთი ფასადი: წითელი საღებავის ფონზე ამოკვეთილი ლამაზი ტოლმკ-

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— უკვე შევიტანე განცხადება სანოტარო ორგანოში მამაჩემის სამკვიდრო ქონების მიღების შესახებ. გადავწყვიტე, უარი ვთქვა ჩემს ქონებაზე დისშვილის სასარგებლოდ. შემიძლია თუ არა განცხადების უკან გამოტანა?

— არა.

სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლის მიხედვით არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს ან სამკვიდროს მოწმობის მიღების შესახებ.

* * *

— გარდამეცვალა შვილი. მას დარჩა ორი ვაჟი, აქედან ერთი შეზღუდულ ქმედუნარიანია. ჩემი შვილი მეუღლესთან განქორწინებული იყო. ჩემი მეუღლეც გარდაცვლილია. ე.ი. დავრჩით სამი I რიგის მემკვიდრე. მე უარი უნდა ვთქვა სამკვიდროს მიღებაზე ქმედუნარიანი შვილიშვილის სასარგებლოდ. უარის თქმა სურს ქმედუნარიანი ძმის სასარგებლოდ შეზღუდულ ქმედუნარიან ძმასაც. როგორ მოხდება ეს სამართლებლივად?

— სამოქალაქო კანონმდებლობა მსგავს ვითარებასაც არეგულირებს.

კერძოდ, 1446-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, თუ მემკვიდრე ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია, უარი სამკვიდროს მიღებაზე დაიშვება სასამართლოს ნებართვით.

* * *

— მამის სამკვიდრო გვსურს გავყიდოთ და სამმა დამ გავინაწილოთ. ჩაითვლება თუ არა ეს სამკვიდროს მიღებად?

— ჩაითვლება.

სამოქალაქო კოდექსის 1456-ე მუხლის მიხედვით, თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია მთელი სამკვიდროს გაყიდვა და მემკვიდრეთა შორის ფულის განაწილება მათი წილის კვალობაზე.

ფაქტობრივად, ამ შემთხვევაშიც სამკვიდროს გაყოფასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არა ნატურით, არამედ ფულის გაყოფით.

* * *

— გარდაიცვალა მამაჩემი, რომელსაც სხვა ქალთან ჰქონდა ოჯახი შექმნილი. ეს ქალი ფეხმძიმედ დარჩა. ვინ მიიღებს მამაჩემის სამკვიდროს?

— მამათქვენის სამკვიდროს მიიღებენ I რიგის მემკვიდრეები — თქვენ — შვილი, მეუღლე, თუ ის რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გარდაცვლილთან, ჩასახული ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა და თქვენი ბებია და პაპა, თუ ისინი ცოცხლები არიან.

აქვე გეტყვით, შემდეგს:

სამკვიდროს გაყოფა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჩასახული მემკვიდრის დაბადების შემდეგ.

თუ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადება, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ, გაიყონ სამკვიდრო მხოლოდ მისი კუთვნილი წილის გამოყოფით. ახალშობილის ინტერესების დასაცავად გაყოფაში მონაწილეობისათვის მოწვეული უნდა იქნეს მისი წარმომომადგენლები.

* * *

— მეუღლესთან რეგისტრირებული ქორწინება არ მაქვს, მაგრამ ჯვარი დაწერილი მაქვს, ვისარგებლებ თუ არა თანამემკვიდრის უფლებებით (როგორც მეუღლის) განქორწინების შემთხვევაში?

— კანონი ქორწინებას უცილობლად უკავშირებს მისი რეგისტრაციის ფაქტს. არარეგისტრირებული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, თუნდაც იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდეს, არ ითვლება ქორწინებად და არ წარმოშობს ქორწინების სამართლებრივ შედეგებს. მართალია, საქართველოს სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, მაგრამ მას მაინც არ ათანაბრებს სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულ ქორწინებასთან. შესაბამისად, არც ჯვარდაწერილ და არც სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებულ წყვილს არ წარმოეშობა ერთმანეთის მიმართ ის სამართლებრივი უფლება-მოვალეობები, რაც განსაზღვრულია კანონით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, გირჩევთ შეინარჩუნოთ ღვთის მიერ კურთხეული ოჯახი და შემდეგ, თუ მაინც გადაწყვეტთ განქორწინებას, თქვენ, როგორც არარეგისტრირებული მეკუღლე, თანამემკვიდრედ არ ჩაითვლებით და ქონებრივი დავის შემთხვევაში წაგებული დარჩებით.

* * *

— ველოდები შვილს. მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ვიმყოფები. გადავწყვიტეთ, ხელი მოვაწეროთ. რამდენი ხანი დასჭირდება ქორწინების რეგისტრაციას?

— ქორწინება რეგისტრირდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში. რეგისტრაცია ხდება დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე.

დაქორწინების მსურველი პირებს შეაქვთ განცხადება მათი სურვილის მიხედვით არჩეულ ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში და უთითებენ, თუ რა დროს სურთ ქორწინების რეგისტრაცია, რაც არ უნდა აღემატებოდეს განცხადების შეტანიდან 2 თვის ვადას, ვინაიდან ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადება ძალას კარგავს.

ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე, თუმცა სამსახურმა შეიძლება უარი თქვას განცხადების იმავე დღესვე რეგისტრაციაზე, თუკი იმ დღეს, დაქორწინების მსურველთა ბევრი განცხადებაა შესული. მიუხედავად ამისა, სამსახური ვალდებულია, რეგისტრაცია განახორციელოს განცხადების შეტანის დღესვე, თუკი არსებობს ისეთი განსაკუთრებული გარემოებები, როგორიცაა ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა.

თქვენ ელოდებით ბავშვის დაბადებას. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა თქვენი ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოახდინოს განცხადების შეტანის დღესვე.

* * *

— რა ჩაითვლება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებად?

— კანონით განსაზღვრულია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელთა არსებობასაც ქორწინება არ დაიშვება:

ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი უკვე იმყოფება ქორწინებაში სხვასთან;

ბ) პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის (პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავები არიან პირები, რომლებიც ერთმანეთისგან წარმოიშვნენ: შვილთაშვილი, შვილიშვილი, შვილი, დედ-მამა, ბებია-ბაბუა, დიდი ბებია-ბაბუა და ა.შ.).

გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის.

დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არის ცნობილი.

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ერთქორწინების პრინციპი, ანუ დაუშვებელია, პირი ერთდროულად იმყოფებოდეს ორ ან მეტ ადამიანთან ქორწინებაში. ხელახლა ქორწინება დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი, კანონით დადგენილი წესით, განქორწინდება წინა მეუღლესთან ან ქორწინება სხვა საფუძვლით შეწყდება. ამის დასადასტურებლად პირმა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში უნდა წარადგინოს ან განქორწინების მოწმობა ან, თუკი ქორწინება წინა მეუღლის გარდაცვალების გამო შეწყდა-გარდაცვალების მოწმობა.

facebook xalxis azriT

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

f წავიდა ის დრო ადიდას-ებით რომ (ჩა)წვებოდით და დადიოდით პალატებსა თუ დერეფნებში...დღეს პაციენტებიც თანამედროვე გვყავს, მითუმეტეს რაიონებში... (მიდი ჟრიამულა, გააჯაზე... ფსიქიატრიულებშიც შეიარე ხოლმე-ჯანმრთელობას მიხედე, ოქრო კაცო)

f ქართველი ავადმყოფი - ყველაზე ჩაცმული ავადმყოფი მსოფლიოში! ხოლო საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე ნუგეშისმცემელი პრეზიდენტი მსოფლიოში))))

f ისე, რა გინდათ ახლა ამ კაცისგან... აისრულა როგორც იქნა ოცნება, ვერ ხედავთ, როგორ წვალობდა? ხან მანქანის პარკინგზე მიუვარდა ხელის ჩამოსართმევად, ხან ლისაბონის სამიტზე, ხან ლიფტში და...აჰაااა, როგორც იქნა სრულფასოვანი შეხვედრაც გაიხაზირა... ხოო და ალალი და უსაყვედურო, ჩემო მაღალო, სულ რო არაფერი არ გითხრას ბარაქა ბიძიამ, შენი ხო გაისწორე და გულის ხვაშიადი მოიკალი... დანარჩენის ოხერი დედაც, رااااا.

f ბაღდათის საავადმყოფოზე ბევრ სახალისო და გასაოცარ ამბებს ყვებიან, ენამოსწრებული იმერლები... თურმე თავიდან ჩაფიქრებული ქონდათ, მშობიარე ქალი დაეწვინათ ამ უახლეს და ყველაზე მაგარ საავადმყოფოში, მოიარეს მთელი ბაღდათი, მშობიარე კი არა და ორსული ქალიც ვერ ნახეს, ან რას ნახავდენ, ამ ჩვენი წარმატებული ქვეყნიდან ქალების დიდი უმრავლესობა ჩამორჩენილ ევროპის ქვეყნებშია არალეგარულად წასული და იტალიელ თუ ესპანელ ბებოებს და ბაბუებს უვლიან.

f კონცერტზე დამსწრე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ დაიძახა: "გაუმარჯოს, ბიძინას!" და მას თანატოლების ჯგუფი აჰყვა. სამოქალაქოტანსაცმლიანი მამაკაცები 15-მდე ახალგაზრდას უმოწყალოდ გაუსწორდნენ. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, დაკავებულები ცოცხალ დერეფანში გაატარეს და უბრძანეს, ბიძინა ივანიშვილს შეაგინეთო, ვინც არ დაემორჩილა, უმოწყალოდ სცემეს, ბოთლებით დაუმტვრიეს ძვლები, ხელ-ფეხი აქვთ მოტეხილი, სახეზეც ემჩნევათ ძალადობის კვალი....

f ვისაც ჰგონია, რომ საკაშვილი არჩევნებით მარტივად წავა, ტყუილია....ეს პოლიციური სახელმწიფო სწორედ ამისთვის შექმნა მისმა ბანდამ, რომ სამუდამოდ გაიხანგრძლივონ ჩვენზე ბატონობა და ჩვენი მიმნდობი და გულუბრყვილო ერი უკვე მერამდენე წელია ვანოს რეფორმების და პოლიციის ქებაშია... სატირალია, მე კი გამეცინა...არადა, სატირალია...

f ობამამ მიშა დაიბარა!! საერთოდ ესეთ სიტუაციაში, როდესაც არჩევნების მოახლოება არის ამერიკის ხელისუფლება თავს იკავებს, იმ ქვეყნის რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს შეხვდეს, რა თქმა უნდა თუ საყვედური ან კრიტიკული მნიშვნელობის შეხვედრა არ საჭიროებს!!! ეხლა ყველამ ვიცით, თუ როგორი პიარჩიკობა მოყვება ამ შეხვედრას ნაცტელეარხებზე, აქედანვე გეტყვით, რომ ამ შეხვედრას მიაკუთნებენ ევროპაში კრიზისის და აზიაში რევოლუციების მოგვარების მნისვნელობას!!! მაგრამ სინამდვილე ცხადია, სხვაგვარად იქნება!!!! ამერიკას დაძაბული სიტუაცია აქვს ირანთან, ყველა ხვდება ომი 90% არ აცდება ამ სიტუაციას, აქედან გამომდინარე, მას რუსეთის მხარდაჭერა უფრო აწყობს, ვიდრე მიშიკას ხელისუფლების პიარი!!!! ის ყველანაირად ეცდება მიშიკას აუხსნას, ან კეთილგანწყობით ან მუქარით, რომ არჩევნების გაპრავების იმედი აღარ ჰქონდეს, რომ არ შეარჩენს არავინ ხალხზე ძალადობას და შემდგომში გაძლიერებულ რეპრესიას! თუ დავაკვირდებით ამერიკის საელჩოს ბოლო განცხადებებს... ადვილად მივხვდებით, რომ მიხეილს იქ სასიამოვნოს არაფერს ეტყვიან, ოდნავ არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ბიძინას ამ შეხვედრის შემდეგ მოქალაქეობასაც აღუდგენენ!!!!! დაველოდოთ და ყველაფერს გავიგებთ! ისე რაც არ უნდა ეცადოს ნაცარხებმა ვიზიტის მნიშვნელობის დამახინჯება?! ამერიკის საელჩოს განცხადებას ვერ შეცვლიან! კიდევ ერთი, თუ მიშას სხვა შეხვედრები უფრო აპიარეს, ეს ჩათვალეთ ობამას სერიოზული პრეტენზიების მქონე საუბარი ექნებოდა!!!! ეს უბრალოდ, წინასწარი პროგნოზია!!!!

დინოზავრები ფრინველებით იკვებებოდნენ?

პეკინელმა პალეონტოლოგებმა ახალი აღმოჩენა გააკეთეს. მათ დინოზავრის მუცელში ფრინველი აღმოაჩინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დინოზავრები, შესაძლოა, ფრინველებით იკვებებოდნენ.

პეკინში, ჩინეთის აკადემიის პროფესორმა ფრინველების ჩონჩხი იპოვეს იქ, სადაც, სავარაუდოდ, დინოზავრების ნეშტები უნდა ყოფილიყო.

133 და 120 მლნ. წლის წინანდელი ფრინველთა ჩონჩხები ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთში იქნა აღმოჩენილი. ჩონჩხები ისეა შენახული, რომ დგინდება, მტაცებლები მათ მთლიანად ყლაპავდნენ.

ფრინველჭამია მიკრორაპტორი ყოფილა. ის მიეკუთვნებოდა როგორც დინოზავრების, ასევე ფრინველების ჯგუფსაც თავისი გარეგნობით. მიკრორაპტორს გრძელი კონტურული ფრთები ჰქონია და ასევე გრძელი ფრინველის მსგავსი ფაშფაშა კუდი. გარეგნობა მიკრორაპტორს ხელს უწყობდა ენადირა ფრინველებზე. იგი ძირითადად, მჯდომარე ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი ადგილი ხის ტოტები ყოფილა.

გაიშიფრა გამყინვარების პერიოდის ადამიანის გენი

მეცნიერებმა იმ გამყინვარების პერიოდის ადამიანის გენი გაშიფრეს, იგი 5000 წლის წინათ ცხოვრობდა.

ყინულის კაცის გამომშრალი მუმია იტალიის საზღვართან ალპებში 1991 წელს აღმოაჩინეს. მუმია შესანიშნავად იყო შენახული, რის გამოც მეცნიერებს დეტალურად შეეძლოთ მისი შესწავლა. კვლევისთვის



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

გამოიყენეს ყინულის ადამიანის თეძოს ძვლის ფრაგმენტი. სწორედ ამ „მასალის“ საშუალებით შეისწავლეს უძველესი ადამიანის დნმ.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ უძველესი ევროპელის საჭმლის გადამამუშავებელი სისტემაში ბინადრობდა პათოგენური მიკროფლორა, კლოსტრიდები და ე-კოლის ჩხირი.

უძველესი ადამიანის მუმია ერთ-ერთი ყველაზე შესწავლილი მუმიაა. მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ იგი ძლიერი გამყინვარების შედეგად დაიღუპა, სინამდვილეში ისინი არასწორი კვების გამო გარდაიცვალნენ. აღმოჩნდა ისიც, რომ უძველესი ადამიანების უმრავლესობა ათეროსკლეროზით იტანჯებოდნენ.

მეცნიერებმა მაიას წინასწარმეტყველების ნაწილი გაშიფრეს, ანუ რა მოგველის 2012-ში?

არც ისე დიდი ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაიას წინასწარმეტყველება არ არსებობს და ეს მხოლოდ გამოგონილი ამბავია. მაგრამ მექსიკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგები ირწმუნებიან, რომ მაიას კალენდარი ორ ადგილას ამტკიცებს, რომ 2012 ნამდვილად არის სამყაროს აღსასრულის თარიღი.

სამეცნიერო საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აპოკალიპსი მაიას კალენდარში სხვა არაფერია, თუ არა მაიას დროის დასასრული. ეს დრო კი გამოსახულია ცხრილებზე რუნების სახით. ცხრილებიანი ქვა უძველეს ქალაქ ტორტუგეროში აღმოაჩინეს, რომელიც მექსიკის შტატ ტაბასკოში მდებარეობს.

ინსტიტუტის წარმომადგენელი არტურო მენდესი მოგვითხრობს: წარწერები აღნიშნავენ „კალენდარულ წრეს“ – დღეებისა და თვეების კომბინაციას, რომელიც ყოველ 52 წელიწადში ერთხელ მეორდება. კალენდარში დრო ბაქტუნებად იყოფა. მე-13 ბაქტუნი 2012 წლის 21 დეკემბერს მთავრდება. საინტერესოა, რომ ამ კალენდარზე მომავალი აღარაა ნაჩვენები.

მეცნიერებს ვერ ამოუხსნიათ ის ფაქტი, რომ ტორტუგეროში აღმოჩენილი ქვის ფირფიტა და კომალკალკოში ნაპოვნი ქვა წარწერით ერთი და იგივე თარიღით – 1300 წლით არის აღნიშნული და ერთნაირ ენაზე არის შესრულებული.

ტორტუგეროს წარწერა იუწყება, რომ 2012 წელს რაც მოხდება, მაიას ღმერთის – ბოლონა იოკტეს ნებით მოხდება. „ის ჩამოვა ჩვენთან ციდან“, – ამბობს წარწერა. კამალკოს ქვის წარწერა უფრო გამოუცნობია. იგი საუკუნეების განმავლობაში დაფარული იყო ადამიანების ცნობიერებისთვის. კამალკოს ქვის შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ არაა ცნობილი. იციან მხოლოდ ის, რომ ამ ქვაზე მაიას წინასწარმეტყველების ინტერპრეტირებული ვარიანტია მოცემული მეტად საიდუმლო ფორმით. ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარები ცდილობენ ბოლომდე გაშიფრონ საიდუმლო ტექსტები. ამისთვის უახლოეს ხანებში 60 მეცნიერი მრგვალი მაგიდის გარშემო შეიკრიბება, რადგან მომავალი ერთობ შემაშფოთებლად და საეჭვოდ ეჩვენებათ.

რუსეთში მოლაპარაკე ბავშვი დაიბადა

ახალშობილი სტეფანეს მშობლები – როდიონ ნორილსკა და ლიზა ბაჟეევაა, ისინი შეშფოთებული ჰყვებიანი თავიანთი ახალშობილის არაჩვეულებრივ შესაძლებლობაზე.

როგორც კი დაიბადა და თვალი გაახილა, ახალშობილმა მაშინვე წამოსთქვა: მამა!

საკუთარ თვალებს და ყურებს არ ვუჯერებდი, ასეთი რამ არსად გამეგონა, – ამბობს სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი მარინა პანოვა.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

კურო – შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

ტყუპები – დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

კირჩხიბი – მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

ლომი – თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

ქალწული – თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

სასწორი – საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

მორიელი – ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

მშვილდოსანი – ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

თხის რქა – მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

მერწყული – თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

თევზები – დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.